ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, 8 ივნისი · № 23 (2751) გამოცემის 58-ე წელი, 1990 · ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაციები სადღეისო თემაზე
მე-2 გვ.

საქართველოს ყოფნა-არყოფნა
მე-4-5 გვ.

გამოხმაურება, რეპლიკა, მოსაზრება
მე-6 გვ.

პოეზია, პროზა
მე-7-8-9 გვ.

ყველაფერს საზღვარი უნდა ჰქონდეს
მე-14-15 გვ.

„აკაკის საქართველო“
მე-11-12 გვ.

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ბორის ელცინს

საქართველოს, მწერალთა კავშირი გულითადად გილოცავთ რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევას.

მტკიცედ გვწამს, რომ თქვენი საქმიანობა ხელს შეუწყობს რუსეთისა და საქართველოს — ამ ორი სუვერენული სახელმწიფოს თანასწორუფლებიან, ურთიერთნდობაზე და ურთიერთპატივისცემაზე აგებულ ურთიერთობას, გვჯერა, რომ პუშკინის, ტოლსტოის, დოსტოევსკის რუსეთი ასეთი ურთიერთობის გარანტი იქნება.

ქართველ მწერალთა სახელით საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მუხრან მაჭავარიანი.

●

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია ქართველ მწერლებთან და მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად ულოცავს ბორის ელცინს რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევას და იმედოვნებს, მისი ამ მაღალ პოსტზე მოღვაწეობა ხელს შეუწყობს როგორც რუსეთის, ისე საქართველოს სრული სუვერენიტეტის მოპოვებას.

ილიას კაბინეტი უნივერსიტეტში

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ილია ჭავჭავაძის კაბინეტი. 31 მაისს ამასთან დაკავშირებით ჩატარდა კაბინეტის მეთოდსაბჭოსა და მუდმივმოქმედი სემინარის პირველი საზეიმო სხდომა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის პრორექტორმა პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ. ილია ჭავჭავაძის კაბინეტის გამგემ დოცენტმა ლადო მინაშვილმა მსმენელებს ფართოდ მოუთხრო იმ გეგმების შესახებ, რის გაკეთებასაც აპირებს კაბინეტი მომავალში. კერძოდ მან აღნიშნა:



„კაბინეტთან ჩამოყალიბდება ილია ჭავჭავაძის მუდმივმოქმედი სემინარი, რომელიც პერიოდულად მოისმენს და განიხილავს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და მოწვეულ პირთა მოხსენებებს, მათ საფუძველზე კი პერიოდულად გამოვცემთ (სასურველია ორ-სამ წელიწადში ერთხელ) ილიასადმი მიძღვნილ სამეცნიერო კრებულებს. პირველი ასეთი კრებულის მომზადებას ამთავითვე შევუდექით. ზოგმა ავტორმა ჩვენი თხოვნა უკვე მიიღო.

თავის დროზე ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე გადაწყდა მომზადებულიყო კრებული „ილია ჭავჭავაძე ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“. გადაიდგა პირველი ნაბიჯებიც, რაც გამოიხატა იმაში, რომ მწერლის თხზულებებიდან დაიწყო — სათანადო მასალის შერჩევა-ამოკრება. შემდეგ მუშაობა ფაქტიურად ამ საფეხურზე შეწყდა. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრასთან ერთად ეს საქმე, პირველ ყოვლისა, გაგრძელდება და გასრულდება კიდეც.

მომზადდება და გამოიცემა მონოგრაფიულად შესწავლილი ილია ჭავჭავაძის ცალკეული თხზულება. ამგვარი წიგნები, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს ძალზე ჭირდება ჩვენს უმაღლესსაც და საშუალო სკოლასაც.

კაბინეტი შეუდგება შეგროვება-გაანალიზებას და ტომეულებად გამოცემას ილიას შესახებ როგორც ჩვენში, ასევე საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში და საზღვარგარეთის ქვეყნებში შექმნილი ლიტერატურულ-კრიტიკული მასალისა, რაც შესაძლებლობას მოგვცემს კიდევ უფრო სრულად წარმოვიდგინოთ მწერლის მემკვიდრეობის შესწავლის მდგომარეობა.

მუშაობა წარიმართება ილია ჭავჭავაძის მთარგმნელობითი საქმიანობის შესწავლის მიზნით და, აგრეთვე, იმ მხრივაც, რომ გათვალისწინებულ იქნეს, თუ როგორ არის წარმოდგენილი მისი მემკვიდრეობა არაქართულ სამყაროში, თარგმანებში.

კაბინეტი იზრუნებს ილია ჭავჭავაძის სრული ბიბლიოგრაფიის შედგენისათვის, თანდათანობით შეიქმნება მწერლის თხზულებებისა და მის გარშემო არსებული ლიტერატურის ბიბლიოთეკა.

მომზადდება კრებული, ან უკეთეს შემთხვევაში კრებულები — ილია ჭავჭავაძე თეატრსა და კინოში, მუსიკაში, მხატვრობაში და ა. შ.

ამთავითვე შევუდგებით ზრუნვას ი. ჭავჭავაძის ავტოგრაფების და პირველნაბეჭდების ფოტოპირების ფონდის შექმნისათვის, რათა სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, საერთოდ დაინტერესებულ პირთ შესაძლებლობა მიეცეთ უნივერსიტეტშივე გაეცნონ და შეისწავლონ მწერლის ხელნაწერი მემკვიდრეობა.

მაშინვე, როგორც კი კაბინეტი დაბინავდება, შევუდგებით ილია ჭავჭავაძის ლექსიკური ფონდის შექმნას, რაც გულისხმობს ძალიან დიდ შრომატევად სამუშაოს ჩატარებას. კერძოდ, ცალკე ბარათებზე კონტექსტითურთ ყოველი სიტყვის ამოწერას, მათ ანბანურ რიგზე გამართვა-დალაგებას, სათანადო დავთრებში გადატანას და ყოველივე ამის საფუძველზე ილიას სიმფონია ლექსიკონის მომზადებას რამდენიმე ტომად“.

უნივერსიტეტს, დამსწრე საზოგადოებას ილია ჭავჭავაძის კაბინეტის დაარსება მიულოცეს და კონკრეტული სურვილები და წინადადებები გამოთქვეს: პროფესორმა სოლომონ ხუციშვილმა, ვაჟა-ფშაველას კაბინეტის გამგემ პროფესორმა ჯუმბერ ჭუმბურიძემ, შოთა რუსთაველის კაბინეტის გამგემ პროფესორმა ლევან მენაბდემ, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერთანამშრომელმა შოთა ვაშაყმაძემ, უნივერსიტეტის პროფესორმა ბეჟან ბარდაველიძემ, უნივერსიტეტის პრორექტორმა პროფესორმა ვახტანგ გოგუაძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა ბესიკ ჯორბენაძემ, უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა კორნელი დანელიამ. ილია ჭავჭავაძის კაბინეტის გამგემ დოცენტმა ლადო მინაშვილმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისათვის, საქმიანი წინადადებებისა და [illegible]



ტრაგედია საბაგირო გზაზე

7 ივნისი კვლავ გლოვის დღეა საქართველოში.

როგორც მკითხველმა უკვე იცის, 1990 წლის 1 ივნისს, საშინელი ტრაგედია დატრიალდა — ავარია მოხდა რუსთაველის მოედან-მთაწმინდის საბაგირო გზაზე. ავარიის შედეგად დაიღუპა 18 ადამიანი, არიან დაშავებულები, რომლებსაც თბილისის საავადმყოფოებში უწევს დახმარებას მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალი.

ელვის სისწრაფით გავრცელდა ამ საშინელი კატასტროფის ამბავი. პირველსავე დღეს 800 კაცმა ჩააბარა სისხლი რესპუბლიკურსა და თბილისის სისხლის გადასხმის სადგურებში, ხალხი დაზარალებულთათვის საავადმყოფოებს სთავაზობს წამლებსა თუ სხვევ მასალას. ყველას სურს შეუმსუბუქოს ტკივილი ტრაგედიის მსხვერპლთ თუ მათი ოჯახის წევრებს.

ტრაგედიის გამომწვევ მიზეზებს, როგორც იუწყებიან, სახელმწიფო კომისია გამოიკვლევს, თითოეულ მოქალაქეს კი ისღა დაგვრჩენია, ვისაც რითი შეგვიძლია, დავეხმაროთ ვიღაცის უპასუხისმგებლობითა თუ ბრმა შემთხვევით დაღუპულთა ოჯახებსა და დაზარალებულებს.

მთელი ქართული მწერლობა, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია ღრმა სამძიმარს უცხადებენ საბაგირო გზაზე მომხდარი ავარიის დროს დაღუპულ მოქალაქეთა ოჯახებს.

მხარს ვუჭერთ

საზოგადოებრიობაში ფართო გამოხმაურება გამოიწვია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ხუთი სტუდენტის შიმშილობის ფაქტმა და მოშიმშილეთა მიმართვამ — „ჩვენი შვილები მონობაში არ დაიბადებიან". ეს მიმართვა ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა.

უნივერსიტეტის ეზოში ეწყობა მიტინგები. მოკამათენი ხშირად უპირისპირდებიან ერთმანეთს, მაგრამ მათი მიზანი საერთოა — იმ ოპტიმალური გზის მიგნება, რომელიც მთავარი მიზნისკენ — საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მიემართება.

გამოხმაურებები მოდის რედაქციაშიც. დღეს გთავაზობთ რამდენიმეს.

●

31 მაისიდან უვადო შიმშილობა გამოაცხადეს თბილისის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

მათ წერილს, რომელშიც საფუძვლიანად არის გაანალიზებული აქციის მოტივები, „ლიტერატურულ საქართველოში" გავეცანით და ვფიქრობთ, ამ ხუთი ჭაბუკის მოქმედება ემოციებზე მაღლა დგას. მათ ყველაფერი გონებით აუწონ-დაუწონიათ და სრულიად ლოგიკურ დასკვნამდე მისულან, რომ ეროვნული ძალების დღევანდელი გათიშულობის ჟამს, საჭიროა მისი გამაერთიანებელი ნაბიჯის გადადგმა, საჭიროა ისეთი თავგანწირული მოქმედება, რომელიც პარტიებად დაქსაქსულ, ურთიერთკინკლაობით დაუძლურებულ ეროვნულ-პოლიტიკურ ძალებს შეახსენებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარ მიზანს — საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაუყოვნებლივ აღდგენის აუცილებლობას.

მეორე მხრივ, რახან იგრძნო, რომ ეროვნული მოძრაობა შინაგანი უთანხმოებებით დასუსტდა, ოფიციოზი თვითდამშვიდებას მიეცა. იქ ჩვეულებრივი ბიუროკრატული სიმშვიდით თხზავენ, ვითომდაც, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის გამიზნულ ლოიალურ კანონპროექტებს, რომელთა განხილვის, მიღებისა და განხორციელების ვადები გაურკვეველია.

დრო და პოლიტიკური მოვლენები კი ელვის სისწრაფით იცვლება. ის, რაც ჯერ კიდევ გუშინ უკიდურეს რადიკალიზმად აღიქმებოდა, დღეს შეიძლება ძალზე ლიბერალურადაც კი გვეჩვენოს. ამჟამად, თვით რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა ღებულობს სუვერენიტეტის დეკლარაციას, საქართველოს კი, მით უფრო, 9 აპრილის შემდეგ, სრული მორალური და იურიდიული საფუძველი ჰქონდა ეს ნაბიჯი აქამდეც გადაედგა.

ერთი სიტყვით, ამაოა ლოდინი, ამაოა იმედი, რომ ეკონომიკურ სანქციებს, რომელსაც ცენტრი უსათუოდ განახორციელებს დამოუკიდებლობის გამოცხადებისას, უფრო მომზადებული შევხვდებით ხვალ. საქართველოს ეკონომიკა დღითიდღე ირღვევა და, არსებული სტრუქტურების სრული უვარგისობის გამო, ველარ შეძლებს ფეხზე წამოდგომას. ხვალ უფრო გაგვიჭირდება.

რას ველოდებით? საქართველოს უზენაეს საბჭოს, რაკი მან წინა სესიაზე აღიარა 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მხრიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის ფაქტი, ყველა საფუძველი აქვს აღადგინოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დროინდელი ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის, გამოაცხადოს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ამავე დროს აღადგინოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია და ამით სათავე დაუდოს ახალი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბებას.

ახალგაზრდებმა უვადო შიმშილობის გამოცხადებით თავგანწირული ნაბიჯი გადადგეს, ისინი თავისი ვაჟკაცური რისკით გვახსენებენ ჩვენს მთავარ მიზანსა და ამოცანას, რომელიც ყველა მიზანსა და ამოცანაზე, ყველა უთანხმოებასა და პიროვნულ ინტერესებზე მაღლა დგას, და თუ საქართველო მთელი სულითა და გულით არ გაიზიარებს მათს თავგანწირულ მოწოდებას, თუ ჩვენი საზოგადოება, ყველა ჩვენგანი, მიმუხედავად პოლიტიკური შეხედულებისა, გვერდით არ დაუდგება ჩვენს ძმებსა და შვილებს, გვექნება კი სამშობლოს თავისუფლებაზე ლაპარაკის უფლება საერთოდ?!

ჩვენ სრულიად ვუჭერთ მხარს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა აქცას და მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეიკრიბოს საქართველოს უზენაესი საბჭო და მიიღოს საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია!

ᲒᲘᲕᲘ ᲐᲚᲮᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲗᲔᲓᲝ ᲑᲔᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲛᲐᲚᲐᲤᲔᲠᲘᲫᲔ, ᲛᲣᲮᲠᲐᲜ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲭᲔᲓᲚᲣᲠᲘ, ᲘᲝᲠᲐᲛ ᲥᲔᲛᲔᲠᲢᲔᲚᲘᲫᲔ, ᲯᲐᲜᲡᲣᲒ ᲩᲕᲘᲜᲯᲘᲚᲘᲐ, ᲗᲐᲛᲐᲖ ᲬᲘᲕᲬᲘᲕᲐᲫᲔ, ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ, ᲜᲝᲓᲐᲠ ᲬᲣᲚᲔᲘᲡᲙᲘᲠᲘ, ᲝᲗᲐᲠ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ, ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ, ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲮᲐᲠᲩᲘᲚᲐᲕᲐ.

●

5 ივნისს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ თანამშრომლები, რომლებმაც იმსჯელეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა უვადო შიმშილობის საპროტესტო აქციის შესახებ. მათ ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი „ლიტერატურული საქართველოს" 1 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ სტუდენტთა მოთხოვნებს — დაუყოვნებლივ იქნას მოწვეული უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესია, სადაც განხილული იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი.

ჩვენს კოლექტივში უმრავლესობა ქალებია და ჩვენ, დედებს, არ შეგვიძლია გულგრილი დავრჩეთ საქართველოს საუკეთესო შვილების ლოზუნგის მიმართ „სიკვდილი ან თავისუფლება", რადგანაც ყველა ჩვენთაგანის გულისთქმას და ნატვრას გამოხატავს მათი მეორე ლოზუნგი: „ჩვენი შვილები მონობაში არ დაიბადებიან".

ᲬᲔᲠᲘᲚᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲐᲬᲔᲠᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡ 76 ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ

●

საქართველოს მიწათმოქმედთა პარტია და პარტიის მთავარ კომიტეტთან არსებული მიწათმოქმედთა ასოციაცია ითვალისწინებს რა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში განხეთქილებით შექმნილ მძიმე და სამარცხვინო ვითარებას, მხარს უჭერს იმ პოლიტიკურ აქციას, რომელსაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ატარებს ხუთი მოშიმშილე ახალგაზრდა. ეს თავგანწირული ნაბიჯი ხუთი სტუდენტისა არის მოწოდება (და მრისხანე გაფრთხილება) იმ ძალებისადმი, რომლებიც სერიოზული მოძრაობისათვის შეუფერებელი ქმედების გამო საფრთხეში აგდებენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

საქართველოს მიწათმოქმედთა პარტია და მიწათმოქმედთა ასოციაცია მოუწოდებს ყველა პოლიტიკურ ძალას, რომელთაც ჭეშმარიტად შეტკივათ გული ეროვნული საქმისათვის, ვისაც სურს, რომ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ჩიხში არ მოექცეს, დაუყოვნებლივ გაერთიანდეს ხუთი მოშიმშილის გარშემო ანუ „თავგანწირულთა კავშირში" და ამით ბოლო მოეღოს იმ ბზარის გაღრმავებას, რომელიც უდიდეს საფრთხეს უქმნის ქართველი ერის მომავალს, მის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას. დავძლიოთ წვრილმანი წყენა და პირადი ამბიციები! გავერთიანდეთ „თავგანწირულთა კავშირში". ერთიანობა არის ერთადერთი გზა დიდი მიზნების მისაღწევად.

Რ. ᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს მიწათმოქმედთა პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე.

Რ. ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲔᲚᲘᲐᲜᲘ,
საქართველოს მიწათმოქმედთა ასოციაციის პრეზიდენტი.

●

ჩვენ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომლები, მხარს ვუჭერთ თბილისის უნივერსიტეტში მიმდინარე უვადო შიმშილობის აქციის მონაწილეთა მოთხოვნებს. აუცილებლად მიგვაჩნია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიის დაუყოვნებლივ მოწვევა, რათა გადაიდგას რეალური ნაბიჯები საქართველოს სუვერენიტეტის აღსადგენად.

ᲬᲔᲠᲘᲚᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲐᲬᲔᲠᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ 82 ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ.

განაწირი შვილები არა გვყავს!

საყოველთაოდ ცნობილია, რა მძიმე პირობებში უხდებათ ცხოვრება და სამსახური საბჭოთა არმიაში გაწვეულ ქართველ ახალგაზრდებს. როგორი დამცირების, მუქარის, მორალური თუ ფიზიკური შეურაცხყოფის, ტანჯვა-წამების ფასად უჯდებათ „სამშობლოს" დაცვა. ისიც ხომ ფაქტია, რომ ვითარება მეტისმეტად გამწვავდა 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, როცა ქართველთა დევნა-შევიწროებამ საბჭოთა არმიაში მასობრივი ხასიათი მიიღო. ამას ნათლად ადასტურებს თუნდაც ის, რომ მარტო შარშან ოთხმოცდაათამდე დაღუპული ჯარისკაცი ჩამოასვენეს საქართველოში. ამიტომ არის, რომ ქართველ ახალგაზრდებს აღარ სურთ საბჭოთა არმიაში სამსახური, მიმართავენ პროტესტის რადიკალურ ფორმებს, არ ერიდებიან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, ოღონდაც არ მოხვდნენ საოკუპაციო ჯარების რიგებში. სინამდვილეს ვერსად წაუვალთ, ისინი მართლები არიან!

დღეს გვინდა ერთი ჯარისკაცის ბედზე გიამბოთ, უფრო სწორად, მის უბედურებაზე, რადგან, შეიძლება ითქვას, მისი მაგალითი ტიპიურია.

თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის მკვიდრმა მერაბ სუხიტაშვილმა ყმაწვილობაში თავის ქალის ტრავმა გადაიტანა, რამაც მძიმე ფსიქონევროლოგიური დარღვევები დაუტოვა. მიუხედავად იმისა, რომ ამის გამო ის საბჭოთა არმიაში სამსახურისთვის გამოუსადეგარი იყო, მაინც გაიწვიეს ჯარში. მსახურობდა მოლდავეთის სსრ-ში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილში. არმიაში სამსახური არათუ ავადმყოფ, ხშირად ჯანმრთელ ადამიანებსაც უჭირთ, მაგრამ მერაბ სუხიტაშვილი ვაჟკაცურად უძლებდა რთულ პირობებში ცხოვრებას, პირნათლად ასრულებდა მოვალეობას. მაგრამ მოხდა 9 აპრილის ტრაგედია და ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. ქართველ ჯარისკაცებს ჯერ ცერად დაუწყეს ყურება, შემდეგ კი აშკარა აშკრა დისკრიმინაციაზე გადავიდნენ. ბუნებრივია, ამას მოჰყვა კონფლიქტები, ორმხრივი ჩხუბები. ვის დაადანაშაულებს სამხედრო ტრიბუნალი ასეთ დროს? რა თქმა უნდა, ქართველებს. თურმე ისინი არიან შფოთის ამტეხნი, ისინი იწვევენ ეროვნებათშორის დაძაბულობასა და კონფლიქტებს. ამიტომ უნდა დაისაჯონ, და რაც შეიძლება მკაცრად, სანიმუშოდ. ასე გაასამართლეს მერაბ სუხიტაშვილიც და მაშინ, როცა ჯარში სამსახურის სულ ერთი თვეღა ჰქონდა დარჩენილი, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს! არ გაითვალისწინეს, რომ სამედიცინო ცნობით საერთოდ არ შეიძლებოდა მისი ჯარში სამსახური, რომ თვით კიშინიოვის ფსიქიატრიული საავადმყოფოს ექსპერტიზის დასკვნითაც კი ე. წ. 9-ბ სტატიით განისაზღვრა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომ, ბოლოსდაბოლოს, არავითარი სერიოზული დანაშაული მას არ ჩაუდენია.

ამის შემდეგ დაიწყო მერაბ სუხიტაშვილისა და მისი ოჯახის ტანჯვა-წამება. ვის არ მიმართა დაპატიმრებული ჯარისკაცის დედამ საჩივრით თუ თხოვნით, სად აღარ სცადა — ჯარის ნაწილი იყო თუ სამხედრო სასამართლო, მაგრამ ვერავინ ვერაფერი შეძლო, ვერ გამოიხსნა ავადმყოფი შვილი. შემდეგ ბედი საქართველოში სცადა, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს მიმართა განცხადებით, რომ მისი შვილი საქართველოს რომელიმე კოლონიაში გადმოეყვანათ სასჯელის მოსახდელად. ბატონმა შოთა გორგოძემ გულთან მიიტანა გაჭირვებული დედის თხოვნა და ყველაფერი იღონა, მერაბ სუხიტაშვილი თბილისის ციხის საავადმყოფოში რომ გადმოეყვანათ გამოსაკვლევად. გამოკვლევამ კი დაადასტურა, რომ პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ რთულია და აუცილებელია მკურნალობა, უპირველესად კი სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება. ახლაც კარდაკარ დადის მერაბ სუხიტაშვილის დედა, ქალბატონი მარეხი, დადის ყველგან — სამართალდამცავი ორგანოები იქნება ეს თუ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები თუ სამედიცინო კვლევითი დაწესებულებები, სახალხო ფრონტი თუ საქართველოს საპატრიარქო. ჯერჯერობით უშედეგოდ... ამ დღეებში რედაქციაშიც მოვიდა. გული მოგვიკლა მისმა საცოდაობამ.

ამჟამად მერაბ სუხიტაშვილის შეწყალებას ითხოვენ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა გორგოძე, ექიმთა ასოციაციის პრეზიდენტი გ. ლაჭყებიანი და გამგეობის წევრი ვ. ბოჭორიშვილი, ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელები აკად. ა. ზურაბაშვილი და აკად. ბ. ნანეიშვილი, რესპუბლიკის ყოფილი სამხედრო კომისარი ლ. შარაშენიძე, სოფელ კურდღელაურის მოსახლეობა...

დღეს მათ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციაც უერთდება და თხოვნით მიმართავს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, დაეხმაროს მერაბ სუხიტაშვილს, დაეხმაროს ქალბატონ მარეხს. იქნებ კანონით შეუძლებელიც იყოს სხვა რესპუბლიკაში გასამართლებული მსჯავრდებულის ჩვენი ხელისუფლების მიერ შეწყალება, მაგრამ ვალდებული ვართ ყველგან დავიცვათ უსამართლოდ დაჩაგრული თანამემამულე, გამოვიჩინოთ გულისხმიერება და გულმოწყალება, რადგან საქართველოს განაწირი შვილები არა ჰყავს.

ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.

გაზეთის წესდების გამო

„ლიტერატურული საქართველო“ ყოველთვის დიდი გულისხმიერებით ეკიდება ხელოვნების პრობლემებს. იყო დრო, როცა მწერალთა ამ ორგანოს „ლიტერატურა და ხელოვნება“ ერქვა. მაშინაც, მის წინაც და შემდეგაც, როცა მხოლოდ „ლიტერატურული გაზეთი“ ეწოდა, ერთი დიდი საქმე კეთდებოდა — გაზეთი მოიცავდა ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა სფეროს. ქართული მწერლობა აერთიანებდა სულიერი ცხოვრების ყოველ დარგს. მეცხრამეტე საუკუნეში კი ხელმძღვანელობდა თეატრსაც. ეროვნული შემოქმედების გამაერთიანებლის როლი, მისი ცენტრის ფუნქცია ქართულმა მწერლობამ მეოცე საუკუნეშიც შეინარჩუნა კარგა ხანს...

ამდენად, გასაგებია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ხელოვნების დარგის მოღვაწეთათვის „ლიტერატურულ საქართველოს“. დღევანდელი გაზეთი, რომლის ყოველ ნომერსაც მოუთმენლად ელოდება მკითხველი, არ ღალატობს ტრადიციას, მის ფურცლებზე ფართოდ ისახება ხელოვნების საკითხები. იგი ფაქტობრივად ჩვენი, ხელოვნების დარგის მოღვაწეთა ორგანოც არის, მით უფრო, რომ საკუთარი გაზეთი არა აქვს არც თეატრსა და არც მუსიკალურ ხელოვნებას. კარგად მახსოვს: არცერთი პლენუმი (თეატრალური საზოგადოების) ისე არ ჩატარდებოდა, რომ საკუთარი გაზეთის გამოცემის საკითხი არ დასმულიყო. ბოლოს, მწერალთა სურვილს, გაეზარდათ გაზეთის მოცულობა, დაემატა თეატრის მოღვაწეთა ბრძოლებიც და, აჰა, ხელოვნებისთვის ჩაემატა გვერდიო...

ეს ისტორია მხოლოდ იმისათვის გავიხსენე, რომ ხაზი გავუსვა ორ მომენტს: ერთი ისაა, რომ „ლიტერატურული საქართველო“ შინაარსით, მნიშვნელობით „ჩვენი“ გაზეთიცაა და არავის არ უღობავს გზას, ილაპარაკოს თეატრზე, მუსიკაზე, კინოზე, მხატვრობაზე, მეორე, გაზეთის ფართო თვალსაწიერი, მისი წადილი—შეუფასებელი არ დარჩეს ხელოვნების მნიშვნელოვანი პრობლემები, ხელს უწყობს ლიტერატურისა და ხელოვნების, როგორც ერის სულიერი ცხოვრების მთლიანობის გამოვლენისა და დამკვიდრების იდეას. ჩვენს ისედაც გათიშულსა და ერთმანეთთან დაპირისპირებულ დროში ამას დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს.

ყოველივე ამის შემდეგ, გამაოცა იმ ფაქტმა, რომ წესდებაში ხსენებული არ არის სიტყვა **ხელოვნება**. განა გაზეთის ინტერესების სფეროში არ შედის იგი? განა გაზეთის ტრადიცია, მისი დღევანდელი გარჯა და იმის გათვალისწინება, რომ ხელოვნების მრავალ დარგს თავისი გაზეთი არა აქვს, არ იძლევა საფუძველს მის წესდებაშიც ეპოვა თავისი ასახვა? განა უწყებრიობაშია საქმე?

ვფიქრობთ, რომ წესდებაში, სადაც გაზეთის ამოცანებზეა ლაპარაკი, უნდა ითქვას მის ზრუნვაზე „ასახოს“ ხელოვნების პროცესები, რასაც იგი ფაქტობრივადაც აკეთებს. ალბათ, ამიტომაც არის სათათბიროში წარმოდგენილი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ხუთი მოღვაწე.

ვასილ კიკნაძე

„პირზე მომდგარსა სიტყვასა...“

თემურ მირიანაშვილი

დღეს, მადლობა ღმერთს, ყველამ შეიგნო, რომ აზრისათვის ჯებირების აღმართვას მეცნიერების, ფილოსოფიის, ლიტერატურის ჩამწყვდევას ეროვნულ თუ სახელმწიფოებრივ ჩარჩოებში არ შეიძლება არ ჰქონდეს უკიდურესად უარყოფითი, ტრაგიკული შედეგები.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველამ არ ვიცით, რომ არც მეორე უკიდურესობაში გადავარდნა ვარგა: ყველა უცხოური იდეისა თუ თეორიის წინაშე ქედისმოდრეკაც დამღუპველია. უცხოურ ნააზრევს, თვით ყველაზე ბრძნულსა და პროგრესულსაც კი ზედმიწევნით შემოქმედებითად, კრიტიკულად უნდა ვითვისებდეთ. უნდა ვითვისებდეთ, როგორც ილია ბრძანებდა, „საკუთარის მწერლობისა და ვითარების“ გათვალისწინებით.

დიდი ილიას თვალს არ გამორჩენია, რომ ქართველ ინტელიგენტთა შორის მეტისმეტად ბევრი გამოჩნდა ისეთი, ვისი „ჭკუა-გონება... სხვისის ნასუფრალით იკვებება აუწონ-დაუწონავად“.

ამ სამწუხარო მოვლენას ილიამ უწოდა „სხვისი ბაძი“ და ის მრავალჯერ ამხილა. „სხვისი ბაძის“ წინააღმდეგ ენერგიულად ილაშქრებდნენ აკაკი, ვაჟა, იაკობ გოგებაშვილი, არჩილ ჯორჯაძე...

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენში არამცთუ არ კლებულობს, არამედ პირიქით, მატულობს „სხვისი ბაძის“ მსურველთა რიცხვი. ეს ტენდენცია სულ უფრო და უფრო გლობალურ მასშტაბებს იღებს. ამიტომ ბუნებრივია, რომ, როგორც ყველა ლიტერატურულ ტენდენციას, მასაც სჭირდება თეორიული საფუძველი. ამ ამოცანის განხორციელება, „სხვისი ბაძის“ თეორეტიკოსობა იტვირთა ახალგაზრდა ლიტერატორმა კახა ჭამბურიამ. ბოლო წლების მანძილზე გამოქვეყნებულ რამდენიმე სტატიაში იგი უდიდეს სიკეთედ აცხადებს „ქართული პოეზიის ევროპულ რადიუსზე გამართვას“, „უცხოური ლიტერატურის რემინისცენციებს“. ასეთივე დიდ სიკეთედ მიაჩნია კ. ჭამბურიას აკაკისა და ვაჟას „გავლენისაგან“, აგრეთვე, მთელი ქართული კლასიკური მემკვიდრეობისგან „თავის დაღწევა“.

მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ვაზვიადებ ან ცილს ვწამებ კოლეგას. მესმის მკითხველისა. თავდაპირველად მეც ვერ დავუჯერე თვალებს, როდესაც „მნათობის“ (№ 8, 1986) ფურცლებზე ტიციან ტაბიძისადმი მიძღვნილ სტატიაში — „პოეტი და პიროვნება“ — წავიკითხე შემდეგი: „ფაქტიურად ეს იყო სწრაფვა („ცისფერყანწელებისა“ — თ. მ.) მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო მიღწევებისაკენ, ლიტერატურული სიახლეების წვდომისა და ნოვაციების გადმონერგვის სურვილი. ვაჟა-ფშაველასა და აკაკის ლექსის გავლენისაგან თავის დასაღწევად ევროპული და რუსული მწერლობის მიღწევების ათვისება ალბათ ერთ-ერთი ყველაზე სწორი გზა იყო ქართული პოეზიის წინსვლისა და განვითარებისათვის“ (გვ. 126).

როგორც ვხედავთ, „ქართული პოეზიის წინსვლისა და განვითარების“ ხელისშემშლელნი აკაკი და ვაჟა ყოფილან. „ცისფერყანწელები“ მიმხვდარან ამას და უარუყვიათ ორი ქართველი გენიოსი. ეს თუ ასეა, რა ვუყოთ პაოლო იაშვილის სტრიქონებს ლექსიდან „პარიზისაკენ“: „მე მივატოვებ ქართველ პოეტებს და თან წამყვება ვაჟას კრებული“? რა ვუყოთ ტიციან ტაბიძის საპროგრამო წერილს „ცისფერი ყანწებით“, სადაც ვაჟა „ყანწელთა“ ორდენის წინამორბედადაა გამოცხადებული?

კ. ჭამბურია მაინც ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ „ცისფერყანწელები“ მუდამ „თავდაღწეულნი“ იყვნენ აკაკისა და ვაჟას „გავლენისაგან“. მაშ, ვის აღიარებდნენ? რომელ სალოცავებთან მოიყარეს მუხლი?

„რომელი მწერლები ჰყავდა არჩეული ორიენტირად ტიციან ტაბიძეს? — სვამს კითხვას კახა ჭამბურია და, რა თქმა უნდა, პასუხიც მზად აქვს, — შარლ ბოდლერი. პოლ ვერლენი, არტურ რემბო, სტეფან მალარმე, ემილ ვერჰარნი, პოლ კლოდელი, ჟიულ ლაფორგი, სიულ პრიუდომი, ლოტრეამონი, პოლ ვალერი, ედგარ პო, ოსკარ უაილდი, ვალერი ბრიუსოვი, ანდრეი ბელი, კონსტანტინე ბალმონტი, ალექსანდრე ბლოკი, ბორის პასტერნაკი და სხვანი და სხვანი“ (იქვე).

პირველყოვლისა ვკითხოთ კ. ჭამბურიას: ყველა ეს პოეტი, რომელთაგანაც ბევრი აბსოლუტურად ურთიერთგანსხვავებულ მიმდინარეობათა წარმომადგენელია, ერთდროულად რანაირად გაიხადა ორიენტირად ტ. ტაბიძემ? შეიძლება, მაგალითად, ვთქვათ, რომ ბარათაშვილის ორიენტირი იყო მეთვრამეტე საუკუნისა და მეცხრამეტის პირველი ნახევრის ყველა განთქმული ევროპელი პოეტი— წარმომადგენელნი აბსოლუტურად ყველა იმდროინდელი ლიტერატურული მიმდინარეობისა? ეს, რა თქმა უნდა, აბსურდია, რაშიც ალბათ, კ. ჭამბურიაც დაგვეთანხმება.

ახლა ესეც ვიკითხოთ, ნუთუ ტ. ტაბიძეს არცერთი ქართველი პოეტი არ ჰყოლია „ორიენტირად“? თუ იქნებ რომელიმე „და სხვანი და სხვანში“ იგულისხმება? რაც შეეხება აკაკის და ვაჟას, ისინი, როგორც ვიცით, ნამდვილად არ ხვდებიან „და სხვანი და სხვანი“-შიც კი.

1985 წელს კ. ჭამბურიამ „კრიტიკაში“ (№ 8) გამოაქვეყნა სტატია გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებაზე — „ვატერ (პო)ლოო“ და ასე შემდეგ...“ თუმცა გ. დოჩანაშვილისადმი მიძღვნილად ეს სტატია მხოლოდ პირობითად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ტექსტის ნახევარზე მეტი ეძღვნება... კურტ ვონეგუტის შემოქმედებას.

ამ სტატიაში კახა ჭამბურია აღნიშნავს: „როდესაც ნობელის პრემიის ლაურეატ, ცნობილ ამერიკელ მწერალ კურტ ვონეგუტთან დაკავშირებით გურამ დოჩანაშვილს ვახსენებთ, მხედველობაში გვაქვს გარკვეული თანხვედრა მხოლოდ და მხოლოდ გამოხატვის ხერხების თვალსაზრისით“ (გვ. 98-99). მაგრამ, თუ სტატიის მიხედვით ვიმსჯელებთ, კრიტიკოსმა გაცილებით მეტი „თანხვედრა“ „აღმოაჩინა“ ორ მწერალს შორის.

პირადად მე სადავოდ არ მიმაჩნია, რომ გ. დოჩანაშვილის შემოქმედებაში, — მის თვითმიზნურ ენობრივ და სტილისტურ ექსპერიმენტებში, თხრობის მანერაში, ნაწარმოების კომპოზიციურ აგებაში, გმირთა ხასიათებში და ა. შ. — თვალსაჩინოა უცხოური ლიტერატურის გავლენა. მაგრამ, კ. ჭამბურიასაგან განსხვავებით, მე ამაში ვერაფერს ვხედავ მისასალმებელს.

ვნახოთ კ. ჭამბურიას კიდევ ერთი ტიპური სტატია — „ეს განწირულის სულისკვეთება...“ („ლიტერატურული საქართველო“, 9. IX. 88).

დასაწყისში კ. ჭამბურია ახსენებს უცხოელ მწერლებს, უცხო ცნებებს: ფრიდრიხ ნიცშე და ზიგმუნდ ფროიდი, დოსტოევსკი და ოსვალდ შპენგლერი, ექსისტენციალიზმი და ავანგარდიზმი, ვირჯინია ვულფი და ტოტალური გაუცხოება... ამის შემდეგ კ. ჭამბურია გვიცხადებს: „ცისფერყანწელებმა“ „უარჰყვეს მთელი კლასიკური მემკვიდრეობა (იგულისხმება ქართული. — თ. მ.) და მზერა ევროპულ მოდერნიზმს მიაპყრეს“.

აქ, როგორც ვხედავთ, უკვე არა მხოლოდ აკაკისა და ვაჟას უარყოფა ითვლება უდიდეს სიკეთედ, არამედ მთელი ქართული კლასიკური მემკვიდრეობისაც.

სტატია თავიდან ბოლომდე „წმინდა პოეზიის“ დასაცავადაა მიმართული. ყოველი უბედურების თავიდათავი კი, კ. ჭამბურიას აზრით, ის არის, რომ ლიტერატურას მავანმა და მავანმა ასეთი მოთხოვნა წაუყენა: „მას (ლიტერატურას. — თ. მ.) მაინცდამაინც ეპოქის მოთხოვნები და ხალხის პრობლემები უნდა აესახა და ექვალა“.

ალბათ. ძალიან დიდ ჩამორჩენილობად კი ჩამითვლება, მაგრამ მაინც გავბედავ და ვიტყვი, რომ ჩვენს მცირერიცხოვან, პოლიტიკურ და სხვაგვარ ძალას მოკლებულ ერს სიტყვაზე, ლიტერატურაზე მძლავრი იარაღი არ გააჩნია. ამ იარაღზე ნებაყოფლობით უარის თქმა, ევროპული მოდის გულისათვის „წმინდა პოეზიის“ ქადაგება დამღუპველი იქნება ჩვენთვის.

კ. ჭამბურიას თუ დავუჯერებთ, ყველა, ვინც ლიტერატურისაგან „მაინცდამაინც ეპოქის მოთხოვნებისა და ხალხის პრობლემების კვლევას“ მოითხოვს, პროლეტკულტელთა „კურიოზული ესთეტიკის“ მიმდევარია. ალბათ ამიტომაც არ მოსდის თვალში აკაკი და ვაჟა, რომელთა ნაწერებშიც უამრავჯერაა გამეორებული ლიტერატურის ცხოვრებასთან უმჭიდროვესად დაკავშირების მოთხოვნა და რომლებიც პრინციპულად არ იზიარებდნენ „წმინდა ხელოვნების“ თეორიას.

ერთადერთი ქართველი კლასიკოსი, ვისაც ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი და ვ. გაფრინდაშვილი არ უარყოფენ, კ. ჭამბურიას აზრით, არის ილია. მაგრამ ჯერ ერთი, ნუთუ ილია არ შედის „მთელს კლასიკურ მემკვიდრეობაში“, რომელიც „ცისფერყანწელებმა“ „უარჰყვეს“? ესეც არ იყოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ტიციანს, პაოლოს და ვალერიანს ჩვენ, პირველ რიგში, სწორედ მათი ე. წ. „სიმბოლისტური“ პერიოდის გამო ვაფასებთ და ეს სავსებით ბუნებრივია“, გამოდის, რომ ქართულ სიმბოლიზმს (გაურკვეველია, რატომ ჩასვა ეს ცნება კ. ჭამბურიამ ბრჭყალებში და რატომ დაურთო წინ „ე. წ.“) ილიასგან აუღია სათავე. ვერაფერს იტყვი, ორიგინალური აზრია! მაგრამ კარგი იქნებოდა, კ. ჭამბურიას ხელი აელო შიშველ დეკლარაციებზე და ამ აზრის არგუმენტირება ეცადა; მოეტანა ილიას თუნდაც ერთი გამონათქვამი, რომელიც რაიმეგვარად შეიძლება ჩაითვალოს „წმინდა ხელოვნებისა“ და მოდერნიზმის საფუძვლად. ვგონებ, ვერ შესძლებს ამას კ. ჭამბურია.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა კ. ჭამბურიას ყველა სტატიის უმთავრეს თემას უცხოური და ქართული ლიტერატურების ურთიერთმიმართება წარმოადგენს, ვერსად, ვერცერთ სტატიაში ვერ ამოვიკითხე-მოწოდება, რომ დიდ უცხოელთა ნააზრევი შემოქმედებითად, ჩვენი ისტორიული ვითარებისა და სააზროვნო ტრადიციების გათვალისწინებით ავითვისოთ.

არ არის საჭირო დიდი დაკვირვება, რომ შევნიშნოთ: კახა ჭამბურიას სურვილს, გადმონერგოს „ევროპული ლიტერატურის ავანგარდისტული სკოლების მიღწევები“, აგრეთვე მისგან ქართული კლასიკური მემკვიდრეობის უარყოფას, საფუძვლად უდევს არა რაიმე პრინციპული მოსაზრება ან, მითუმეტეს, ახალგაზრდა კრიტიკოსის ანტიქართველობა, არამედ უბრალოდ მოდის აყოლა ანუ სნობიზმი.

...ახლა, მოდით, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე ქართველ ლიტერატორს გაებედნა და სახელმოხვეჭილ უცხოელ მწერლებზე ან მთელ კლასიკურ საზღვარგარეთულ ლიტერატურაზე ეთქვა ის, რაც კ. ჭამბურიამ აკაკიზე, ვაჟასა და ქართულ კლასიკურ ლიტერატურაზე თქვა.

ამის წარმოდგენაც კი ძნელია! ვინ გაბედავს ჩვენში, თქვას, რომ ლიტერატურის „წინსვლისა და განვითარებისათვის“ საჭიროა, მაგალითად, ბეკეტის ან იონესკოს „გავლენისაგან თავის დაღწევა“! ვინ გაბედავს, დამსახურებად ჩაუთვალოს მწერალს, მთელი მოდერნისტული მემკვიდრეობის უარყოფა! ვინ გაბედავს, ჩამოთვალოს ორ ათეულამდე მწერალი, რომელნიც ორიენტირებად უნდა ჰყავდნენ ქართულ ლიტერატურას და მათ შორის არ დაასახელოს არცერთი უცხოელი!

ასეთ რამეს ჩვენში ვერავინ გაუბედავს უცხოელ ავტორიტეტებს. სამაგიეროდ, ქართველ კლასიკოსებზე შეგიძლია წერო ყველაფერი, რაც პირზე მოგადგება! განმკითხავი არავინაა. აკი კახა ჭამბურიას განცხადებებიც წლების მანძილზე სრულიად უპასუხოდ რჩება.

მე, ცხადია, არ ვარ დიდ უცხოელ მწერალთა, მათ შორის კ. ჭამბურიას სათაყვანებელ მოდერნისტთა წინააღმდეგი. მე წინააღმდეგი ვარ ყოველივე უცხოურისადმი სნობური დამოკიდებულებისა, ყველა არაქართველი ავტორიტეტის მოციქულად შერაცხვისა და მათი თხზულებების ზუთხვისა გაუაზრებლად, „უცოხნულებად“ (ვაჟა).

დღეს ყველა ჭეშმარიტად ცივილიზებული ერი ეწაფება სხვა ერთა სულიერ საგანძურს. მაგრამ საკუთარ სულიერ განძს— არავინ უარყოფს. პირიქით, საკუთარს მაინც უცხოურზე მაღლა აყენებს.

ამასთანავე, საზღვარგარეთ სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა, თვით ყველაზე უფრო ავტორიტეტული უცხოელი ლიტერატორისადმი კრიტიკული დამოკიდებულების გამოვლინება. გავიხსენოთ, რამდენჯერ გვსმენია, რომ, მაგალითად, ფრანგ კრიტიკოსს დაბალი შეფასება მიუცია სახელმოხვეჭილი ამერიკელი მწერლისათვის, ან — პირიქით.

ჩვენში ამას ვერავინ ბედავს, რადგან ჩამორჩენილობა და პროვინციელის იარლიყისა გვეშინია. არადა, პროვინციალიზმი სწორედ საკუთარი აზრის უქონლობა ან მისი გამოთქმის გაუბედავობაა.

„ორიგინალობა იმაში-ღა ისახება, ვის ვინ გადააჭარბებს ჩრდილოეთიდან მოზიდულ კატეგორიების, მეტაფორების, ტერმინების თუ სალანძღავ სიტყვების შეთვისებასა და გავრცელებაში... საკუთარი აზრი არ მუშაობს. აღარ არის ილაჯი ამ წამბაძველობისაგან“.

არჩილ ჯორჯაძის ეს სიტყვები, დაწერილი ჩვენი საუკუნის დამდეგს, სამწუხაროდ, დღესაც აქტუალურია.

...და ბოლოს, კვლავ კახა ჭამბურიას დავუბრუნდეთ, იგი, უდავოდ, განათლებული კაცია. განათლება კი მძლავრი იარაღია [illegible]. მაგრამ, როგორც ყველა იარაღს, მასაც მარჯვედ გამოყენება სჭირდება.

ზვიად გამსახურდია

საქართველოს ყოფნა-არყოფნა

შობადობის პრობლემა

> ახლა ყველა საფუძველი გვაქვს წარმოვადგინოთ ამოცანა: გადავაქციოთ საქართველო განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში ეროვნებათაშორისი ურთიერთობის შემდგომი სრულყოფის თავისებურ ლაბორატორიად, ყოველივე მიღწეული შესაძლებლობას გვაძლევს დავისახოთ ასეთი ამოცანა.
>
> ე. შევარდნაძე, სიტყვა 1985 წლის 4 ივლისის პლენუმზე, გაზ. „კომუნისტი“. 7 ივლისი. 1985 წელი.

წლების მანძილზე საქართველოს ოფიციალური პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა წერილები შვილოსნობის, ერის გამრავლების პრობლემებზე. მათ შორის მსურს გამოვყო გაზეთ „კომუნისტის“ 1982 წლის 27 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული წერილი „საქართველოს უკვდავება“ (გ. ფანჯიკიძე), „ლიტერატურული საქართველოს“ 1983 წლის 23 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული „იქმენინ მრავალძეობა“ (ლ. სანიკიძე) და დისკუსია „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე (1985 წ. 7 ივნისი).

ავტორები ცდილობენ გვესაუბრონ ჩვენი ძირითადი ეროვნული უბედურების — ქართული მოსახლეობის კლების გამომწვევ მიზეზებზე, მაგრამ ცენზურის მიერ დაჩეხილი მათი წერილები და გამოსვლები იოტისოდენადაც ვერ ჰფენენ ნათელს საქმის რეალურ ვითარებას. თანაც უნდა აღინიშნოს, რომ მათ წერილებში შეიმჩნევა ტენდენცია საქართველოს დემოგრაფიული სურათის შეცვლის ძირეული მიზეზების იგნორირებისა და მეორადი მიზეზების წინა პლანზე წამოწევისა, ამიტომაც გადავწყვიტე შევახსენო მათაც და მკითხველ საზოგადოებასაც ზოგიერთი ჭეშმარიტება.

სიმართლე ფერ-უმარილს არ საჭიროებს და ამიტომ თავიდანვე საქმეზე ვისაუბრებ. რამ განაპირობა ესოდენ კატასტროფული მდგომარეობა ჩვენი ერისა დღეს, ცივილიზებულ ეპოქაში, მეოცე საუკუნეში, მაშინ, როდესაც სხვები ეროვნულ-კულტურული და დემოგრაფიული აღორძინების გზაზე დგანან? ნუთუ ჩვენი ერის დაკნინების, შობადობის ესოდენ საგანგაშოდ შემცირების მიზეზები მარტოოდენ მეშჩანობასა და ჭამა-სმის კულტში უნდა ვეძებოთ, როგორც ამას აცხადებს „საქართველოს უკვდავების“ ავტორი (გ. ფანჯიკიძე) ან მხოლოდ „აბორტმახერების“ დაუსჯელობაში, როგორც ამას სთვლის „იქმენინ მრავალძეობის“ ავტორი (ლ. სანიკიძე)? ნუთუ ის „ობივატელური“ სენი, რომელმაც თურმე ესოდენ დაგვრია ხელი, სხვა ერებს არ სჭირთ? რაღა ჩვენ მოგვითავა ხელი ამ სენმა? რაღა ჩვენ გაგვაპარტახა? მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ მეშჩანობა, ობივატელობა, შედეგია და არა მიზეზი. „საქართველოს უკვდავების“ ავტორს კი შედეგები და მიზეზები ურთიერთში აღურევია და ამტკიცებს: სერვანტებზე და ავეჯზე მონადირე ხალხი, აბა, როგორ გაამრავლებსო ერს! ოღონდაც. შეგნების გადაგვარება, საერთოდ, ყოველგვარი გადაგვარების წყაროა. მაგრამ რამ გადააგვარა ჩვენში ეროვნული შეგნება? რამ აუყარა ქართველ კაცს გული ეროვნულ და მოქალაქეობრივ იდეალებზე? მოდით, ვეძებოთ რეალური მიზეზები და მერმე ვისაუბროთ შედეგებზე და მათი დაძლევის შესაძლებლობებზე.

ამა თუ იმ ერის ფიზიკური არსებობა ოდითგანვე დამოკიდებული იყო ერის სულზე, მის ფსიქიკურ წყობაზე, მის ეროვნულ ცნობიერებაზე. მსოფლმხედველობა, სულიერი სამყარო განაპირობებს ერის სოციალურ, კულტურულ თუ ეკონომიკურ ყოფას. როდესაც ერის სული და შეგნება კნინდება, მაშინ კნინდება მისი სახელმწიფოებრიობაც, მისი დემოგრაფიული სახეც; როდესაც ადამიანის სხეულს ტოვებს სული, იგი იწყებს გახრწნას. ასევეა ერი და საზოგადოება, ერის სული მაცოცხლებელია ეროვნული ორგანიზმისა, ჯანსაღი სულიერი ცხოვრება კი აღორძინებს მის სოციალურ და საზოგადოებრივ ყოფასაც.

რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენი ერის სულიერი ცხოვრება? რამდენად ქმედითნი არიან დღეს ის სულიერი და ეროვნული იდეალები, რომელნიც ასულდგმულებდნენ ჩვენს წინაპრებს, აძლევდნენ სტიმულს ბრძოლისას და შემოქმედებისას, შთაუნერგავდნენ მომავლის იმედს ისტორიული ძნელბედობის პერიოდებში? ან რამდენად მღვიძარებს დღეს ერის სული? ან რამდენად ეზიარება დღეს ჩვენი ერის ყველა ფენა თავისი კულტურის, აზროვნების, ლიტერატურის ტრადიციებს? რამდენად ცხოვრობს თავისი წინაპრების იდეალებით? უფრო მეტიც, რამდენად უწყის მან თავისი ეროვნული ვინაობა, სადაურობა, უწყის თუ არა მან თავისი ისტორია, თავისი რეალური მდგომარეობა აწმყოში და წარსულში, ან თავისი მომავლის პერსპექტივები? ან რამდენად ქმედითია დღეს ჩვენში ზნეობრივი იდეალები ჩვენი წინაპრებისა? ან მათი მასულდგმულებელი რელიგიური იდეალები? ან რამდენად გააჩნია არსებობის უფლება რელიგიას, რომელიც ეროვნული კონსოლიდაციის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა, და რომელმაც ისტორიის ამდენ ქარტეხილებს გადაარჩინა საქართველო? ერის ჯანსაღი სულიერი და ზნეობრივი ცხოვრება ხომ რელიგიის გარეშე შეუძლებელია: ამას გვიმოწმებს ისტორიული და ფილოსოფიური მეცნიერება. რამდენად აქვს შეგნებული ეს ყოველივე ჩვენს ინტელიგენციას? (ე. წ. „ახალი რიტუალების“ დამკვიდრება ვერ შეცვლის რელიგიას თუნდაც მარტოოდენ ესთეტიური თვალსაზრისით. ისინი ვერასოდეს აღზრდიან ადამიანში ზნეობას და მოქალაქეობრიობას).

ერის ჯანსაღი საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველია აგრეთვე ახალგაზრდობის სწორი აღზრდა. მიკვირს, რად აუარეს ზემოხსენებული წერილების ავტორებმა ამ მეტად მნიშვნელოვან პრობლემას. იგი ხომ უშუალო კავშირშია ერის გამრავლების საკითხებთან? შესაძლებელია კი ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბება რელიგიური აღზრდის გარეშე? მსოფლიო პედაგოგიური მეცნიერების კორიფეები (კომენსკი, პესტალოცი, ჰერბარტი და სხვანი) უარყოფით პასუხს გვაძლევენ ამ კითხვაზე. ხოლო სრულყოფილი, ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბების გარეშე შეუძლებელია სრულყოფილი საზოგადოების აშენება. ესეც საყოველთაოდ აღიარებულია. გადავხედოთ ჩვენს სკოლებს, სადაც არნახული უზნეობა სუფევს, სადაც მერვე, მეცხრე და მეათეკლასელი გოგონები სიგარეტს ეწევიან (ზოგჯერ ნარკოტიზებულს) ბიჭებთან ერთად, ბილწსიტყვაობენ და კიდევ მრავალ სხვა უმსგავსოებას სჩადიან. წარმოვიდგინოთ პერსპექტივაში მათ მიერ შექმნილი ოჯახები, მათ მიერ აღზრდილი შვილები, მათ მიერ გახარებული დედ-მამა და სამშობლო, მათ მიერ გამრავლებული ერი. გადავხედოთ აგრეთვე პედპერსონალს, რომელიც უმეტეს შემთხვევაში სავსებით არ შეესაბამება პედაგოგის მაღალ დანიშნულებას. გადავხედოთ უმაღლეს სასწავლებლებს, სადაც კიდევ უფრო უნუგეშო სურათია, კორუფციისა, პროტექციონიზმისა და სხვა მრავალ მანკიერებათა.

ის კატასტროფიულად ფესვგადგმული ობივატელურ-მეშჩანური სენი კი, რომელიც ზემოხსენებულმა ავტორმა დაგვისურათხატა, სწორედ სულიერი ცხოვრების ზემოხსენებული დაცემითა და დაკნინებით არის გამოწვეული. რელიგიური და ეროვნული შეგნების დაკნინებამ მოგვცა მხოლოდ და მხოლოდ ჩაცმა-დახურვაზე, სმა-ჭამაზე, მაღაზიებზე, ვიდეოფილმებზე, გართობაზე და ფეხბურთზე მოსაუბრე საზოგადოება, რომელიც არას დაგიდევთ არც ერის ტკივილებს და არც მისი ყოფნა-არყოფნის საკითხებს.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა ერის დემოგრაფიულ მდგომარეობას განაპირობებს მოსახლეობის ეკონომიური პირობები, რაც საყოველთაოდ ცნობილი აქსიომაა და რაზედაც ჩვენს ავტორებს სიტყვაც არ დაუძრავთ. მოდით, გაბედულად გავუსწოროთ თვალი სიმართლეს: აქვს თუ არა ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობას ისეთი ეკონომიური და საბინაო პირობები, რომ იყოლიოს ორი ან სამი შვილი? ამას წინათ ერთმა ეკონომისტმა გამოიანგარიშა, რომ თვით უკიდურესად უპრეტენზიო, რიგითი მოქალაქის ოჯახს, რომლის შემადგენლობაში შედის ცოლ-ქმარი და ორი შვილი, ყოველთვიურად სჭირდება სულ მცირე 760 მანეთი მინიმალური საარსებო პირობებისათვის. გადავხედოთ ხელფასებისა და კანონიერი შემოსავლის რაოდენობას ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობისას, გადავხედოთ სასურსათო და სხვაგვარ მომარაგებას და ნათელი გახდება, რომ ჩვენი აგიტაცია და გამრავლებისაკენ მოწოდება ფარისევლურ ღაღადისად დარჩება, სანამ ეკონომიური და საბინაო პირობები მოსახლეობისა რეალურად არ გაუმჯობესდება.

ზემოხსენებული წერილის ავტორი ბევრს მსჯელობს სერვანტების, იმპორტული ავეჯისა და სამოსის მოყვარულ ხალხზე და მათ თვლის შობადობის შემცირების ძირითად მიზეზად, მაგრამ ისინი მოსახლეობის 5 პროცენტსაც კი არ შეადგენენ! რად „დაავიწყდა“ მას ძირითადი მასსა მოსახლეობისა, რომელიც ვერასოდეს იოცნებებს თვით ელემენტარულ კომფორტზეც კი, რომელიც ქალაქად უმეტესწილად 1 და 2 ოთახიან, 20-25 კვ. მეტრის ფართობიან ბინებში ცხოვრობს, ხოლო სოფლად, მძიმე საკოლმეურნეო შრომის პირობებში ძლივს უძლებს საკარმიდამო მეურნეობას, რომლის შემოსავალიც ძნელად თუ დააკმაყოფილებს მრავალშვილიან ოჯახს?

წარმოიდგინეთ ახლადდაქორწინებულთა ოჯახი. მათ უნდა მიიღონ ბინა (რაც ძალზე იშვიათად ხდება, ვინაიდან აღრიცხვაზე აყვანაც უდიდესი პრობლემაა, ხოლო რიგები წლობით გრძელდება). 1 სულ მოსახლეზე გათვალისწინებულია 8 კვ. მეტრის ფართობი. მათ მისცემენ 16 კვ. მეტრიან, ან უკეთეს შემთხვევაში 20-25 კვ. მეტრიან ბინას. როგორ უნდა გამრავლდეს მათი ოჯახი ასეთ სივიწროვეში? (ცხადია, იგულისხმება ოჯახი, რომელსაც არ გააჩნია პროტექცია ან მატერიალური სახსრები ქრთამისათვის, მაგრამ ასეთები ხომ უმრავლესობას წარმოადგენენ?).

ავტორს მოჰყავს სიტყვები გამდიდრების სენით შეპყრობილი ერთი პიროვნებისა: „ქვეყნისათვის ვის სცალია, ჯერ სერვანტი არ მიყიდიაო“. და ასეთი დიალოგი ტიპიურად მიაჩნია.

მე კი სხვაგვარ დიალოგს გავიხსენებ, რომელიც მქონდა ამას წინათ ერთ ჩემს ნაცნობ მეცნიერ მუშაკთან (სხვათა შორის, მეცნიერების კანდიდატთან), რომელმაც ანალოგიურ შეკითხვაზე შემდეგნაირად მომიგო: „ქვეყნისათვის დიახაც მტკივა გული, ერის გამრავლებისთვისაც, მაგრამ ბინა არა მაქვს, ნაქირავებ ოთახში ვცხოვრობ, ჩემი 200 მანეთი ხელფასით კი, აბა, სად გავწვდებიო ოჯახს?“ მერწმუნეთ, ჩვენში ამგვარი სოციალური მდგომარეობის მოქალაქენი უფრო ჭარბად არიან, ვიდრე ავტორის მიერ მოხსენიებულნი.

ამრიგად, ნუ მივაფუჩეჩებთ იმ ფაქტს, რომ ეკონომიური და საბინაო პრობლემა ჩვენი ერის გამრავლების ძირითად დამაბრკოლებელ ფაქტორად რჩება. ასე რომ, დღეს საყოველთაოდ ცხადია: ვიდრე ჩვენში არ მოხდება სოციალურ-ეკონომიური ცვლილებები, შეუძლებელია დემოგრაფიული პრობლემის მოგვარება როგორც საქართველოს, ისე სსრკ-ის მასშტაბით. ამგვარ ცვლილებებზე საუბარი არ უნდა განვიხილოთ, როგორც რაღაც მკრეხელობა, ვინაიდან თვით საბჭოთა ხელმძღვანელები აღნიშნავენ, რომ წყობილება განიცდის ევოლუციას, რომ იგი არ არის რაღაც იდეალური და თავისთავში სამუდამოდ დასრულებული, ე. ი. შესაძლებელია „გარდაქმნები“. ამ „გარდაქმნებზე“ მე აქ სიტყვას არ გავაგრძელებ, ვინაიდან ისინი ცალკე მსჯელობის ობიექტებს წარმოადგენენ და მათ შესახებ არაერთხელ გამოთქმულა მოსაზრებანი ჩვენს ოფიციალურ და არაოფიციალურ პრესაში.

●

მე შორსა ვარ იმ განზრახვისაგან, რომ ჩვენს ახალგაზრდობას პესიმიზმი შთავუნერგო ზემოთქმულის დარი მსჯელობით. მიუხედავად ყველაფრისა, ოჯახები უნდა შეიქმნას და განმტკიცდეს, უნდა გვახსოვდეს, რომ მატერიალური გაჭირვება სირცხვილი არ არის, რომ გაჭირვებაში ცხოვრობდნენ და ქმნიდნენ მსოფლიოს უდიდესი ადამიანები ყველა ეპოქისა, რომ სირცხვილია და დასაგმობი სწორედ ის მეშჩანური კულტი სიმდიდრისა და კომფორტისა, რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი, იგი მიუთითებს სულიერ სიდუხჭირესა და გადაგვარებაზე, პრიმიტიულ დონეზე და ჩამორჩენილობაზე. ოჯახების ნგრევა, ცოლ-ქმრის გაყრა სერიოზული საფუძვლის გარეშე, ბავშვების მიტოვება ბედის ანაბარად, ერის წინაშე დანაშაულად მიმაჩნია, რასაც უნდა ვებრძოლოთ ყველა ძალებით.

დღევანდელ მეცნიერებაში გარკვეულია, რომ ერის გამრავლების ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია ქალთა მასობრივი ლტოლვა უმაღლესი განათლებისაკენ. როგორც აღნიშნა ცნობილმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა პ. გუგუშვილმა, საქართველო სსრკ-ში პირველ ადგილზე დგას უმაღლესდამთავრებულ ქალთა რაოდენობით, ხოლო აზერბაიჯანის სსრ უკანასკნელ ადგილზეა ამ თვალსაზრისით. შესაბამისად, საქართველო შობადობის მხრივ უკანასკნელ ადგილზეა, აზერბაიჯანი კი პირველ ადგილზე. შესაძლოა ვინმემ ობსკურანტიზმი და განათლებასთან ბრძოლა უწოდოს ამგვარ განცხადებას, მაგრამ სანამ ჩვენში არ შეიზღუდება უმაღლეს სასწავლებლებში ქალების მიღება, შობადობის პრობლემა არ გადაწყდება. სხვათა შორის, ოჯახის სიმტკიცისა და მდგრადობის პრობლემაც ამ პრობლემას უკავშირდება.

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობაში დაშვებულია ერთი არსებითი შეცდომა, საქორწინო ასაკად დადგენილია 18 წელი. ეს იწვევს ფრიად სავალალო შედეგებს ერის გამრავლებისთვის, ვინაიდან მეცნიერებაში ქალის ფერტილურობის (ნაყოფიერების) ასაკად აღიარებულია 16 წელი. ეს „შეცდომა“ როგორც ჩანს, უნებლიე არ არის და შორს მიმავალ მიზნებს ისახავს, თორემ რატომ უნდა იყოს საქართველო გამონაკლისი ამ თვალსაზრისით? სხვა რესპუბლიკებში ხომ 16 წლის საქორწინო ასაკი? ქ. ორჯონიკიძეში ყოველწლიურად მიდის ასობით ახალგაზრდა ქართველი ახლადშეუღლებული, რათა იქ მოახდინონ ქორწინების რეგისტრაცია. რატომ არ უნდა ჰქონდეთ მათ უფლება თავიანთ სამშობლოში რეგისტრაციისა? დიდი დანაშაულია ერის წინაშე აგრეთვე საააბორტო ბიზნესის ესოდენ დიდი მასშტაბები საქართველოში, მარტო ის რად ღირს რომ პროფ. ი. ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტი, რომელიც მოწოდებული იყო ქართველი ერის გამრავლებისათვის შეეწყო ხელი, დღეს ხელს უფრო უშლის გამრავლებას, ვიდრე ხელს უწყობს თავისი პრაქტიკით. ალბათ შაჰ-აბაზ-თემურ ლენგებსაც არ გაუნადგურებიათ იმდენი ქართველი, რამდენიც აბორტმახერებმა და კონტრაცეპტივების „შემოქმედთ“ გაანადგურეს.

შემდეგი და ფრიად სავალალო გარემოებაა ქართული სოფლის დაცლა, რომელიც აგრეთვე ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია შობადობის შემცირებისა. არსებობს ზოგადი მიზეზები სოფლის დაცლისა, რომელნიც არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ სსრკ-ში განაპირობებენ ამ სავალალო მოვლენას. არსებობს აგრეთვე კერძო, სპეციფიური მიზეზები, რომელნიც სხვადასხვაგვარია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. ზემოხსენებულ წერილში ზოგად მიზეზებზე გაკვრით მაინც არის ნათქვამი, სპეციფიურ მიზეზებზე კი სიტყვაც არ არის დაძრული.

ქართული სოფლის დაცლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია გლეხის ეკონომიური მდგომარეობა, რომელიც დღემდე განპირობებული იყო იმით, რომ გლეხს არ ჰქონდა საკარმიდამოს გაზრდის უფლება, მის მფლობელობაში მყოფი პირუტყვის რაოდენობაც მკაცრად იყო ლიმიტირებული. მძიმე საკოლმეურნეო შრომა კი ვერ აძლევდა გლეხს სათანადო შემოსავალს, ამიტომაც აიყარა მან სოფელზე გული (იყო პერიოდი, მაგალითად, როდესაც გლეხს ჩვენში უფლება ჰქონდა მხოლოდ 1 ძროხის ყოლისა).

დღეს, როგორც ჩანს, სახელმწიფო ცდილობს ამის ნაწილობრივ გამოსწორებას. ამის ნიშანია ე. წ. საიჯარო სისტემა. მაგრამ ამ ექსპერიმენტის განხორციელებას და დანერგვასაც მრავალი რამ ეღობება წინ. აბაშის ექსპერიმენტმა ჯერჯერობით ვერ გადაწყვიტა მეცხოველეობის პრობლემა, ვინაიდან მსხვილფეხა საქონლის მოშენება საძოვრებისა და კომბინირებული საკვების დიდ რესურსებზეა დამოკიდებული, ამიტომ ამ ექსპერიმენტმა ჯერჯერობით მხოლოდ მეღორეობას მისცა სტიმული. აბაშის ექსპერიმენტის დანერგვა სრულიად გამორიცხულია აგრეთვე დასავლეთ საქართველოს იმ რაიონებში, სადაც ძირითადად ჩაი და ციტრუსია მოშენებული, რის გამოც განადგურებულია საძოვრები და ჩამორჩენილია მეცხოველეობა, რაც აუარესებს გლეხის ეკონომიურ მდგომარეობას. საერთოდ, დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილის გადაქცევამ ჩაისა და ციტრუსის კოლონიად დიდად ავნო ჩვენს ქვეყანას. გლეხი ვეღარ ხედავს მოსავლის პერსპექტივას, ჩაის კრეფა დღითიდღე აბერწებს ქალებს, ვინაიდან ქალისათვის ეს არაბუნებრივი შრომა უფრო და უფრო მძიმე ხდება. ძნელია პოვნა წარჩინებული მეჩაიე ქალისა, რომელსაც ერთზე მეტი შვილი ჰყავდეს, უმეტესწილად კი ისინი სავსებით უშვილონი არიან.

ოფიციალური პროპაგანდა ჩვენში დღეს ქართველი ქალის იდეალად მეჩაიეს სახავს. მეჩაიე არის

ის პიროვნება, რომელსაც უნდა მიბაძოს ყოველმა ქართველმა ქალმა. ჰო, მაგრამ როგორ უნდა შევათავსოთ ეს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილის პათოსთან, რომელიც მოუწოდებს ჩვენს ქალებს მრავალშვილიანობისკენ? ჩვენი ერის გამრავლებას არ დაადგება საშველი, სანამ ჩაი და ციტრუსი ესოდენ დიდ როლს თამაშობს საქართველოს სოფლის მეურნეობაში და სანამ მარცვლეულის კულტურა არ წამოიწევს წინა პლანზე. აი, სიმართლე, რომელიც ბევრს შეიძლება არ ესიამოვნოს (სხვათა შორის, ერის გამრავლების ზოგიერთ თავგამოდებულ მოქადაგესაც). სამეგრელო, მართალია, დღესაც პირველ ადგილზეა შვილოსნობის მხრივ, მაგრამ აქაც შეინიშნება საგანგაშო მოვლენები: დღეს სამეგრელოში, განსაკუთრებით რაიონულ ცენტრებში, უკვე ტიპიურია 1 და 2 შვილიანი ოჯახები, მრავალშვილიანები კი თანდათან მცირდება (განსაკუთრებით აბაშის, ზუგდიდის, გალის რაიონებში).

ახლა გადავხედოთ საქართველოს სხვა რაიონებს. აჭარის მთიანეთიდან მიმდინარეობს მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია რუსეთში, კრასნოდარის მხარეში, რისი მიზეზიც არის მიწის სიმცირე, ადგილობრივ თანამდებობის პირთა კორუფცია და უკანონობა, სოფლის კეთილმოუწყობლობა, ქრთამის გაძვირება და სხვა. კრასნოდარის მხარეში 1982 წელს 400-მდე ოჯახი იყო უკვე გადასახლებული, მიგრაცია კვლავაც გრძელდება. რუსეთში გადასახლებულ აჭარელთა შვილებს კი, ცხადია, ქართული აღარ ეცოდინებათ და თანდათანობით გარუსდებიან.

ვით უნდა გამრავლდეს, მაგალითად, მესხეთ-ჯავახეთში, საინგილოსა და აფხაზეთში ქართული მოსახლეობა, რომელიც იქ ყოველგვარ დისკრიმინაციას და შევიწროებას განიცდის, არაქართულ მოსახლეობას კი ყოველნაირი პრიორიტეტი ენიჭება? ინტერნაციონალიზმი არ უნდა ნიშნავდეს ერთი ერისთვის პრიორიტეტის მინიჭებას მეორის ხარჯზე, ერისათვის საკუთარი ტერიტორიის წართმევას და მის გადაცემას მეზობელი ერისათვის. მესხეთ-ჯავახეთში, მართალია, რამდენიმე ასეული ოჯახისთვის აშენდა სახლები, მაგრამ ეს ძალზე მცირეა. ამის გამო უნდა გაძლიერდეს მ. კოსტავას სახელობის საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდი, რომელიც დიდად შეუწყობს ხელს დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებას, სახლების გამოსყიდვას არაქართული მოსახლეობისგან, ამისთვის კი ყველა ორგანიზაციამ და საზოგადოებამ უნდა გადარიცხოს ამ ფონდში თანხა, აგრეთვე, უნდა დაწესდეს მთელი მოსახლეობის 1 დღის ხელფასის გადარიცხვა.

რამ განაპირობა მესხეთ-ჯავახეთის თანდათანობით დაცლა ქართული მოსახლეობისაგან და მისი ავსება არაქართველი, კერძოდ, სომხური მოსახლეობით? იმან, რომ ისტორიულად ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკა მიზნად ისახავდა ამ მხარის თანდათანობით გადაცემას სომხეთისათვის, საქართველოს დანაწილებისა და ასიმილაციის მიზნით. დღეს ეს ტენდენცია, სამწუხაროდ, არ აღმოფხვრილა. ამას ნათელყოფს მრავალი ფაქტი, რომელთაგან ჩვენ მხოლოდ ზოგიერთს ჩამოვთვლით.

1) მთელი მესხეთ-ჯავახეთი წლების მანძილზე გამოცხადებული იყო სასაზღვრო ზონად, საქართველოს მოსახლეობას ეკრძალებოდა იქ ჩასვლა საშვის გარეშე, რაც დიდად აძნელებდა მისვლა-მოსვლას, მაშინ როდესაც სომხეთიდან შესაძლებელი იყო იქ გადასვლა უსაშვოდ. რა არის ეს, თუ არა და სომხური მოსახლეობისათვის პრივილეგიის მინიჭება მესხეთ-ჯავახეთის ათვისებაში? ასეთივე შედეგებს იწვევდა საშვთა სისტემა მთიან აჭარაშიც.

2) ჯავახეთის ქართული მოსახლეობისათვის შეიქმნა აუტანელი პირობები, იმით, რომ არაქართული მოსახლეობის შოვინისტურად განწყობილი ნაწილი ავიწროებს დიდ უმცირესობაში მოქცეულ ქართულ მოსახლეობას და აიძულებს მას დასტოვოს მშობლიური მიწა-წყალი; ვრცელდებოდა ანტიქართული პროკლამაციები, იხურებოდა ქართული სკოლები, ნადგურდებოდა ქართული კულტურის ძეგლები, ქართული სოფლებისთვის ჩამორთმეული ტრანსპორტი ეძლეოდათ არაქართულ სოფლებს, ამასთან, დღესაც არ არსებობს ქართული განყოფილება ახალქალაქის ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში.

3) ახალქალაქისა და ჯავახეთის სომხური სოფლების სისტემატური სტუმრებია სომხური კულტურის მოღვაწენი, რომელნიც თავიანთი აგიტაციით აღვივებენ მათში ექსპანსიონისტურ განწყობილებებს, რისი შედეგიც არის ქართველთა შევიწროება, ქართული კულტურის ძეგლთა განადგურება და სხვა ბარბაროსობა. მაგალითად, ძეგლი კუმურდო დღესაც იმის წყალობით დგას, რომ ჩვენი ძეგლთა დაცვის მუშაკები ატყუებენ სოფელს, თითქოს ეს სომხური არქიტექტურის ძეგლი იყოს, რის გამოც იგი დღემდე ხელშეუხებია.

4) ქართველი მწერლები და კულტურის მოღვაწენი კი არ ეკარებიან არა თუ ახალქალაქის რაიონს, არამედ არც ახალციხეს, ასპინძასა და ადიგენს (შესაძლოა შიშის გამოც). უნდა აღინიშნოს, რომ ახალციხეშიც შეინიშნება ბოლოხანს ანტიქართული გამოხდომები. ახლა კვლავ ვიკითხოთ, ვით უნდა გამრავლდეს აქ ქართული მოსახლეობა? აქ არ არის არავითარი სოციალური პირობები, არ არის გაზი, არ არის წყალი, პროდუქტების კრიზისია, ხალხი იძულებულია სომხეთში იაროს პროდუქტებზე.

ვით უნდა გამრავლდეს, მაგალითად, აფხაზეთის ასსრ-ში ქართული მოსახლეობა, როდესაც იქ აკრძალულია ქართველთა ჩაწერა, მათთვის მიწების გამოყოფა, სახლების მშენებლობა, ოჯახების გაყოფა, კადრების შერჩევა-განაწილებისას პრიორიტეტი ეძლევათ აფხაზური და სხვა ეროვნების კადრებს, მიუხედავად იმისა, რომ ქართველობა 48 პროცენტია, ხოლო აფხაზობა 16. ქართველთა დევნამ იქ ტერორისტული თავდასხმების ხასიათი მიიღო, გარდა ამისა, წინა წლების ანტიქართულმა ექსცესებმა გამოუსწორებელი ზიანი მოუტანა აფხაზეთის ქართველობას, მისი ნორმალური არსებობისა და მით უფრო გამრავლების პერსპექტივები აფხაზეთში გამოირიცხა. ქართული ეროვნების მოქალაქეს იქ ემუქრება უბინაობა, უმიწობა, უმუშევრობა, მატერიალური გაჭირვება, პატიმრობა უმცირესი დანაშაულისთვისაც კი (განსაკუთრებით გაგრა-გუდაუთის ზონაში) მაშინ, როდესაც აფხაზური ეროვნების მოქალაქე არ ისჯება თვით უდიდესი დანაშაულისთვისაც, როგორიცაა სახელმწიფო ქონების დატაცება, მექრთამეობა და სხვა. ერთადერთი დაცვა ქართველისათვის აფხაზად ჩაწერაა და, აი, საპასპორტო მაგიდები ივსება იმ ქართველთა განცხადებებით, რომელთაც სურთ „გააფხაზება“. ასე მრავლდება „აფხაზი ერი“ და შესაბამისად ძლიერდება აფხაზეთიდან ქართველთა მიგრაცია.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ქ. სოხუმში, ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში 6 წლის მანძილზე გაუქმებული იყო სამშობიარო სახლი, ვითომდაც „რემონტის“ მიზეზით. მოსახლეობა იძულებული იყო მიემართა ქ. დრანდის სამშობიარო სახლისთვის, რომელიც სოხუმიდან დაახლოებით 25 კილომეტრზეა. ამის შედეგი იყო ახალშობილთა სიკვდილიანობის ძალზე დიდი პროცენტი, რითაც, უწინარეს ყოვლისა, დაზარალდა ქართული მოსახლეობა, რომელიც სიმრავლის მიხედვით პირველ ადგილზეა ქ. სოხუმში. ასე რომ, სოხუმში სამშობიარო სახლის ჯერ გახსნა ვენდისპანსერის შენობაში, ხოლო შემდეგ მისი ფაქტიური გაუქმება რამდენიმე წლით, მიზნად ისახავდა, უწინარეს ყოვლისა, ქართული მოსახლეობის უსისხლო გენოციდს. აქვე უნდა დავსძინო, რომ სამშობიარო სახლი წლების მანძილზე გაუქმებული იყო ქ. ფოთშიც, რასაც მრავალი მშლოგინესა და ახალშობილის მსხვერპლი მოჰყვა. იგივე მდგომარეობაა ამჟამად ცხინვალის რ-ნის მთელ რიგ სოფლებში, სადაც მოსახლეობა შიშით ვერ სარგებლობს ცხინვალის სამშობიარო სახლით და გორის სამშობიარო სახლის იმედადაა, რომელიც 30 და მეტი კილომეტრითაა დაშორებული მათ სოფლებს. აქაც ხშირია ახალშობილთა დაღუპვის შემთხვევები. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სოხუმის სამშობიარო სახლი მოქმედი იყო, იგი დიდ საფრთხეს უქადდა მშობიარე კონტინგენტს და ახალშობილებს, ვინაიდან იგი იმყოფებოდა, როგორც აღვნიშნეთ, ვენდისპანსერის ყოფილ შენობაში, რაც, სპეციალისტების აზრით, დაუშვებელია, ვინაიდან იწვევს მასობრივ სტაფილოკოკურ და სხვაგვარ ინფექციებს, სეფსისებს და სხვა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ყოველივე ეს „შემთხვევითია“ და არა აქვს წინასწარგანზრახული ხასიათი.

ზემოხსენებული წერილის ავტორმა წამოაყენა ლოზუნგი: „მივბაძოთ მოძმე სომხეთს გამრავლებაში!“ მას კვლავ დაავიწყდა, რომ ისტორიულად რუსული შოვინიზმი პრიორიტეტს ანიჭებდა სომხებს ქართველებთან შედარებით და აკისრებდა მათ მისიას საქართველოს თანდათანობითი კოლონიზაციისას (ვინაიდან თავისი მოსახლეობა არ ჰყოფნიდა ამ მიზნისათვის). ჯერ კიდევ პასკევიჩის დროიდან იწყება კოლონიზაცია მესხეთ-ჯავახეთისა სომხების მიერ, რომელმაც დღეს კულმინაციას მიაღწია. სომხების პრივილეგირებულობა იქიდანაც ჩანს, რომ მათ ფაქტიურად დაიპყრეს ჩვენი შავი ზღვისპირეთი, განსაკუთრებით აფხაზეთი და აჭარა (რაშიც მათ არავინ უშლის ხელს), ხოლო ქართველი ეროვნების მოქალაქისთვის, როგორც ითქვა, აფხაზეთში ჩაწერა უდიდესი პრობლემაა.

სომხებს კი არავინ უქმნის ხელოვნურად დემოგრაფიულ კრიზისებს თავის საკუთარ სამშობლოში, არავინ აძევებს მშობლიური მიწიდან, არავინ უქმნის ხელოვნურად პირობებს რუსეთში მასობრივი მიგრაციისთვის, არავინ ართმევს რელიგიას და ეკლესიას, ენას, კულტურას, არავინ უყალბებს და უგინებს ისტორიას, არავინ აცხადებს სომხეთს საქართველოდ, აზერბაიჯანად ან სხვა რომელიმე ერის სამკვიდრებელ ტერიტორიად. ყველაფერი ეს იმიტომ ხდება, რომ რუსეთის კავკასიური პოლიტიკა არასოდეს ხედავდა სომხებში საფრთხეს თავისი მიზნებისათვის, პირიქით, ისინი მორჩილ და სანდო ქვეშევრდომებად მიაჩნდათ ყოველთვის, აზერბაიჯანელების შემდეგ. (რაც შეეხება აზერბაიჯანელებს, ვოსტორგოვი ხმამაღლა გამოსთქვამდა აღტაცებას ამ ტომით, და კავკასიაში ისინი რუსეთისათვის ყველაზე სასურველ ხალხად მიაჩნდათ, ვინაიდან, მისი თქმით, მათ არ ჰყავდათ ინტელიგენცია, არ ჰქონდათ მწერლობა და არც პრეტენზია დამოუკიდებელი არსებობისა).

ამას წინათ, როგორც ამბობენ, ვაზგენ I-მა ეჩმიაძინში შემდეგნაირი ლოზუნგით დაამთავრა თავისი ქადაგება: „სომხებო! დაიპყარით შავიზღვისპირეთი!“ ცხადია, იგი ამით ყირიმისა და ანატოლიის ნაპირებს როდი გულისხმობდა. თუმც ვაზგენი მხოლოდ ლოზუნგებით როდი უწყობს ხელს გამრავლებაში თავის თანამემამულეებს ჩვენი ზოგიერთი გაზეთის დარად, არამედ აფინანსებს სომეხ კოლონისტებს, რომელნიც საქართველოში სახლდებიან (ცხადია, ვაზგენს ოფიციალობა რომ არ ედგას მხარში, იგი ამდენს ვერც გაბედავდა და ვერც შესძლებდა). გეგმა შემდეგია: უახლოეს წლებში საქართველოში ქართული მოსახლეობა უმცირესობაში უნდა აღმოჩნდეს, ასე რომ, ჯავახეთის ექსპერიმენტით წახალისებული შოვინისტები დღეს უკვე მთელ საქართველოს უმიზნებენ.

1985 წლის ზაფხულში თბილისში ჩამოვიდა ვეფხისტყაოსნის კუბელი მთარგმნელი აუპიერი, რომელსაც მიღება მოუწყვეს თბილისის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში, და ასეთი ინფორმაცია მიაწოდეს საქართველოზე: „საქართველო არის სრული ინტერნაციონალი, საქართველო იგივე სომხეთია, ოსეთია, აფხაზეთია და სხვა.“ საქართველო რომ საკუთრივ საქართველოა, ამაზე ხმაკრინტი, რა თქმა უნდა, არავის დაუძრავს.

ცხადია, დაშნაკთა ეს მიმდევრები ვერ ხედავენ, თუ რარიგ უთხრიან ძირს ამგვარი გამოხდომებით ქართველ-სომეხთა ისტორიულ ძმობას, ან ვის წისქვილზე ასხამენ წყალს.

ახლა ყოველივე ამას დაემატა აპარტეიდის სისტემის დამკვიდრება შიდა ქართლში, ისტორიულ სამაჩაბლოში, საფალავანდოში და ქსნის საერისთაოში, რომელიც „სამხრეთ ოსეთად“ მონათლეს დამპყრობელმა ბოლშევიკებმა. ცხინვალში ქართველებზე ნადირობაა გამოცხადებული, ქართველები ვერ სარგებლობენ მაღაზიებით, სამედიცინო მომსახურებით, რესტორნებით, ტრანსპორტით, გზით, მათ ეკრძალებათ სამსახურებში სიარული, სალამოობით ქუჩაში გამოსვლაც კი. არის შემთხვევები მკვლელობისა, ცემისა, დაჭრისა, ვით უნდა გამრავლდეს იქ ქართული მოსახლეობა ასეთ პირობებში?

მაგალითად, ორი რესპუბლიკის საქართველოს სსრ-სა და აზერბაიჯანის სსრ-ს არათანასწორუფლებიანობა საუკეთესოდ მოჩანს საინგილოსა და მარნეულის მაგალითზე. საინგილოში ყოველივე ქართული კანონგარეშეა გამოცხადებული, ქართველების ეროვნული დისკრიმინაცია და შევიწროება შუასაუკუნეობრივი და მონათმფლობელური ეპოქებისთვის დამახასიათებელ ფორმებს ღებულობს, რა გამრავლებაზე შეიძლება საუბარი, როდესაც მიმდინარეობს ქართველთა ფარული გენოციდი და ასიმილაცია, ოფიციალურად სანქციონირებული. მარნეულის რაიონში კი ჰყვავის და მრავლდება აზერბაიჯანული მოსახლეობა, ძლიერდება მისი ექსპანსია იმდენად, რომ მას უკვე გაუჩნდა ავტონომისტური ამბიციები. აი, რა მოგვიტანა საქართველოს გადაქცევამ ინტერნაციონალიზმის „თავისებურ ლაბორატორიად“, რითაც ეგზომ ამაყობდა ე. შევარდნაძე 1985 წლის 4 ივლისის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში.

●

დემოგრაფიულ პრობლემასთან მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული აგრეთვე სწავლა-განათლების სისტემაში არსებული მანკიერებანი, კორუფცია და ქრთამის უკიდურესად გაძვირება საქართველოს სსრ, განსაკუთრებით თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში. (მაგ. სამედიცინო ინსტიტუტში 1985 წელს ქრთამმა სარეკორდო ციფრს, 70 ათას მანეთს მიაღწია). ამის შედეგად მრავალი გულაცრუებული ახალგაზრდა ეძებს ბედს რსფსრ-სა და სხვა რესპუბლიკებში, სადაც, მათის თქმით, უფრო „იაფია“ უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრა. ამ მიზნით შავი ზღვისპირეთისა და სხვა საკურორტო რაიონების მკვიდრნი ნაცნობობას აბამენ რუსეთიდან ჩამოსულ მოქალაქეებთან, რომელნიც შემდეგ მათ ეხმარებიან რუსეთში სწავლის გაგრძელებაში, საბინაო პრობლემის მოგვარებაში და ა. შ. ამას მოსდევს ხშირი შერეული ქორწინებანი, რაც აგრეთვე დამღუპველია ქართული ოჯახისათვის, ქართული ენისათვის. ხშირია აგრეთვე ახალგაზრდების სამუდამოდ დარჩენა რუსეთში, ვინაიდან მათთვის იქ უფრო ხელისშემწყობი პირობებია სწავლისა და მუშაობისათვის. „კომკავშირული საგზურები“ განსაკუთრებით ხელს უწყობს ამ მოვლენას. ასე რომ, ამ გზითაც საქართველო ყოველწლიურად ათასობით ახალგაზრდა ადამიანს კარგავს, შესაძლოა სამუდამოდაც. ავიღოთ, თუნდაც, სამხედრო ბეგარის პრობლემა. სამხედრო ბეგარა იმ რესპუბლიკებში, რომელთა მოსახლეობაც მცირერიცხოვანია და მატების ნაცვლად კლებას განიცდის, არ უნდა იყოს იმავე პროპორციისა, როგორიცაა სხვა ჭარბმოსახლეობიან რესპუბლიკებში. ამიტომ საქართველოს სსრ ხელმძღვანელებმა საკითხი უნდა დააყენონ მოსკოვის მთავრობის წინაშე საქართველოში სამხედრო ბეგარის გაუქმების შესახებ, ეროვნული შინაგანი ჯარის შექმნის შესახებ, ვინაიდან ეს ჩვენთვის ყოფნა-არყოფნის საკითხია, სხვა მრავალრიცხოვანი ერებისთვის კი არა. სსრკ მოსახლეობის რესურსები კი იმდენად დიდია, რომ საბჭოთა „არმიას“ არ დააკლდება ჩვენში სამხედრო ბეგარის შემცირება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ახალგაზრდებისთვის უკიდურესად სახიფათო გახდა საბჭოთა არმიაში სამსახური. საკმარისია ითქვას, რომ 9 აპრილის შემდეგ უკვე 90 ახალგაზრდა ჩამოასვენეს სხვადასხვა სამხედრო ნაწილებიდან.

ერის გამრავლების პრობლემასთან მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული დამნაშავეობის ზრდა, განსაკუთრებით მკვლელობებისა, რაც ჩვენი საზოგადოების სამართლიან შეშფოთებას იწვევს. ეროვნული მოძრაობის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით გამოხატულია ქართველი ხალხისადმი შემდეგ მიმართვაში, რომელიც 1990 წლის თებერვალში გავრცელდა საქართველოში:

„უკანასკნელ ხანებში ჩვენში თავი იჩინა კიდევ ერთმა საგანგაშო სენმა, რომლის დასაძლევად და აღმოსაფხვრელად უნდა დაირაზმოს მთელი ჩვენი შეგნებული საზოგადოებრიობა, ჩვენი ერი. მახინჯმა სოციალურმა წყობამ, ახალგაზრდობის არასწორმა აღზრდამ, მისთვის ნამდვილი სულიერი და ეროვნული იდეალების ნაცვლად ყალბი იდეალების თავს მოხვევამ რეგილიასთან ბრძოლამ და მისმა დისკრედიტაციამ ათეისტური სახელმწიფოს მიერ, მასებში მერკანტილური ფსიქოლოგიის გაბატონებამ დახცა ზნეობა, გახრწნა საზოგადოება, რაც განსაკუთრებით დაეტყო ახალგაზრდობის სულიერ მდგომარეობას. მართალია, ეროვნული მოძრაობის აღმავლობამ მრავალ ახალგაზრდა ადამიანზე მოახდინა კეთილი გავლენა, ჩააბა ისინი თავისუფლებისათვის ბრძოლაში, აქცია იდეისათვის თავდადებულ ადამიანებად, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს მაინც არიან ცალკეული ახალგაზრდები, რომელთაც მხოლოდ ნიღბად აქვთ ეროვნული მებრძოლის პოზა, საქმით კი სულ სხვაგვარ გზაზე დგანან. საქართველოში და, კერძოდ, თბილისში კატასტროფულად გახშირდა მკვლელობები, სხეულის მძიმე დაზიანებები ხშირად სავსებით უმიზეზო წალაპარაკებისა თუ კონფლიქტის ნიადაგზე, ზოგჯერ კი ანგარების მიზნითაც. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ასეთ ადამიანებს მხოლოდ უბრალო მკვლელებს და კრიმინალებს ვერ დავარქმევთ. რამდენადაც დღეს საქართველოს უმძიმესი სოციალურ-პოლიტიკური და დემოგრაფიული კრიზისის წინაშე დგას და ფაქტობრივად ომის მდგომარეობაშია, რამდენადაც ამგვარი მკვლელობები ლახვარია ჩვენი ერისთვის და ჩვენი უბოროტესი მტრების შავბნელი ზრახვების განხორციელებას უწყობს ხელს, ამგვარი ქმედება დღეს უნდა განისაზღვროს როგორც ერის შეგნებული მტრობა, ერისა და ეროვნული მოძრაობის ღალატი, ხოლო ამგვარი ქმედების ჩამდენნი, როგორც მოღალატენი სამუდამოდ უნდა მოიკვეთონ ერისგან. უნდა შედგეს მათი ვინაობის ამსახველი კარტოთეკები, ფოტოსურათები, ყოველგვარი მონაცემებით, რათა ერმა იცოდეს მათი ვინაობა, რათა მათი სახელი შეაჩვენოს ყველა ჩვენგანმა. მათ წინააღმდეგ უნდა დაირაზმოს მთელი ერი, რამეთუ გარეშე მტრის დამარცხებაზე არანაკლებ ძნელია შინაური მტრის დამარცხება“.

საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის სახელით ეს მიმართვა წაკითხულ იქნა 1990 წლის 20 თებერვალს მიტინგზე ჩემს მიერ.

ამრიგად, მხოლოდ ქმნა მართლისა სამართლისა როდი შეიქმს ხმელსა ხეს ნედლად, არამედ აგრეთვე თქმა მართლისა, სიმართლისა. სიმართლის მიჩქმალვამ და წაყრუებამ ავნო ყველაზე მეტად ჩვენი ეროვნული პრობლემების მოგვარებას. დაე, ყველა ჩვენგანმა შეიტანოს ამჟღავნად თავისი წვლილი ამ სიმართლის გაცნობიერებაში და პოპულარიზებაში, რაც აუცილებელი პირობაა ქართველი ერის გადარჩენისა, ვიდრე საქართველო მიაღწევდეს სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

1985-1990

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება, რეპლიკა, მოსაზრება

წერილები „ლიტერატურულ საქართველოს"

განვიხილეთ თქვენი გაზეთის 1990 წლის 6 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული სტატია „ველოდებით გადაბმული ციფრების შემსწავლელ კოოპერატივს" და გაცნობებთ, რომ პუბლიკაციაში გამოთქმულ აზრს, თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურში ქართულ ენაზე მოსახლეობისაგან საქალაქთაშორისო სატელეფონო შეკვეთების მიღების აუცილებლობის შესახებ კავშირგაბმულობის სამინისტრო იზიარებს.

რესპუბლიკის მოსახლეობა თქვენი გაზეთისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა წყაროებით ინფორმირებულია იმის შესახებ, თუ რა კეთდება სამინისტროს სისტემაში ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად, მისი მოვლისა და პატრონობისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დიდ ეროვნულ საქმეში ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებები, რაც განპირობებულია რიგი ობიექტური მიზეზებით. ასე მაგალითად: მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურში საქმის წარმოება ქართულ ენაზეა გადაყვანილი, მისი საკომუტატორო საამქროს ზოგიერთ ადგილზე ჯერ კიდევ ვხვდებით მეელსმენეების მიერ აბონენტისათვის რუსულ ენაზე პასუხის გაცემას. ყოველივე ეს განპირობებულია იმით, რომ აღნიშნულ საწარმოში დასაქმებულია სხვადასხვა ეროვნების მოქალაქე, რომელთა შორის ჯერ კიდევ ბევრია ქართული ენის უცოდინარი.

აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად სადგურში ჩამოყალიბებულია ქართული ენის შემსწავლელი კურსები, სამუშაოზე ახალი თანამშრომლების მიღებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქართული ენის ცოდნას და დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღებას

ყოველივე ამან საშუალება მოგვცა ქართული ენის მცოდნე მუშაკებით დაგვეკომპლექტებინა ჯერჯერობით სადგურის შეკვეთების (07, 007) და საცნობარო (05) სამსახურები, ხოლო გარკვეული პერიოდის შემდეგ, საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურში მთლიანად დაინერგება აბონენტთა მომსახურება ქართულ ენაზე.

როგორც სტატიაში მოყვანილი კონკრეტული ფაქტის შესწავლით დადგინდა, ა/წლის 19 მარტს მეელსმენე ვ. ლუკიანოვას (და არა ვაისერმანს) ნამდვილად ჰქონდა აბონენტთან დიალოგი რუსულ ენაზე, ვინაიდან მან არ იცის ქართული ენა.

მხედველობაში იქნა რა მიღებული ის გარემოება, რომ ვ. ლუკიანოვა დარგის ძველი და მაღალკვალიფიციური მუშაკია და მას ასაკის გამო არ შეუძლია კარგად შეისწავლოს ქართული ენა, თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის უფროსის ა/წლის 16 აპრილის ბრძანებით იგი სხვა სამუშაო უბანზე იქნა გადაყვანილი. ამავე ბრძანებით განისაზღვრა დამატებითი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს აღნიშნულ საწარმოში შრომითი დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურში კადრების დამაგრებისა და მოზიდვის მიზნით ტარდება ღონისძიებათა კომპლექსი, იგი ჯერ კიდევ განიცდის მეელსმენეების მწვავე ნაკლებობას, რაც დიდ გავლენას ახდენს მოსახლეობის მომსახურებაზე.

ბორის ბოჭორიშვილი,
საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე.

●

თქვენი გაზეთის მიმდინარე წლის 25 მაისის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს დამსახურებული მხატვრის ბორის მანაგაძის წერილი „თვალსაზრისი", რომელიც ეხება თბილისში დავით აღმაშენებლის ძეგლის ადგილს. სწორედ ამ საკითხზე მინდა მოგახსენოთ ჩემი მოსაზრებაც. თვით ძეგლის ესკიზზე მე ვერაფერს ვიტყვი, ეს სპეციალისტების საქმეა, რაც შეეხება ძეგლისათვის გამოყოფილ ადგილს, სასტუმრო ივერიის წინ მისი დადგმა, თუმცა სამუშაოების შესრულება იოლია, მაინც დიდ შეცდომად მიმაჩნია. ჯერ ერთი, ძეგლი როგორი უზარმაზარიც არ უნდა იყოს, იმ ადგილას ჩაიკარგება და ჩვენი დიდი წინაპარი პატარად მოგვეჩვენება და, თანაც, ყველა ჯურის წარმომადგენელმა, თუნდაც სტუმარმა, მას ზემოდან (სასტუმროდან) რატომ უნდა უყუროს. ამ საკითხზე ვესაუბრე არქიტექტორ ტონი კალანდარიშვილს, მაგრამ, რასაკვირველია, ვერ დავარწმუნე. მან მკითხა, სად ისურვებდიო, მე ვისურვებდი, რომ მეფე მეფისათვის შესაფერის ადგილზე იდგეს.

როგორც მოგეხსენებათ, დღეს ქალაქის ავტოინსპექციას შესანიშნავი შენობა აქვს, ლამაზი კოლონადებით. ის მოჩანს ქალაქის მრავალი ადგილიდან, სანაპიროებიდან, ბარათაშვილის, პუშკინის და ლესელიძის ქუჩებიდან, მეტეხისა და ბარათაშვილის ხიდიდან, ფუნიკულიორიდან და სხვა. ამ შენობის მარცხენა მხარეს იგება ეკლესია და, ცხადია, მის აგებასთან დაკავშირებით, ავტოინსპექცია შეიცვლის ადგილსამყოფელს. მარჯვენა მხარეს, ამაღლებულ ადგილზე კი სწორედ დავით აღმაშენებლის ძეგლი დაამშვენებდა დედაქალაქს. ქვემოთ მისი საყვარელი ქალაქი იქნება და მეფე ზემოდან მიაპყრობს მზერას, რაღაცით დაიცავს მას. ვისაც მასთან სიახლოვე მოესურვება, გორაკზე ასვლა არც ისე რთულია. და კიდევ ერთი, ახალგაზრდობის ხეივანზე ქართვლის დედა, მეტეხზე ვახტანგ გორგასალი, აქ კი დავით აღმაშენებელი, ერთგვარ საამაყო ანსამბლს შექმნიდნენ.

გივი ოდიშარია,
თბილისის სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსის მოადგილე, მილიციის პოდპოლკოვნიკი.

●

„სოიუზპეჩატის" მესვეურთა უყურადღებო მუშაობამ ბოლო წლებში კიდევ უფრო იმატა, რაც ხელისმომწერთა გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს.

მოთმენა შეუძლებელია! დედაქალაქიდან მოშორებულ რეგიონებში ქართული ჟურნალ-გაზეთები, განსაკუთრებით, „ლიტერატურული საქართველო" და „სახალხო განათლება" ნაკლულად იგზავნება. დეპეშებზე კი პასუხს არავინ გვცემს.

გასული წლის „ლიტერატურული საქართველოს" 50-ე ნომერი და მიმდინარე წლის მე-11 ნომერი — 154-154 ეგზემპლარი სრულებით არ გამოაგზავნეს ლესელიძის ფოსტის მისამართით.

განა მარტო ჩვენ, ლესელიძელები ვართ ამ მდგომარეობაში? გთხოვთ დახმარებას.

154 ხელისმომწერის დავალებით

ვ. ფილია

●

ტყვარჩელში მცხოვრები ქართველები აღელვებული ვართ იმის გამო, რომ ვერ ვიღებთ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" ნომრებს.

ამის თაობაზე ტყვარჩელის „სოიუზპეჩატის" თანამშრომლებმა კონკრეტულად ვერაფერი გვიპასუხეს. ხოლო მათ. აფხაზეთის „სოიუზპეჩატისთვის" გაზეთების დაკარგვის მიზეზი რომ უკითხავთ, უპასუხიათ, თბილისში დარეკეთ, მაგრამ პასუხი არ მიგვიღიაო.

ჩვენ ვეჭვობთ, რომ განგებ არ გვაძლევენ გაზეთის ნომრებს. ასევე განგებ გვირთავენ თბილისიდან საინტერესო ტელეგადაცემებს, ახლა გაზეთების წაკითხვასაც გვიკრძალავენ. როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ყოველივე ეს?!

ველით თქვენს დახმარებას.

წერილს ხელს აწერს ტყვარჩელში მცხოვრები 21 ქართველი.

რედაქციისაგან:

მსგავსი ხასიათის წერილები რედაქციას სხვა დროსაც მიუღია. მაგრამ ამ შემთხვევაში, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" ნომრების დაკარგვა ტყვარჩელსა და ლესელიძეში ადგილობრივი „სოიუზპეჩატის" უგერგილო მუშაობის ბრალი არ უნდა იყოს. როგორც წერილის ავტორები ეჭვობენ, შეიძლება ამას სულ სხვა მიზეზები ჰქონდეს. სასურველია, რომ იგი არ გამართლდეს. ამიტომ, აფხაზეთის „სოიუზპეჩატიდან" ველით დასაბუთებულ პასუხს, თუ რატომ ვერ მიიღო ტყვარჩელისა და ლესელიძის მოსახლეობამ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" ნომრები, ან რატომ ღებულობს დაგვიანებით.

●

თქვენი გაზეთის ამა წლის 4 მაისის ნომერში გამოქვეყნებულია წერილი სათაურით „გთხოვთ დაგვეხმაროთ. დადგინდა, რომ მცხეთის რაიონის მუხრანის მცხოვრებ მოქ. ცქიმანაურს მართლაც რამდენჯერმე დააკლეს და თავის დროზე არ მიუტანეს გაზეთი „ლიტერატურული საქართველო". ამჟამად ეს საკითხი მოგვარებულია და ცქიმანაურს პრეტენზია აღარ აქვს.

მსგავსი ხასიათის საჩივრები სამინისტრომ განიხილა კოლეგიაზე ამა წლის 29 აპრილს და დასახა კონკრეტული ღონისძიებები მათი აღმოფხვრისათვის.

მ. ინაური
საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრის პირველი მოადგილე.

●

1990 წელს 6 თვით გამოვიწერე გაზეთები „ლიტერატურული საქართველო", „კომუნისტი", „თბილისი", და „ლელო" იმ იმედით, რომ 1990 წლის II ნახევრისას მოგვიანებით გამოვიწერდი, მაგრამ როგორც ჩაქვის ფოსტაში, ასევე ქობულეთშიც, უარი მითხრეს გაზეთების გამოწერაზე.

გთხოვთ დამეხმაროთ ზემოთ აღნიშნული გაზეთების გამოწერაში.

პატივისცემით **რევაზ ხოფერია.**

რედაქციისაგან:

მსგავსი შინაარსის წერილი რედაქციაში არაერთი შემოვიდა. ამგვარი ხელოვნური ბარიერის შექმნა ხომ არ მოასწავებს პრესის მნიშვნელობის უგულებელყოფას?

შესაბამის ორგანოებს ვთხოვთ ამ პრობლემის გარკვევას.

ღია ბარათი

რწმენა და იმედი არ დამიკარგავს იმისა, რომ საქართველოში არიან გულისხმიერი, კეთილი ადამიანები, თუმცა, დღემდე ასეთები ცოტანი შემხვედრიან... ბედმა მწარე და ნაღვლიანი ბავშვობა მარგუნა და აი, ამ დროს დედაც დამიპატიმრეს... დღესაც არ ვიცი, რა დააშავა დედაჩემმა ისეთი, რომ 18 წელი მიუსაჯეს; 6 წელია ვეწამებით, აქეთ მე ინტერნატის ცივ კედლებში, იქით კი საბრალო დედა, ციხის ყრუ კედლებში.

ძვირფასო რედაქცია, ძალიან მიჭირს უდედობა, მარტოობა, იქნებ მე მაპატიონ დედის დანაშაული, აკმარონ სასჯელის ნახევარი და დამიბრუნონ დედა და ბავშვობა.

გთხოვთ აღმიძრათ შუამდგომლობა პრეზიდიუმის წინაშე, — დანაშაულის სიმძიმეში მე ვერ ვერკვევი, მაგრამ დედას რომ კაცი არ მოუკლავს, ეს ვიცი. იქნებ დაგვეხმაროთ მეც და ჩემს საბრალო დედასაც.

ნანა ჩიქოვანი,
ზუგდიდის სკოლა-ინტერნატის IV კლასის მოსწავლე.

ჩვენი მცირე განმარტება

გულდასმით წავიკითხე დავით კოჟორიძის წერილი „სამცხე-ჯავახეთის წარსული და დღევანდელობა" („ლიტ. საქართველო", 2/II, 1990 წ.). წერილი უაღრესად მტკივნეულ საკითხებს ეხება, რამაც ჩვენზე ძალიან იმოქმედა და რაშიც სავსებით ვეთანხმებით ავტორს. ისიც მართალია, რომ ქართულმა თეატრალურმა კოლექტივებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ მესხი და ჯავახი თანამოძმეებისადმი. ბატონო დავით, თქვენ ერთ ადგილას წერთ: „ჩვენი რესპუბლიკის წამყვანი ქართული მხატვრული კოლექტივებიდან მთელს საბჭოურ ეპოქაში, მხოლოდ ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი იყო საგასტროლოდ, ისიც ერთხელ, 1959 წლის აგვისტოში". სწორედ ამასთან დაკავშირებით გვინდა გითხრათ, რომ ჩვენი თეატრი მიუხედავად ოპერისათვის დამახასიათებელი სირთულეებისა, ყოველთვის ცდილობს უფრო ახლოს იყოს ხალხთან. ამის დასტურია ისიც, რომ იგი ხშირად მართავს გასვლით კონცერტებს საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. ორი წლის უკან გაზეთმა „სოფლის ცხოვრებამაც" წამოჭრა ეს საჭირბოროტო საკითხი, რასაც მოჰყვა ინტერვიუ ჩვენი თეატრის გენერალურ დირექტორთან ზურაბ ლომიძესთან სათაურით „მშობლიური უცხო ხილად?" („სოფლის ცხოვრება". 8/V, 88 წ.). ზურაბ ლომიძემ მთელი კოლექტივის აზრი გამოხატა, როცა ამ ინტერვიუში თქვა: „ჩანაწერის მოსმენა, ან თუნდაც ტელევიზიით გადმოცემულის ნახვა, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ სულ სხვა მადლი აქვს უშუალო ხილვას, არა მარტო სცენაზე, არამედ მის გარეთაც. ერთი გასაუბრება, ხელის ერთი ჩამორთმევა გააახლოვებს ადამიანთან, სხვანაირად შეგაყვარებს მასაც და მის ხელოვნებასაც. არ შეიძლება ეს უშუალო კონტაქტები მოვაკლოთ ჩვენს მშრომელებს და არ უნდა მოვაკლოთ ჩვენს ხელოვნების ოსტატებსაც, ამ ურთიერთობებს ხომ ორმხრივი სარგებლობა მოაქვთ". ეს სიტყვები მხოლოდ სილამაზისათვის არ თქმულა და იმავე წლის ივლისის თვეში ჩვენი თეატრის ასკაციანი კოლექტივი საგასტროლოდ გაემგზავრა მესხეთ-ჯავახეთში, სადაც რამდენიმე რაიონში დიდი წარმატებით ჩავატარეთ კონცერტები. ჩვენს ამ გასტროლებს დაემთხვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია II-ის მოგზაურობა სამხრეთ საქართველოში. ახალციხეში იგი ჩვენს კონცერტსაც დაესწრო, ხოლო გაზეთი „განახლებული მესხეთი" (9/II, 88 წ.), ფართოდ გამოეხმაურა ჩვენს კონცერტებს. არ იფიქროთ, ამით იმას ვამბობდეთ — ხედავთ რა კარგები ვართო. არა, ამ შემთხვევაში მხოლოდ ფაქტი აღვნიშნეთ, თორემ ძალიან კარგად ვიცით, რომ მოვალენი ვართ, ჩვენი ხელოვნებით ხალხს ვემსახუროთ (მეტი რა შეგვიძლია). იმდენად რთული სპეციფიკა აქვს საოპერო ხელოვნებას, რომ ყოველთვის არ ხერხდება სპექტაკლებით მოგზაურობა. (არა და ესეც აუცილებელია). ამ ბოლო ხანებში, ახლო-მახლო რაიონებში, ღია ცის ქვეშ, უფრო სწორედ ეკლესიის გალავნებში (ქვათახევის, სვეტიცხოვლის, ატენის სიონის) დავდგით ზ. ფალიაშვილის „დაისი". რასაც ადგილობრივი მსმენელის დიდი აღტაცება მოჰყვა და ჩვენ თავადაც ფრიად კმაყოფილები დავრჩით. რადგან სიტყვამ მოიტანა, იმასაც ვიტყვით, რომ, თუ რაიონებში ადგილობრივი ხელმძღვანელების ელემენტარული ხელშეწყობა იქნება, მზად ვართ ასეთივე სპექტაკლებით (რა თქმა უნდა, ქართული რეპერტუარით) გავემგზავროთ შორ რაიონებში და, უპირველეს ყოვლისა, სამცხე-ჯავახეთში. გარდა ამისა, გადაწყვეტილი გვაქვს, ვთხოვოთ მთავრობას დახმარება, რომ თუნდაც ერთი ქართული ოპერით ვეწვიოთ საინგილოს. ეს, რაც შეეხება სპექტაკლებს, თორემ როგორც კი გათბება (მოგეხსენებათ, სიცივე მომღერლის დაუძინებელი მტერია), საქართველოს სახალხო არტისტის ნოდარ ანდღულაძის თაოსნობით, კონსერვატორიის სტუდენტებთან ერთად ჩვენც აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ სარაიონო საკონცერტო ტურნეებში და სამცხე-ჯავახეთსაც ვეწვევით.

მედეა ამირანაშვილი, ლიანა კალმახელიძე, ელდარ ჭეჟაძე, ჯემალ მდივანი, ნუგზარ ბელაშვილი, იმერი კავსაძე.

გამოხმაურება, რეპლიკა, მოსაზრება

ლადო სულაბერიძე

ინფარქტიანთა პალატიდან

ვალერიან ადვაძეს

ინფარქტიანთა პალატში ვარ გაშოტილი
და ვულაპავ ჩვენი გულიკონა ჩაფიძის აბებს, —
(აგერ, სულ ახლა, გოგო იყო მართლაც შოლტივით...
ნუ გავახსენებთ ახლა ამას...
და
შვილის ამბებს...)
ტელევიზორის ეკრანს ვუცქერ გაფაციცებით,
შენ ედავები იმპერიის საბჭოის ლაშქარს.
შენი სიტყვები ჰიხვინებენ, როგორც კვიცები,
კრწანისის ველზე უმხედრებოდ დარჩენილ რაშთა.
ელჩო ქართველო,
თქვი,
მართალი სიტყვით ვხურდებით,
სულ იმედით ვართ,
მოლოდინით,
ღმერთით,
სულ ხვალით...
ნუთუ ელჩობაგაწბილებით ჩამობრუნდები,
როგორც მობრუნდა ევროპიდან საბა-სულხანი?!
....
ბობოქრობს ქართლი, კახეთი და კლდენი შატილის,
საქართველოში იმპერიის ანგრევენ აბრებს...
....
ინფარქტიანთა პალატაში ვარ გაშოტილი
და ვულაპავ ჩვენი გულიკონა ჩაფიძის აბებს.

აფხაზ ექიმს

ინფარქტით თერაპიის ინსტიტუტში დამაწვინეს. პირველივე დღეს ჩემი მკურნალი ექიმი აფხაზი აღმოჩნდა — ქალბატონი იზოლდა კაკბა.

იზოლდა ჩემო, რაც მოხდა სოხუმს,
არ მავიწყდება, რა დამავიწყებს?!
ძველი სიმები გულის ჩონგურზე,
მოდი, ძველებურ ჰანგზე ამიწყვე.

აფხაზ კოლეგებს მე ვერ შეგიქებ,
ვერ შევძელ მათი ცოდვის შენდობა.
შენი ღიმილი კი ღვთიურია
და ის ჩემს ცოდვილ სულს შეედნობა.

ჰა, შენს კალთაზე, ჰა, ჩემი გული,
ჰყრის სიყვარულის ცხელ-ცხელ
ნაკვესებს,
თუ გინდა ლახვრით გააპე იგი,
ან სიყვარულის ძაფით დაკემსე.

დაგლეჯილია, გაპობილია
ამდენი მტრობის გესლით, სამსალით,
ჩაჰხედე, ხომ არ არის მოძმეთა
შიგ სიყვარულის წყარო ჩამშრალი?!

მაშ, მიეშველე, გადაარჩინე,
ააწყვე სიმი ძველი ჩონგურის,
რომ სიყვარული განაგრძოს შენი
და სიძულვილი ყველა ორგულის.

ღიმილი

ლია მიქიაშვილს

უამბობს ექიმს: მთებში აღარ მივქრი ქარშიო...
ახლა ინფარქტმა ჯვარს რო მაცვა, —
ტახებს ვკლავდიო. —
მაჯას უსინჯავს სათნო დაი მიქიაშვილი,
უამებს
ღიმილ,
ღიმილ,
ღიმილ,
ტახიკარდიას.
ღიმილს ძალუძსო, რაიც წამალს არ შეუძლია,
უმზეოდ არსად ვარდ-ყვავილი ველზე არ შლილობს.
ლია ექიმო, გაიღიმე, გარშემო, ლია
ინფარქტიანთა ღრუბლები წევს, მიქიაშვილო.
გულს რო შეალეწს ფრთას სიკვდილი, ოდენ გაბზარავს,
ისეც დასერილს ჰირ-ვარამის მწარე ბზარებით.
შემოგაფარებს კვართს იესო ნაზარეველი
და ლია გეტყვის: „მე ღიმილით მოგეფერები“.
ზოგს წვეთოვანი, ზოგს ნიტრონგი, ზოგს რიბოქსინი,
გარეთ ქარები წუთისოფლის მიჰქრიან ქშინვით...
ინფარქტიანთა პალატები არის მოსილი
ღიმილით დისა მოწყალების — მიქიაშვილის.
— კვლავ მოკლავ ტახებს, რაკი ადრეც
ტახებს კლავდიო...
ყურთ ნიავივით ჩაგჩურჩულებს მოწყალე ლია.
უამებს
ღიმილ,
ღიმილ,
ღიმილ,
ტახიკარდიას, —
ღიმილს ძალუძსო, რაიც წამალს არ შეუძლია.

დრო

დროს ვერ ენდობი...
დრო მუდრეგია...
დრო ზოგჯერ
ბრმაა...
ყრუა...
ლენჩია...
დროს ბევრის ქედი მოუდრეკია...
დროს ბევრის გული გაუხლეჩია...
დროს ბევრის სული ცად აღუპყრია, —
დროს ახსოვს დრონი ღვთაებისანი...
დროს ბევრის შუბლი გადაუპია, —
დროს ახსოვს დრონი კაენისანი...
....
ჩვენს დროს
რა დრო ჰფლობს?
რაის მიზანი? —
ღვთაებისანი?
კაენისანი?

მიწა — ზეცისკენ...

ნინო ანანიაშვილს

თითქოს
სულები
ჩანან
მირაჟში, —
საიდუმლოთა გამოღვიძებად...
თითქოს
გაისმის
ნანა
ნიავში, —
ნანაობს...
ტოკავს...
ფეთქავს...
იზრდება...
ქებათაქება ანანიაშვილს! —
მიწას ზეცისკენ რომ ეზიდება...
თითქოს ვარსკვლავმა გაიკრიალა...
თითქოს განერთხო ფერხთქვეშ
მთა-ველი...
სცენაზე დაჰქრის ქალი კი არა, —
ჩაგუბებული ქალში ჰაერი...

გედის ტბა!
გედი! —
სული ცისფერი
ანგელოსურად ვნახე მკრთომარი...
პეპელას ფრთებზე ჩამოისვენებს
სხეული, — ასე ჰაეროვანი...
....
განა სიოში,
განა ნიავში, —
ქარში!!! —
ქართული სისხლი ფხიზლდება...
...ქებათაქება ანანიაშვილს! —
მიწას ზეცისკენ რომ ეზიდება...

თეიმურაზ აბულაძე

მათ კი...

სული ყველასთვის,
გული ყველასთვის
გაგებული მაქვს ფერხთქვეშ:
— ინებეთ!
მათ კი...
უელავთ თვალნი მელასი,
და ზედ მგლებივით დაჯლიგინებენ.

არაგვისი

არა მშურის ამა ქვეყნად
არა რისი,
არა ვისი,
მშურის მხოლოდ არაგვისი,
მწყურის მხოლოდ არაგვისი: —
ადუღდება,
გაქანდება,
არარაის ხათრი-მათრი...
ლოდებს გააქვთ ხათქა-ხუთქი,
ხევებს
ხაფრავს
ხაფი მათი...
....
ღმერთო, თუგინდ დღე ცისმარე
ცრემლის წვიმით მამარაგე...
ღმერთო, თუგინდ დარდის ლოდით
გადამჯეგე,
გადამქოლე...
ოღონდ ერთხელ მაარაგვე
და ჩემს ჰკვაზე გამაქროლე...

მოიძევება...

პატიოსანი კაცი
საიქიოში ვირებს მწყემსავსო.
ანდაზა

1.
მოიძებნება ამქვეყნად ძვირად
კაცი,
რომელსაც ამ ყოფის წვირე
არ სჭამდეს სხეულს...
არ წვავდეს გულგვამს...
ასეთი კაცი კი სადმე თუა,
არ ეკითხება კაცთაგან ჭკუა.

2.
მოიძევება (თუმცაღა ძვირად)
კაცი,
რომელსაც ცხოვრების წვირე
უშუშხავს სხეულს...
და გულგვამს თუთქავს...
რად გინდა მერე! —
ის კაცი ვირებს
საიქიოში მწყემსავსო, — უთქვამთ.

ჩემი დაკრძალვის დღე

არა ვყოფილვარ არასოდეს მე წინმასწარა,
არც არასოდეს ვინმეს უკან მივჩანჩალებდი...
ქარმა ალერსის პეწი მასწავლა...
სხივებს ვუმზერდი,
სანამ ზეცის კიდეს ჩალევდნენ...
....
ერთხელ გაგისწრებთ, მეგობრებო,
(ჰყავით შენდობა!),
როს მზერას მოვწყვეტ ქარს...
და სხივებს, —
სამოთხის მაღნარს...
ის დღე იქნება წვიმიანი დღე შემოდგომის, —
ვივლი სასახლით მე თქვენზე წინ...
და თქვენზე მაღლა...

თინათინ მღვდლიაშვილი

სიზმარში ვნახე სააკაძე

სიზმარში ვნახე სააკაძე
შავნაბადაზე ასულიყო,
მუხლი მოედრიკა მაცხოვრისთვის,
ლოცვად მამულისთვის დამდგარიყო.
დღე იდგა ბნელი, სუსხიანი,
მზე სანთელივით ჩამქრალიყო,
ტაძართან იწვა თეთრი ბიჭი,
ძერათა ლუკმა გამხდარიყო.
მინდორში იდგა ღვთისმშობელი,
სიმწრისგან ცრემლად დაღვრილიყო,
პაატას თმები ნახანჯლარი,
ნაავდრალ ცაზე გაშლილიყო...
მდინარეს ხრამი ამოევსო,
ლურჯი გზაწვრილი ჩაშლილიყო,
მთის წვერზე მგზავრი გაჰკიოდა, —
ომი სამარცხვინო ამტყდარიყო!
ბაზალეთს ეცვა შავი კაბა,
ქართველთა ხიდი ჩამტყდარიყო,
ვაი, დიდგორი და ბასიანი
მტრის საამებლად წამხდარიყო...
წმინდა გიორგი თეთრი ცხენით
ძმებს შორის კედლად ჩამდგარიყო,
ყველა ქვა-ლოდი და საფიცარი
ყველა ერთიანად დამტყდარიყო!
შავნაბადაზე შავი რაშის
პატრონი სადღაც გამქრალიყო...
გიორგის ხმალი აელესა,
თბილისის კართან შემდგარიყო,
დედა საქართველოს იფიცებდა!
დედა სამშობლოსთვის დამწვარიყო!..
....
თავზარდაცემულმა გავიღვიძე,
ხორცი ტკივილისგან მენგრეოდა,
თითქოს შავნაბადას ფერდობიდან,
ისევ ბაზალეთი თენდებოდა...

მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე

მერაბ ელიოზიშვილი

ორი მოთხრობა

ადამიანი – ბუნების მშვენება

ბუნების ღვიძლი შვილიაო ადამიანი, თანაც, მშვენიერთა შორის უმშვენიერესიო, — თქვენთან ერთად მეც გამიგონია, ძვირფასო მკითხველო.

ქებას ნახვა ჯობიაო, — ბრძნულია ეს ნათქვამიც და ამ ორი აზრის საქმიანი შეპირისპირებისას, ხშირად, განსაკუთრებით ჩვენს შემოღობილში საჭვრეტად გასულს, ის დასკვნა გამომიტანია, რომ ადამიანი ჭირია ბუნებისა, თანაც უმთავრესი და მოუნელებელი ჭირი!

თითქოს ნარდად, ბუნების ერთი ხელის მოსმით განადგურება სწადიაო. ასე მიფიქრია ბუნებაში გასული ადამიანის საქმიანობის თვალიერებისას.

რაკი ქალაქში აღარც არაფერი დაფრენს და დახტის, არც არა ცურავს ბუნებრივი, თავად ადამიანისა და მისი შემოქმედი რკინა-რეზინის გარდა, ბუნებად ტყე-მინდორი, მთა და ზღვა, უშუალოდ ბუნებრივი, ხელთუქმნელი გარემო უნდა ვიგულისხმოთ საკითხის შესწავლისას, ამ წიაღში გასულ ადამიანს უნდა დავაკვირდეთ, მისი ნამოქმედარის მიხედვით დავასკვნათ.

გაფრენილს თვალს გააყოლებს კაცი და რაკი ხელთ თოფის მეტი არაფერი უჭირავს, თვალს გაიტყუიანებს გუნებაში, ესვრის, ჩამოაგდებს, გაბდღვნის, შეწვავს და ისე ხარბად შეახრამუნებს, ისე მიილეწ-მოილეწავს (ფიქრში) ფრინველის ძვლებსაც კი, თითქოს დაბადებიდან იმ წუთამდე მშიერს ევლოსო დედამიწის ზურგზე.

თუ მდინარეში თევზს შეიგულებს, სულაც რომ უკანასკნელი წყლის ბინადარი იყოს, ვიდრე წყალს არ გადაუწურავს, მშრალზე არ დატოვებს უსასოოდ, ვიდრე მდუღარე მარილწყალში არ მოაქცევს და არ შეხანსლავს, არ მოისვენებს, გულისძილით ვერა და ვერ დაიძინებს.

ირემი, შველი, კურდღელი, სხვა კიდევ, მანქანის შუქზე დაბრმავებულ-გაშეშებული, სასიკვდილოდ გაუმეტებია მრავალთაგან უმეტეს მგზავრს და თუ ხელთ თოფ-იარაღი არ შეხვრებია, მანქანა დაუძგერებია, მანქანა თუ ვერ გაუმეტებია, გადმომხტარა და ხელთმოხვედრილი ცულით ან კეტით გამოუსალმებია, შეუგდია მანქანაში, შინ გაუქანებია, ჩაუგდია და ვიწრო წრეში ჩამჯდარს გემრიელი დრო უტარებია.

სოფლად, თავის გამოზრდილ პირუტყვს, დასაკლავად თუ ვერ გაიმეტებს მავანი, სხვისას, თუნდაც იმ თავისეულის ცალი და სწორიც რომ იყოს, სულ ადვილად გამოუსვამს დანას ყელში, გაატყავებს და ისე არხეინად აქნის, თვალს არ დაახამხამებს.

ტყე უდიდესი უმეტესობისათვის შეშა და საშენი მასალაა, კარებწინ ჩამავალი, ერთ დროს სახელოვანი მდინარე ნაგვის საყრელად გადაქცევარებია ადამიანს, ულამაზესი ტბა — ბინძურ გუბედ.

ამ „სიკეთეს" ყველა თანაბარი გულმოდგინებით ჩადის, განურჩევლად ეროვნებისა და რელიგიური მრწამსისა.

საქართველოში ქართველი და არაქართველი მოსახლეობა ერთნაირად ცოდვილია და დედა-ბუნების მკვლელობის შეთქმულებაში ქართველ კაცსა და არაქართველს შორის სხვაობა ის გახლავთ, რომ ქართველი სახელითა და მამის სახელით, სახეობითა და გვარით იცნობს მოსაკვდინებელ ბუნების შვილს; უცხოს, თუნდაც ძველ მაცხოვრებელს, ამხელა არც სურვილი და არც ტრადიცია არ გააჩნია, თევზი იქნება, ფრინველი თუ ბუნების სხვა ბინადარი, ცალ-ცალკე სახელებით, მხატვრული სინონიმებითა და სხვა სამკაულებით უხმობდეს და ეთავისებოდეს.

ადამიანი ისე ჩქარობს დედა-ბუნების მოსპობას, თითქოს სადღაც ახლოს, ოლეზე, დაქოქილი მფრინავი თეფში უგულებოდეს სხვა, უფრო მდიდარ და უფრო ცივილიზებულ პლანეტაზე გახაფრენად. ერთი სული აქვსო, მალე მორჩეს ჩიხვას, კვლას, წვას, ჩაჯდეს, გაფრინდეს, მიიჭრას იმ უმიწიერეს მიწაზე, უცხო სამყაროს მეჭურჭლეთუხუცესთან და სხაპა-სხუპით უპატაკოს: გეგმა ასმაგი გადაჭარბებით შევასრულე, პატივცემულო, ტყეები გავჩეხე და დავწვი, მდინარეები ჯერ მოვწამლე, მერე კარგად დავაშრე, ფანქრით ნახატს დავამგვანე, ზღვები და ოკეანეები მარილად დავაკრისტალე თავისსავე ღრმულებში, თვითონ დედამიწა, როგორც აბანოს ღრუბელი საწამლავით გავჟღინთე. ახლა, ბატონო ჩემო, ნამსახურის საზღაურად, გთხოვთ თავი ყურიმალებში გამიბრტყელოთ, შუბლზე ერთი დიდი, ლურჯი თვალი ამომიყვანოთ, პირი ყურებამდე გადამიჭიმოთ და ტიტლიკანა მალელელაოთ თქვენს მღელვარე და უკიდეგანო გალაქტიკაში.

გასაკვირი არ იქნება თუ პასუხად ერთ ენერგიულ პიტლაყს მიიღებს ბუნების შვილად და მშვენებად სახელდებული ეს თვითმარქვია არსება; გაქვავებულ, მკვდარ დედამიწაზე დაბერტყება უბრალო საფლავის გაჭრისა და შიგ ჩაწოლის გადაწურული იმედით.

ყველა როდი გახლავთ ესერიგად გაშმაგებული დედამიწის ამოხათქად; ბევრი ღვთისნიერიც იღვწის დედა-ბუნების საკეთილდღეოდ, მაგრამ, დღევანდელ აჭრილ-ანამღვრევ, ბოლოუჩინარ ვითარებაში, ელვის სისწრაფით რომ ხდება ეკონომიკური გალატაკება-გაკოტრება, სიკეთის პირი კი არსაიდან არ ჩანს, მშვიდობიანი პერიოდისათვის ამ საოცარი, პირდაპირ ნახტომით ჩვენკენ მომავალი აპოკალიფსური გაჭირვების ამ უჟამურ ჟამს, მრავალეროვნულ-წილადობრივი ნაჩუქრობით — თანწალებითი ბოლმით ზღვადქცეულ საუკუნის დასასრულს, თხის პატრონს — თხის კუდი, ანუ, თავისუფლებამოპოვებული საქართველოს ჩონჩხილა შეგვახვედროს ბედმა. ეგება, როგორც ჰემინგუეის მოხუცს, და, ნახვამდის თავისუფალო ქართველებოო! — თავის ქალას დაკრეჭილ-გამოღამებული ფოსოებიდან მოგვიკრაჭუნოს და გამოგვიცრას ობლისკვერის საბოლოო ნაფქვი!..

●

მასაქეთიდან მოკიდებული, რაც ბაღ-ვენახებით დახუნძლულ-დაქარვული ცხინვალი ასფალტგადაკრულ, შემდეგში კი ასფალტანათხარ ქალაქუნად იქცა, ბაღ-ვენახების ყოფილი პატრონები კი ასფალტქვეშამონადებ, სახელწართმეულ არსებებად, ბუნების გადამრჩენელ თაიგულ-ორგანიზაციათა მთელი დასტებით, ძეგლთა და ადამიანთა მაშველ-გადამრჩენი მთელი რიგი სახელმწიფო საზოგადოებები ჩამოყალიბდა, მდინარეების, დიდი და მცირე ლიახვების ხეობებში. ამ დროიდან შეტრიალდა პატრონ-უპატრონობის მცნება, გაქრა ადგილის თვალმჭერი, ნამდვილი მეურნე და გულშემატკივარი კაცი, თაბახივით გაბადრული სახე რომ ჰქონდა, გაჩნდა კანონით მოყრანტალე ბაცაცი — ფუნქციონერი, თოფის, ნაჯახისა და საწამლავის ქვეშ რომ მოიქცია ტყეში ნადირი, წყალში — თევზი, ცაში — ფრინველი და დედამიწაზე — ჭინჭველი.

●

გასული, საზარელი წლის სისხლიანმა აპრილმა და მომდებარე თვეების ერთმანეთზე დარევამ მომდევნო აპრილამდე და ჯერაც კიდევ, ქართული გენის გაუკითხავმა გადაძაბვამ, საქართველოს ბუნების დაცვის პრობლემა ყველგან და, მათ შორის, ზემოთხსენებული მდინარეების ხეობებშიაც სახსენებელშივე ამოაგდო და მთლად უპატრონოდ დატოვა. მილიციისაგან ცარიელი, წითელკანტიანი ქუდიღა დარჩა, ეს ცარიელი ქუდიც ახობით გაძარცვულ სახლის ქურდებს ვითომ დაეძებდა ცხინვალში, ქურდები თავისთვის იხხდნენ და ღრეობდნენ, მილიციელნი კი თავისსავე ქუდებიდან ლამურებივით ეკიდნენ თავქვე...

საქართველოს დამოუკიდებლობის წყურვილმა ყველას ერთბაშად ვერ მოფინა სულში ნათელი.

ცხინვალის ორადგაყოფილი საზოგადოება ერთმანეთს დღემდე მოდუნებული ძულვით ათვალიერებს.

საზოგადოების მესამე, უსაფუძვლო — უგუნურად გაშმაგებული, ოსური ნაწილი უვიცობის მწვერვალების დასაპყრობად მიცოცავს ჯერ კიდევ: ქართული ეკლესიის ყვავილნარს ცეკვით ქელავს ცხრა აპრილის წლისთავზე, ცხრა აპრილს. უწმაწური წარწერებით დამღავენ ტაძარს სახელგატეხილი დაცემები.

გასტრონომებს შიათ, შეუმოსავ უნივერმაღებს სცივათ, ბაზარი კაწკაწებს, ქუჩები მტვერს ახველებენ, სკოლებში ვითომსწავლაა, ქარხნებში, — ვითომმუშაობა, ქალაქში — ვითომცხოვრება!...

ყინულის ნატეხები აპრილის კალენდრის მძიმე ფურცლებივით ცივად მოტივტივებენ ლიახვ-ლიახვი, დედაქალაქისაკენ.

სოფელ კეხვზევით, ითრაფისის ჭალის ერთ კლდოვან, გამოლმა ყურეში ორი, ბროლივით თეთრი გედი ანათებდა მურყნის სისშირით შებინდულ გარემოს.

გზის ოსტატი და მუშები ყოველ ნაშუადღევს ფრთხილად უნაწილებენ გედებს საგზლის მონარჩენს. თითქოს სწუნობენო მონამცეცარს, გედები ამაყი, ნელი, ოდნავშესამჩნევი ცურვით მდინარის სიღრმისაკენ გადაინაცვლებენ და, როგორც კი საკვებს უკაცოდ დაიგულებენ ყურეში, ისეთივე აუჩქარებელი, ზრდილი რწევით შემობრუნდებოდნენ ფლატის ძირისაკენ და დარბაისლური, მშვიდი მოძრაობით კმაყოფილნი, შეექცეოდნენ ადამიანის ნაწილადევს.

ტკბება ღორღით გაუხეშებული თვალი გედების ტრფიალის ცქერით, უნატიფესი ყელკისრის გაცაცუნებით, შემჭიდროებული, წყვილი სიმდით.

ინჟინერი მწიგნობარია, თავისუფალ დროს თავაუღებლივ კითხულობს წყაროსთან, მცირე, ღია ფანჩატურში. მუშებთან ერთგული და შებმულია: წყენის გარეშე, ნახევარტონით მართავს საქმეს, ფიზიკურადაც ჯაფაობს.

— ნახე, ნახე! პო-ტა-ტა-ტა, რას ესიყვარულებიან ერთმანეთს ეგ შნოიანები! — იძახის ერთი მუშა ნახამხრალს, შინ გამგზავრების წინ.

— გაგრაში, სანაპიროზე რომ პარკია, იქ დაცურავენ, ზედ ხალხის თვალწინ, პირდაპირ ხელისგულიდან აცლიან საკვებს დამსვენებლებს; ერთი ამბავი და მხიარულება გაუდით დიდ-პატარას, — მცოდნე, ნავალი კაცის რიხით როხროხებს თვითმცლელის მძღოლი.

— ახლა ეგენი აქ დაიბუდებენ ვითომა? — მეორე, ახალგაზრდა მძღოლი კითხულობს.

თვრამეტ-ოცი მოღლილი მუშაკის გაბრწყინებული თვალი ეალერსება გედების ნარნარს. რაღაც იშვიათს გრძნობენ, აუწერელს.

— აქ არა, — უხსნის ინჟინერი, — კავკასიონს გადალახავენ. ჩრდილოეთში გადავლენ, ჭაობიან, დიდ, მყუდრო ადგილებში, ავი თვალისაგან მოშორებით დაიბუდებენ, იბარტყებენ...

— იცი, რა დიდრონებია, კაი ბროილერის ჯიშის ინდაურებივით არიან; აი, ამხელები! — ხელებს შლის ერთ-ერთი მუშა, გედების დამპურებელი.

— შენა, მუცელა! იმ წუთში ზომა-წონაზე რომ გადადიხარ, კაი ალიყური ხომ არ გინდა ყბაში?! — შემტევი ხუმრობით ეკამათება გაგრაში ნამყოფი მძღოლი, — სად გედი და სად ინდაური, სად — ქაცვი და სად — ვაცი!

— ძლივს ეკლესიამ ჩვენს ძველ ცოდვებზე პატიების სიგელი გასცა, ჩვენსკენ გული იბრუნა და შენ ამ მძიმე მარხვაში ხორცზე ილესავ კბილებსა?! — მებულდოზერემ შეუტია თანასოფლელს.

წიგნიდან თავს აიღებდა ხოლმე გზის ოსტატი, შინ წასასვლელად მოფუსფუსე მუშების ლაპარაკს ყურს მიუგდებდა: ერთი მხრივ გედების დაუცველობა, მათი ზომათა სიდიდე მაცდურად ზემოქმედებდა ხმელ პურზე და ნივრის ფოჩზე არამყარად დაფუძნებულ მუშათა კლასის სულიერ განწყობილებაზე, მაგრამ სილამაზე მაინც იმარჯვებდა ხორციელზე.

ქვის მუშაკთა ასეთ უსასოდ — სტანდარტულ, მცირეხელფასიან ერთფეროვნებას, უნებლიე სხივი დასცა ზეცამ წყვილი გედის სახით და, ქვალეწია, დგარადგურა ჭალა თითქოს სიჩუმემაც მოიცვა! ნებით იყო თუ ძალით, ამ ოციოდე ადამიანის ერთობლიობის წინაშე ვერცერთი ცალკეული პირი სერიოზულად ველარ გაბედავდა თოფის სამიზნეს. თოფი კი იქვე ეკიდა, სავაზნეთუროთ.

— მარხვაც იქით იყოს, სამ-ოთხ დღეში ცხრა აპრილი დაიძახებს, ჩვენი დებისა და დედების დიდი წლისთავი! უიარაღო სიმღერამ აგვამაღლა მთელს დუნიაზე! — გამაფრთხილებლად თქვა გზის ოსტა[illegible] ერთ დღეს და გაიშვიათებული თმა სავარცხლით მოიწესრიგა კარგა მოზრდილსა და შთამბეჭდავ თავზე.

— მომკალით, რაკი ერთი წამომცდა, შემჯექით!.. — უწმაწური სიტყვით იუხეშა გედების დამპურებელმა, ახალგაზრდა მუშამ და წყაროს შეუშვირა შენიშვნებით გახურებული თავი.

ამასობაში, მუშების ნაწილი ავტობუსში მოკალათებულიყო, ნაწილი კი ჯერ ისევ ირთვებოდა.

წყაროსთან, ფანჩატურის ახწვრივ, შეუფოთლავი ჩირგვნარის ტოტებიდან ტუჩებგალურჯებული ია ცახცახებდა; ისიც უფოთლოდ იდგა, წასწრებული თვალისაგან დამორცხვებული და თავდახრილი.

— წლებია, რაც აქ ვმუშაობთ და პირველად გვესტუმრნენ, თვალი არ მოგვიკრავს ადრე. — იძახის სოფლის გვარდიის რიგითი გლეხკაცი.

— წლებიო?! — შეიცხადა ზღვამოვლილმა, ხანდაზმულმა მძღოლმა. — ხუთმილიარდიან მსოფლიოში, ოთხი და ცხრა მეათედი ისე კვდება, გედი თვალით არ უნახია. ბედნიერი ხარ, დაჯექი და უყურე, — დააკვალიანა შოფერმა მეზობელი გლეხკაცი.

— თითებზე დასათვლელი ოდენობაა მაგ ღვთიური სილამაზისა გადარჩენილი, წითელ წიგნშია გედი შეტანილი, დაცულია კანონით. — თქვა გზის ოსტატმა, — ადამიანია, რომ მატულობს და მატულობს, მატულობს და მატულობს, ეს სილამაზე კი...— აღარ დაასრულა, ვარცხნა განაგრძო.

თითქოს ნიშანს ელოდაო, გზის ოსტატის „კი"-ზე ორჯერ ზედიზედ იგრიალა თოფმა [illegible]ტის ძირიდან და მშვენიერად აღმართული, [illegible]თეთრი ყელყელა ნეფე-დედოფალი დაფატრული, უსულო ბალიშებივით ატივტივდნენ ითრაფისის ჭალისპირა წყნარი ყურეს ოდნავ მოძრავ ზედაპირზე.

ყველა ერთდროულად გაშეშდა. გზის ოსტატმა ხელის ჩამოშვებაც ვერ მოასწრო, ისევ დარჩა გედებისაკენ გაშვერილი. სიჩუმე ავტობუსში ასული მუშების ფეხის ხმამ დაარღვია: ჩამოლაგდნენ, მანქანის გასწვრივ გაშეშდნენ. მერე, რომელიღაც მოწყდა ადგილს და რიყე-რიყე გაიქცა დახოცილი გედების ტბისაკენ.

ორჯერ გამაფრთხილებლად გავარდა თოფი მურყნებიდან და დადევნებული მუშა ნელნელა შედგა, წინსვლა ველარ გაბედა. შორიახლოდან უყურებდა წამლილ წრეზე მოტივტივე გაზაფხულის მზითევს.

დგაფუნით შემოვარდა ჩამქრალ ყურეში ერთი მკვლელთაგანი, წელამდე წყალი გამოარღვია, ხათითაოდ დაწვდა დახოცილ გედებს კისრებში და ნანადირევის თრევა-თრევით ჭალის სიღრმეში გაუჩინარდა.

— ხომ ვამბობდი, მაგათ აქ არავინ აცოცხლებს-მეთქი, ხომ ვამბობდი! — წამოიყვირა ახალგაზრდა მუშამ, ინდაურებს რომ შეადარა გედები წინდღით, წამოიყვირა და თვალების სრესვით გამოსწია ავტობუსისკენ.

მკვლელობის თანამონაწილესავით ყველა მას მისჩერებოდა რატომღაც.

— რას მიყურებთ, დედაცა — თქვენი! მე მოვკალი არა?! ესეც მე ვარ, არა?! ინდაურები არიან სწორედ, მაშ რა ჩემი ფეხები ეგენი არიან, ბრიყვები ეგა, ბატებივით რომ ჩამოგვისხდნენ აქა, ამ, ამ ადამიანებისაგან აქოთებულ ჭალაში, ამ, ამ, ამ... — აღარ იცოდა, რა საშინელება აეფეთქებინა, — ამ-ამ! — ტიროდა დაუფარავად.

— უტვინო საქონელი რომ დაიბადა ქვეყანაზე: მგლების ხროვა, პოხლიკა ორბების ჯოგი, საფლავში ჩაყუდებული აფთრები! მე, მაგათი!.. — ყარაულის თოფი ჩამოხსნა ვაზნების შალითიანად, ისევ მოსწყდა ადგილს და უმისამართო სროლა-სროლით გაქანდა ჭალისაკენ.

— დადექი, ზურა! — არაადამიანური ხმით უყვირა ინჟინერმა. არც გაუგონიაო თითქოს, გარბოდა უსწორმასწორო, ლადალუდა რიყეზე, სადაცაა ყურესთან გაჩნდებოდა.

მეორე დადევნა, მესამე მოწყდა ადგილს, მეოთხე... მეხუთე... რაღაც მოვალეობის გრძნობა ეძახდაო თითქოს, წეროს გუთნეულივით გაბმული მუშები თავაწყვეტით მიდრაგუნობდნენ, ვინ ქვით, ვინ ხით, ვინ— ჯიბეში გაშლილი დანით.

მარაოსავით გაიშალნენ ჭალასთან, დაედევნენ ვიღაცას, არ იცოდნენ ვის...

გზის ოსტატმა წიგნი მანქანის თახჩაში შეაგდო და მძიმე თვითმცლელის ძრავი ჩართო.

საშენი მასალის კარიერიდან წამში ტრასაზე აიჭრა ინჟინერი და თვალთა ცეცებით იწყო მკვლელების ძებნა.

გზაზე ჯერ მსგავსი არაფერი ჩანდა..

●

ტრაილერების უწყვეტი ქარავანი უმადური ბლვერით გამოდიოდა გვირაბს, დატვირთული ჩაივლიდა ქართლს და სომხეთს ესაჩუქრებოდა. იქიდანაც თითქოს ბლვერით ბრუნდებოდაო უკან შემსუბუქებული ქარავანი, კიბოს ხრჩოლვითა და ბოროტი ზეთების გზა-გზა მონასისხით...

სილამაზეცა და მადლიც ერთნაირად დაკარგულიყო დედამიწაზე.

„რა დავაშავეთ. თქვენი!" — კბილებიც ზედ მოაფქვაო თითქოს გამონაცერს და ბოლომდე დაზნიქა აქსელატორის პედალი.

ორ, გაჭვარტლულ რიგთაშუა აცეცებდა თვალებს მძღოლიცა და მანქანაც...

ჩვენი შრღვევი კავშირები

ბავშვობიდან დღემდე თერთმეტი ძაღლი მყავს მეგობრად ნაყოლი. თითოეულმა იმდენად მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ჩემს ყურმოჭრილ წუთისოფელში, რომ ერთ-ერთი რომანის ხანგრძლივმოქმედ პერსონაჟადაც ძაღლი მყავს შერჩეული. თუ მშვიდობაა და ახალმა არაფერმა გადაგვიარა, რომანის წერას ამა წლის ბოლომდე მოვრჩები და მკითხველის გულსაც მალე აიკლებს ეს პატიოსანი, სულიერი ალალმართალი ყეფით.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, მყეფართა ერთგული და გონიერი, ხშირად თავგანწირული ხასიათის გამოც, რასაც ადამის ძე იშვიათად თუ გამოიჩენს, გულწრფელად მწყდებოდა გული, ძაღლს რომ ძაღლი შეერქვა გონიერ ოთხფეხთა შორის და არა— რაღაც ადამიანურივით პრესტიჟული სახელწოდება: თანაადამიანი, მაგალითად.

ათასში ერთი ძაღლი თუ გაწყენინებს ცხოვრებაში, ისიც უპატრონო და მიუსაფარი, კეტისა და ქვის მეტი რომ არა უგემია რა რესტორნისა და სასადილოს სანაგვეზე, ზოგი რევოლვერსაც მიაკაშკაშებდა და წიხლსაც მიაზელდა სიზმარში მყოფს; ვინ იცის, რა ძვირფასი სურათების ხილვებისას.

გულთან ახლოს ვინ მიიტანს, ვინ ამოხსნის ძაღლის სიზმრის სიღრმესა და სიგანეს, მის განცდებს ასეთ დროს, წკმუტუნითა და გმინვით, საამო ხლუკუნით რომ კრთის სიზმრეულის სურათების კალეიდოსკოპისაგან ანაცმუკი და გაფაქიზებული.

რესტორნის ჯურღმულებში ჩაფლულ ქალსა და კაცზე მაინც რაღაც შესაფერს, ადამიანურს ვამბობთ, განმამართლებელ საბუთებს ვუთითხნით გზიდან აცდენის მიზეზების ახალ-ახალი მინაწერებით, ძაღლზე კი, ნურას უკაცრავად: — ეგ ვერანი! ეგ ოხერი! ეგ გაიძვერა! — სხვას კიდევ ათას უარესს ვიტყვით, ქვასა და კეტსაც მივაყოლებთ ამ სიტყვიერ „სამკაულებთან" ერთად.

დღესდღეობით ისეა საქმე, რომ აღარც ადამიანი ჩაჰქრის ადამიანს გულში; რას აღარ უთხზავს და უწერს ლაფში ამოსასვრელს კაცი — კაცს, მეზობელი — მეზობელს, კოლეგა — კოლეგას! საგანგებოდ მოწყობილი ძაღლური ცხოვრებისაგანაც ბევრად არის გაავებული ადამიანი. მათი რიცხვი გეომეტრიული პროპორციით მატულობს, ბოროტი ზრახვითა და ჩანაფიქრის აღსრულებით, გაძაღლებული ადამიანი ერთიათად აღემატება ყველაზე მამაძაღლი ძაღლის განაზრახს. გაავებული, მოძულე კაცი, უზით რომ საჩივარს მიარბენინებს და პირზე ღიმილს არ იშორებს, ნაწყენ კოლეგასთან ჩავლისას იმას ნატრულობს: ჩემი ზომის ძაღლად მაქცია, ერთი ნაინფარქტალივით გაგიხეთქო გული, დაგფლითო და მერე კვლავ ადამიანად შევიქმნა, შენ ოხტში კი მოვიდეო...

ასეთი ფიქრი თანაადამიანს გუნებაში არც გაუვლია.

საველე შეჯიბრზე ძაღლი თავის კეთილშობილ თვისებებს ავლენს; ნიჭს, უნარს, სილამაზესა და დახვეწილობას, ამასთანავე, ისე ერწყმის ბუნებას, როგორც ფოთოლი ხეს.

იქვე მყოფი, შეჯიბრის წარმმართველი მსაჯები და კინოლოგები, რაკილა ადამიანები არიან და არა ძაღლები, ადამიანურ ცოდვებს სჩადიან: თუ ძაღლი წარჩინების რომელ საფეხურზე მდგარ პატრონს ეკუთვნის, ანუ, ვისი რომელია და რომელი ვისია, სულაც რომ გედივით აცურავოს თავკისერი ფრინველის ძებნისას, მარმარილოს ქანდაკებასავით რომ გაშეშდეს მწყრის პირისპირ, შემწიფებულ, მოღაღანე ყანის თავზე, მაინც დააკლებენ ქულას, დაუმცრობენ შედეგს, და უარესს კი მოუმატებენ.

მითუმეტეს, სხვადასხვა რანგის, სოციალური ყოფის...

სადღა არიან ლევან ციციშვილისთანა, პაპუ ყორდანიასთანა, თუნდაც ტატიშვილისთანა გენეტიკურ-მამულიშვილური სისხლით დაჭილდოებული მონადირეობათმცოდნეები, უანგაროდ რომ უხაროდათ სიმშვენიერის გამარჯვება!

განა ნიჭი დააკლდა მომდევნო თაობების ადამიანებს? არა, ბატონო, ნიჭმა იმატა, სათნოებამ და ადამიანობამ კი იკლო და ეს არის გულსახეთქი! ჩვენმა უსინათლო ცხოვრებამ საბოლოოდ გააცოფა ადამიანი, გაამგელა. ჯიშიანი, კეთილშობილ-საგვარეულოიანი, ფრინველზე მონადირე ძაღლის ერთი თვის ლეკვი, ოცდაათი წლის წინ რომ ოციოცდახუთი მანეთი ღირდა, დღეს შვიდას მანეთს ფეხს არ უცვლიან!

მხეცებზე მონადირე ზოგიერთი, ახალი ჯიშის ლეკვის ღირებულება ათასებს ზემოთ წავიდა!

რა ღირს ერთი უპატრონო, დავრდომილთა თავშესაფარში შეხიზნული მოხუცი? ერთი უპატრონო ბავშვი? — არც კაპიკი!

მომიტევოს ღმერთმა და მკითხველმა ამ უმძიმესი შედარებისათვის!

უპატრონო მწერალი რა ღირს-მეთქი, კინაღამ წამომცდა, თავი ძლივს შევიკავე.

მწერალთა კავშირი და მონადირეთა კავშირი ერთ ქუჩაზე მდებარეობს, ერთმანეთის პირისპირ და, არ ყოფილა შემთხვევა, მწერალთა კავშირში ვინმე მოეწვიოთ მონადირეთა კავშირიდან: ზოგი მონადირე ისეთი საოცარი მთხრობელია, ბევრს შეხძენდა მწერლობას მისი მონაყოლი.

ორივეთაგან შორიახლოს, ხუთიოდე წუთის სავალზე წმინდა სიონი და საქართველოს საპატრიარქოა.

არ მახსოვს შემთხვევა, პატრიარქის მოპატიჟება გახსენებოდეს ვინმეს ჩემი მწერლობის ოცდაათი წლის განმავლობაში.

სამაგიეროდ. ცენტრალური კომიტეტის მდივნები მოდიოდნენ და მიდიოდნენ, მოდიოდნენ და მიდიოდნენ.

შენობრივი მეზობლობა და სიახლოვე თქვენობრიობაში იზრდებოდა და ჩვენც მივდიოდით და მოვდიოდით, მივდიოდით და მოვდიოდით!

ნათქვამი როა, მიდიოდა და მოდიოდაო,— ასე გახლდათ ჩვენი საქმეც; უმეტესობისა, ყოველ შემთხვევაში!

მაჩაბლისავე ქუჩაზე, იქვე, გვერდით, ჩვენგან ჩამოსწვრივ, იდგა კომკავშირის შენობაც: იქიდანაც მოდიოდნენ და მიდიოდნენ, ჩვენც მივდიოდით და მოვდიოდით, მივდიოდით და მოვდიოდით:

ნათქვამი როა, მიდიოდა და მიდიოდაო,— სწორედ ახეც მიდიოდა მწერალთა უმეტესობის საქმეც. უმცირესნი კი მას აქეთ მიდიან და მიდიან, მიდიან და მიდიან... და თქვენ წარმოიდგინეთ, მიდიან და მიდიან!..

„...ვრცელ არს ბჟე და ფართო არს გზა.."

სად უნდა გვევლო და სად ვიარეთ?!

მონკავშირში თოფები ჩამოგვართვეს და ძაღლები დაგვიტოვეს.

მწერალთა კავშირში ქაღალდი ჩამოგვართვეს და კალმები დაგვიტოვეს.

პარტიაში გონი ჩამოგვართვეს და წიგნაკები დაგვიტოვეს.

პარტიაში სიჩუმეა, მონკავშირში მხოლოდ საგამოფენო ყეფაა, სამაგიეროდ, სროლაა მწერალთა კავშირში. ალყაშია მაჩაბლის 13.

უბედურ კაცს ქუჩაც უღბლო და უბედური შეუხვედრეთ.

ქუჩაც არის და თხრილიც ერთდროულად. მარცხნივ ლუწი ნომრებია, მარჯვნივ კი მხოლოდ ცამეტი. შუაში სანგარია, ქაღალდი მცირედია, შრიფტი და ტყვია ყველას წვდება, გატენილ ზარბაზნებს ჭმუნვის ღრუბლის დასაშლელად იყენებენ დიდი დირექტორები და რედაქტორები, სამცხენიანი საომარი ეტლებით რომ აჭრი-ჩაჭრიან ბრძოლის ბედნიერ ხაზზე.

დანარჩენი თხრილში ვწევართ, სანგრებსა ვთხრით ბერწი კალმებით, ვჩხვერთ, ვბუზღუნებთ და ველით ტყვიისფერი ღრუბლის გადავლას.

სიონში დიდი წირვაა, ქართული მწერლობის გადარჩენას შესთხოვს ტაძარი უფალს. ყველა ზარი ბოლომდე იკვრის, მაგრამ არ გვესმის ამ ბათქი-ბუთქში.

„სამშობლო, სამშობლო, შენი დიდების დღე დგება", — პავლეს მაგივრად პავლიაშვილის სიმღერით ვცდილობთ გაჭირვების შემსუბუქებას.

მტერთან ბრძოლის ყველა ხერხია ნახმარი. დამძიმდა ეკოლოგიური მდგომარეობა. ხეების ნაცვლად ჩვენვე ვცრით ყანგბადს: საგანგებო, წვრილთვლიან ბადეში, ვცრით და ვინაწილებთ ლაყუჩებით. გასარდლებულ მწერალს სამცხენიანზე ნაკლები ეტლი აღარ აწყობს, აქამდე თუ ერთსა და ორს სჭერდებოდნენ, ახლა სამსა და ოთხს აბამენ ერთდროულად, საბრძოლო ეტლში.

ვის უნდა მოთხრობა? ვის უნდა ლექსი? ვის უნდა მწერალი? — არავის! არავის! არავის!

ტყვია წუის სანგრის ლუწი ნომრებიდან. საბრძოლო ეტლში ერთ-ერთი, შუაგულ ცხენად რომელიმე დიდი საზოგადოების თავმჯდომარეობაა, როგორც წესი, შებმული, თავისი საკუთარი ჯვრითა და ფარ-ხმალით. მსხვილტანიანი ჩამონარიცხით ქარხნებიდან.

მეორე, მარცხენა, სამკაულ-ცხენად კათედრის გამგეობაზე ნაკლები თანამდებობა არ იბმის. ესეც კარგი ძალაა, განსაკუთრებით მორალური ლულიდან დასაშენად.

მესამე ძალად საომარ ეტლში, თვითონ მებრძოლის მწერლობაა შებმული, რედაქტორის გერბით, ან, დირექტორის ტახტით, სახდომქვეშ ამოდებული წლიდან-წლებში გადატანილი თვალებჩალურჯებული, უიმედო პატრონებით.

ტომები — ტომრებში, ტომები — ტომრებში, ტომები — ტომრებში!..

სამაგიეროდ, ახალგაზრდა თაობები იბრძვიან სადღაც შორს, საქართველოს სრული ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. თხრილში მტვერწაყრილებს შორიდან ჩაგვესმის მათი შინდისფერი აფრების ტლაშუნი.

ჩვენს ამბავს თუ იკითხავთ, ძვირფასო, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლო შვილებო და ძმისშვილებო, სანგრის კვალობაზე არა გვიშავს რა, ცხრაას ოცდაერთიდან მოვდევთ ამ საქმეს, თავის ამოხაყოფად ვერ ვიცლით. გაგვაქვს წუთისოფელი თვალის მოთხრითა და ნაცრის შეყრის ყველა ხერხით, მტვერისმფრქვეველებს ვაქშუტუნებთ ბატონყმობის გამგრძელებელ ბრმების ხიდებზე.

მოდით და საერთოდ ნუ იკითხავთ ჩვენს ამბავს მებრძოლო შვილებო და შვილიშვილებო!

სტამბები გილიოტინებივითაა წამომართული ტანჯული მაჩაბლის თხრილის ლუწ მხარეზე. თავები კომბოსტოებივით იჭრება და იტენება თხრილში, როცა პირამდე აივსება, სანგარს მთლიანად აფიცრავენ არმატურის ჩაყოლებით, ზევიდან ბეტონს მოაშანდაკებენ და საერთო-სახალხო მიწისქვეშა ქსელში გვაჩუხჩუხებენ.

სამართლიანი მწერალ-სარდლები ქანდაკებებად გამწკრივდებიან ქუჩის ორივე მხარეს, საპატიო დგომში.

თუნდ მოკლული, მაგრამ ნამდვილი მწერლობა და ნამდვილი მწერალი უცხენებოდა და უეტლებოდ ისევე ანათებენ ადამიანთა უსიერ, ბნელ ჭალებს, როგორც ის ორი თეთრი გედი დახოცილი აპრილის სათავეებში.

ეროვნული

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1917–1921 წ. წ.)

ალექსანდრე ზაქარიაძე

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუცია რუსეთში

რევოლუციის პირველ დღეებშივე ნოე ჟორდანია ჩაუდგა სათავეში გაერთიანებულ ამიერკავკასიის ყველა რევოლუციონერ ორგანიზაციებს. მან, როგორც ამ ორგანიზაციების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ, ჩამოართვა მთელი ძალა-უფლება მეფის მოადგილეს კავკასიაში დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს.

ნოე ჟორდანიას მარჯვენა ხელი იყო ნოე რამიშვილი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა საქართველოს რევოლუციონურ ორგანიზაციებს.

ამავე დროს, სახელმწიფო სათათბიროს გვერდით, მთელი რუსეთის რევოლუციონურ ორგანიზაციებს მეთაურობს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე. დაბრუნდა ციმბირიდან კაკი წერეთელი — „სინდისი და პატიოსნება“ რუსეთის დემოკრატიის, როგორც მას თვით რუსები უწოდებენ.

მარტში 1917 წ. საქართველოს ეკლესიამ აღადგინა თავისი ავტოკეფალია და აირჩია კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II (საძაგლიშვილი).

როგორც ზემოდ აღვნიშნე, რევოლუციამ სრულიად მოულოდნელად იფეთქა. გამიგონია პირადად კარლო ჩხეიძიდან, რომ სოც.-დემოკრატიულმა პარტიამ მოწოდებაც კი დაბეჭდა, რომელშიდაც მოუწოდებდა პარტიის წევრებს არ მიეღოთ მონაწილეობა დაწყებულ დემონსტრაციებში; მას ისინი მიაჩნდა პროვოკაციად. მაგრამ გარემოებანი ისეთი ჩქარი ნაბიჯით ვითარდებოდნენ, რომ იძულებული ვახთენ ეს მოწოდებანი დაეწვათ.

ქართული პოლიტიკური პარტიები არ აჩქარებდნენ ეროვნულ საკითხს, იმედოვნებდნენ, რომ ამ დარგში ბევრ რამეს გააკეთებდნენ მომავალ დამფუძნებელ კრებაში: ყველა პარტიებს ქონდათ თავის პროგრამებში აღიარებული ერთა თვითგამორკვევის პრინციპი. ქართველებს სიფრთხილეს უკარნახებდა ის გარემოებაც, რომ ამ დროს ამიერკავკასიაში და ოსმალეთის ფრონტზე და სპარსეთში იმყოფებოდა მილიონზე მეტი რუსის ჯარი, ქართული ახალგაზრდობა კი (200 000-ზე მეტი) დაქსული იყო რუსეთის სხვადასხვა ფრონტებზე.

რა იყო მიზეზი რუსეთის რევოლუციის? — რუსეთის ტახტის და მის ირგვლივ შემოკრეფილი არისტოკრატიის ჯიუტობა: ფიქრობდენ, რომ თვითმპყრობელობაშია მათი ხსნა, არავითარ დათმობაზე არ მიდიოდენ. ავიწყდებოდათ, რომ რუსეთის ხალხები წინ წავიდენ, შეიქმნა ძლიერი ბურჟუაზია. ვერ შეიგნეს, რომ ჩინეთში, სპარსეთში და ოსმალეთში უკვე კონსტიტუციები მოქმედებდენ, რომ ასეთ პირობებში არ შეიძლებოდა რუსეთში თვითმპყრობელობის შენარჩუნება.

იაპონიასთან ომში დამარცხება ტახტმა და მთავრობამ გადააბრალა გენერალურ შტაბს, რომელიც ფაქტიურად არც კი არსებობდა. ამაზე გაისმა ხმა პროტესტისა ახალგაზრდა გენერალურ შტაბის ოფიცრების. გამოვიდა ორგანო „სამხედრო ხმა“ («Военный голос»), რომელიც ამტკიცებდა, რომ თანამედროვე ომის წარმოებისთვის აუცილებელია მთელი ხალხის დაინტერესება: მან უნდა იცოდეს თუ რისთვის იბრძვის, რომ მოითხოვს სახელმწიფოს ყველა ძარღვების დაჭიმვას და რომ ამიტომ დროა ხალხს ქონდეს ხმა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.

რეაქციის გაძლიერების შემდეგ ეს ორგანო დაიკეტა და მეფემ გენერალურ შტაბის ოფიცრებს უწოდა „ახალგაზრდა თურქები“. ამავე დროს დიდი ვაგლახით შექმნილი 1907 წელში დამოუკიდებელი მთავარი გამგეობა გენერალური შტაბისა დაუმორჩილეს სამხედრო მინისტრს. თუ 1914 წ. რუსეთის მობილიზაციამ ისე კარგად ჩაიარა, რაც სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა გერმანიისათვის, ეს რუსეთმა უნდა დაუმადლოს თავისი გენერალური შტაბის ოთხი წლის განმავლობაში დამოუკიდებელ მუშაობას.

ზემოყვანილმა მიზეზებმა თავი იჩინეს 1914-17 წ. დიდი ომის დროს, რამაც ხელი შეუწყო რუსეთში ანარქიის დამყარებას.

მე არ შევჩერდები იმაზე, თუ რა უთავობა გამოიჩინა რუსეთის ბურჟუაზიამ კადეტების და ოქტიაბრისტების მეთაურობით, ესერებმა და მენშევიკებმა კი — უსაზღვრობა და სავსებით შეუგნებლობა, როგორც რუსეთის ხალხის მოუმზადებლობისა, ისე საერთაშორისო მდგომარეობისა. საქართველოში ამ დროს თანდათანობით იზრდებოდა შეგნება, რომ რუსეთი ანარქიისკენ მიდის და ქართველმა ხალხმა თვითონ უნდა უპატრონოს თავის თავს.

როდესაც რუსეთის დროებითმა მთავრობამ ნება დართო ეროვნული სამხედრო ერთეულების შექმნაზე, საქართველოში შეუდგნენ ქართული კორპუსის ორგანიზაციას. ქართველი საუკეთესო ოფიცრები და 200 000 ჯარისკაცი, მობილიზაციით გაწვეული, დაქსული იყო რუსეთის სხვადასხვა ფრონტებზე.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ანარქია დღითიდღე იზრდებოდა, მათ საქართველოში თავის მოყრას დიდი დრო ესაჭიროებოდა. ბევრმა მათგანმა ვერც კი მიაღწია საქართველომდი. ან დაიღუპენ ან სადმე ჩარჩენ. ბევრი დაბრუნდა უკვე საკმარისად მორალურად შელახული რუსეთის ბოლშევიზმის და ანარქიის მიერ.

ამ დროს მე პირადათ ვიყავი რიგის რაიონში ლატვიელების კორპუსის შტაბის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი. ტელეგრამა საქართველოში დაბრუნების წინადადებით მივიღე 15 ოქტომბერს. სხვადასხვა ფორმალური მხარეების მოწესრიგების გამო, წამოსვლა შევძელი 5 ნოემბერს და მხოლოდ 23 ნოემბერს ჩამოვედი თფილისში.

25 ოქტომბერს მოხდა ბოლშევიკური გადატრიალება პეტროგრადში. დაახლოებით 15 ნოემბრის მოსკოვიც მათ ხელში იყო. დროებითი მთავრობა, კერენსკის მეთაურობით, გაძევებულ იქნა.

ბოლშევიკების მთავარი საპროპაგანდო დებულებანი იყო: 1) არც ომი, არც მშვიდობა, 2) ერონებათა თვითგამორკვევა, 3) ცარცვა ნაცარცვის,

რუსეთის დამფუძნებელ კრებაში არჩევნები უკვე მომხთარი იყო, მხოლოდ მისი გახსნა უნდა მომხდარიყო 6 იანვარს 1918 წ.

რუსეთის ყველა საბრძოლო ფრონტებმა დაიწყეს დაშლა და თავის ნებით ანარქიულად სახლში დაბრუნება. იგივე მოხდა კავკასიის ფრონტზე და ამიერ-კავკასიაში, ვინაიდან რუსის ჯარი ღრმად იყო შეჭრილი ოსმალეთის და სპარსეთის ტერიტორიაზე, უგზოობის გამო, მათ უკან დახევას დასჭირდა თითქმის ნახევარი წელიწადი. ამავე დროს მათი ზურგის დაწესებულებანი და სათადარიგო ნაწილები გაბოლშევიკდენ და დაიწყეს ცარცვა-გლეჯა.

დადგა დრო, როდესაც ქართველ ერს თავის თავზე უნდა ეფიქრა. ამიტომ შუა ნოემბერში თფილისში იქნა მოწვეული საქართველოს ეროვნული კრება.

ეროვნული კრება და ეროვნული საბჭო

ეროვნული კრება გაიხსნა თფილისში 17-X-17 წ. კრებას დაესწრო სამასი წარჩინებული ქართველი ყველა დარგიდან, წოდებიდან და რაიონებიდან. კრების თავმჯდომარედ ერთხმათ იქნა არჩეული ბ-ნი ნ. ჟორდანია. კრება გრძელდებოდა ერთი კვირა. სხვათა შორის აღსანიშნავია ფაქტი, რომ ქართულმა თავადაზნაურობამ, ბ-ნ კ. აფხაზის პირით, შეხწირა მთელი თავისი საზოგადოებრივი ქონება საქართველოს სახელმწიფო ბანკს. ფრიად საყურადღებო სიტყვა იქნა წარმოთქმული კათალიკოს-პატრიარქ კირიონ II-ეს მიერ.

ეროვნულმა კრებამ დაადგინა:

1) ღებულობს რა მხედველობაში გაუქმებას რუსეთის მიერ 1783 წლის ხელშეკრულებისას და ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, აღიარებულს რუსეთის რევოლუციის მიერ, ქართველმა ხალხმა მომავალში თავის თავს თვითონ უხელმძღვანელოს.

2) ვინაიდან ამიერ-კავკასია (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და კავკასიის მთიელნი) შეადგენს მთლიან ეკონომიურ, სტრატეგიულ და კულტურალურ ერთეულს, დაუყოვნებლივ იქნას გამორკვეული მეზობლებთან დამოკიდებულების ფორმები.

3) არჩეულ იქნას ეროვნული საბჭო 120 წევრთა შემადგენლობით, რომელსაც ევალება სასწრაფოდ მოამზადოს ნიადაგი დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად და სათანადო მომენტში იგი აღიაროს.

ეროვნულმა საბჭომ გამოყო სამინისტროების თანაბარნი კომისიები, რომელიც, თავ-თავის დარგში, კრებდენ მასალებს და ამზადებდენ გეგმებს.

სამხედრო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბ-ნი ნოე რამიშვილი.

მე მომენდო ამ კომისიის შტაბის უფროსობა.

თავდაცვა და შეიარაღებული ძალები

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქართველ მხედართა კავშირი ამოქმედდა უკვე თებერვლის რევოლუციის შემდეგ. 1917 წ. სექტემბერში დაიწყო ქართული კორპუსის ორგანიზაცია შემდეგი შემადგენლობით: ორი ქვეითთა დივიზია და ერთი ცხენოსანი ბრიგადა. კორპუსის მეთაურად დანიშნულ იქნა პოლკ. სტეფანე ახმეტელი, მისი შტაბის უფროსად — კაპ. სოსო გედევანიშვილი, I-ლი დივიზიის მეთაურად (ქუთაისში) — ღენ. არჯევანიძე, 2-ე დივიზიის მეთაურად (თბილისში) — პოლ. კარგარეთელი, ცხენოსანი ბრიგადის — ღენ. რატიშვილი.

ქართულ ცხენოსანთა ერთი რაზმი უკვე არსებობდა სპარსეთში; ელოდნენ მის დაბრუნებას. შემდეგში ცხენოსანი ბრიგადის მეთაურად დაინიშნა ღენ. გიგუშა ერისთავი.

ამ დროს მე ვიყავი ჩრდილოეთ ფრონტზე ქ. რიგის მიდამოებში, ლატვიელთა მეორე დივიზიის შტაბის უფროსად. უკვე მივიღე ბრძანება, შევდგომოდი ლატვიელთა კორპუსის შტაბის ორგანიზაციას, როდესაც 27-X მივიღე წინადადება გადავსულიყავი ქართულ კორპუსში. მე, რასაკვირველია, მაშინათვე დავთანხმდი.

მხოლოდ 15-XI გამომიშვეს ჩრდილოეთ ფრონტიდან და 22-XI-ს ჩამოვედი თფილისში. მოგზაურობის დროს, განჯაში, შემთხვევით გავეცანი მატარებელში ბ-ნ ნ. რამიშვილს და მთელი ღამე გავატარეთ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში.

ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის პირველ სხდომაზე დავინიშნე ამ კომისიის შტაბის უფროსად, რაც დაუყოვნებლივ დაადასტურა კავკასიის ფრონტის მთავარსარდალმა ღენ. ლებედინსკიმ.

ამრიგად, მოვხვდი უდიდეს საპასუხისმგებლო თანამდებობაზე; მით უმეტეს, რომ სამხედრო კომისიის წევრები არ იყვნენ ამ დარგის სპეციალისტები.

გავეცანი რა არსებულ მდგომარეობას, მივედი შემდეგ დასკვნამდე:

1) ანარქია დღით-დღე იზრდება.

2) ოსმალეთის ფრონტზე რუსის ჯარი, გაბოლშევიკებული სტოვებს ფრონტს და იხევს უკან. ოსმალები მათ თან მოსდევენ; ე. ი. მათთვის გზა გაშლილია კავკასიონის ქედამდე მაინც.

3) საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი რუსული სათადარიგო ერთეულები გაბოლშევიკებულია. ფრიად საყურადღებო მაგალითი: თფილისში არსენალის მთაზე იდგა ასეთი ერთეული ექვსი ათასი ჯარისკაცის შემადგენლობით. მას ჰქონდა იქიდან მომიზნებული თფილისის მთავარ ქუჩებისაკენ თორმეტი ზარბაზანი. ცხადია, მას ყოველთვის შეეძლო ჩაეგდო ხელში ქალაქი და ის გაენადგურებინა.

4) ქართველი ხალხის სულისკვეთება ასი პროცენტით ანტიბოლშევიკურია.

5) ქართული კორპუსი ჯერ კიდევ თითქმის არავითარ სერიოზულ ძალას არ წარმოადგენს.

6) არსებობენ წითელგვარდიელთა ცალ-ცალკე რაზმები, მაგრამ ორგანიზაციულად მოუწყობელნი. სხვადასხვა ალაგას მახთივე მოხალისეთა რაზმები ყავდათ თითქმის ყველა პარტიებს. ეს იყო ხალხი იდეური, ბოლშევიკებთან ბრძოლაში ყოველმხრივ საიმედო.

7) არსებობდნენ კიდევ სხვა ეროვნებათა სამხედრო ერთეულები: პოლონელების, უკრაინელების და სხვა, მაგრამ ჯერ კიდევ მოუწყობელნი.

25-XI-17 წ. მე წარვუდგინე სამხედრო კომისიას ჩემი პირველი გეგმა, სადაც მოვითხოვდი:

1) დაუყოვნებლივ ხელში ჩაგდებას არსენალის მთისა თფილისში.

2) მოხალისეთა რაზმებისადმი მეტი ყურადღების მიქცევას და მათ წყობას ცალ-ცალკე ათასეულებად, სანამ ქართული კორპუსი არ დადგება მაგრად ფეხზე. ამავე დროს, ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცების, გარდა მოხალისეებისა, ორი თვით შვებულებაში გაშვებას ფიზიკურად და მორალურად დასასვენებლათ.

3) ქართულ ქვეითთა მესამე დივიზიის კადრების შექმნას და მის დაბანაკებას ბათუმ-ართვინ-არდაგან-ახალციხის რაიონებში, რომ რაღაცა გვყოლოდა ოსმალეთის წინააღმდეგ.

სამწუხაროდ, ამას ყველაფერს ართულებდა უიარაღობა. როგორც ვიცით, 1917 წლის გაზაფხულზე რუსეთი აპირებდა იერიშზე გადასვლას ყველა ფრონტზე. ამიტომ, ყველა საწყობები გადატანილ იქნენ ფრონტის ხაზთან ახლოს. ეს ხაზი კი ძალიან ღრმად იყო შეჭრილი ოსმალეთის და სპარსეთის ტერიტორიაზე. ამიტომ, ყველა ეს საწყობები იყვნენ ოსმალეთში და სპარსეთში. ასე რომ, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე იმჟამად არავითარი თადარიგი იარაღისა აღარ არსებობდა. რუსის ჯარის უკანდახევის შემდეგ ის ყველაფერი ჩაუვარდათ ხელში ოსმალებს.

ჩემი გეგმა ერთხმად იყო მიღებული და სამხედრო კომისიის მიერ დამტკიცებული.

29-XI-ს არსენალის მთა თფილისში იქნა ჩვენ მიერ დაკავებული.

ახალციხეში მესამე დივიზიის უფროსად დაინიშნა ღენ. არჯევანიძე. მის ადგილზე ქუთაისში პირველი დივიზიის — ღენ. ართმელაძე.

ყველა ჩვენ გეგმებს ადასტურებენ უდავოდ კავკასიის ფრონტის სარდლობა. მით უმეტეს, რომ ამასვე მოითხოვდა კავკასიის არმიის მეთაური ღენ. ოდიშელიძე. უკანასკნელი ხედავდა, რომ რუსის ჯარი მიეცა ანარქიას საბოლოოდ.

ამიერკავკასიის სეიმი

მეზობლებთან მოლაპარაკების შედეგად, მთიელებმა გადაწყვიტეს შეთანხმებოდნენ ჩრდილო-კავკასიის ყუბანის და თერგის ყაზახებს და მათთან ერთად დაეარსებინათ ჩრდილო-კავკასიის ფედერაცია, მხოლოდ ამიერ-კავკასიის ერებმა კი (აზერბაიჯანელებმა, სომხებმა და ქართველებმა) დაადგინეს, დაეარსებინათ ამიერ-კავკასიის ფედერაცია თუ კონფედერაცია საერთო პარლამენტით (სეიმით) და მის მიერ შექმნილი მთავრობით (კომისარიატით) თფილისში, საქართველოს სატახტო ქალაქში.

1918 წლის იანვარში თფილისში გაიხსნა ამიერკავკასიის სეიმი კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძის თავმჯდომარეობით. არჩევნების მოხდენა შეუძლებელი იყო. ამიტომ, სეიმის შემადგენლობა იყო დამყარებული რუსეთის დამფუძნებელ კრებაში-არჩეულ დეპუტატთა რიცხვზე, რომელიც უდრიდა 25-ს. ეს რიცხვი იქნა გამრავლებული ხუთზე. ამრიგად, სეიმის დეპუტატთა რიცხვი იყო 125. არ მახსოვს სეიმის ეროვნული შემადგენლობა. რაც შეეხება პარტიულ შემადგენლობას, სოციალისტებს ჰყავდათ უმრავლესობა. არცერთი ბოლშევიკი სეიმში არ შესულა.

სეიმმა შეადგინა ამიერკავკასიის მთავრობა (კომისარიატი), ევგენი გეგეჭკორის თავმჯდომარეობით; მოახდინა ემისია ამიერ-კავკასიის ფულის სამ ენაზე, სომხურ, ქართულ და აზერბაიჯანულზე.

დაადგინა, მოწყობილიყო სამი კორპუსი: სომხური, ქართული და აზერბაიჯანული. აგრეთვე ეძლეოდათ უფლება, შეედგინათ თავ-თავის ეროვნული სამხედრო ნაწილები სხვა ერებსაც: პოლონელებს, უკრაინელებს და სხვებს; რუსებსაც კი, თუკი ისინი იქნებოდენ ანტიკომუნისტური. მთავარსარდლობა რჩებოდა კავკასიის ფრონტის სარდლობის ხელში ღენ. ლებედინსკის მეთაურობით.

10 აპრილს სეიმმა გამოაცხადა ამიერ-კავკასიის ფედერაციის დამოუკიდებლობა და მთავრობის მეთაურად დაინიშნა აკაკი ივანეს ძე ჩხენკელი.

კავკასიის ფრონტის რუსული ჯარების გაცილება რუსეთში

ოსმალეთის წინააღმდეგ კავკასიის ფრონტზე 1917 წელში იმყოფებოდა დაახლოებით ერთ მილიონიანი რუსეთის ჯარი. რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, ეს ჯარი სრულებით გაბოლშევიკდა და სავსებით მიეცა ანარქიას: დაიწყო უწესრიგოდ უკან დახევა, რომ რაც შეიძლება ჩქარა დაბრუნებულიყო სახლში.

არსებობდა მხოლოდ ერთი რკინიგზა — თბილისი-ალექსანდროპოლი; აქ ერთდებოდნენ რკინიგზები ერსერუმიდან და ტავრიზიდან. ამრიგად, ოთხმოც პროცენტს ამ გაურდოებული ჯარისა უნდა გაევლო თფილისზე. დაიწყეს ანარქიულად უკან სვლა. გზა და გზა ცარცვა-გლეჯით ირჩენდნენ თავს, ვინაიდან ყველა მთავარი საწყობები სურსათისა, იარაღისა და ტანსაცმლისა რჩებოდნენ ოსმალების ხელში. ამას უნდა დავუმატოთ, რომ ეს ხდებოდა 1917 წლის ნოემბრიდან 1918 წლის მარტამდე, ე. ი. ზამთარში.

ჩვენ წინაშე დაისვა საკითხი, თუ როგორ გადავარჩინოთ ჩვენი ტერიტორია და განსაკუთრებით სატახტო ქალაქი თფილისი და მთავარი ნავთსადგური ბათუმი განადგურებისაგან.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო“ № 22.



ეროვნული ბიბლიოთეკა

„აკაკის–საქართველო“

აკაკი წერეთელი და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება

როინ მეტრეველი

1990 წელი აკაკის წელია, მისი ღვაწლის გახსენებისა და პატივის მიგების წელი. ლიტერატურათმცოდნეები და ლიტერატურის კრიტიკოსები აკაკის დიდ შემოქმედებას აფასებენ სხვადასხვა კუთხითა და წარმოუჩენენ საზოგადოებას. ჩვენ ერთი მხარე გვინდა აღვნიშნოთ: აკაკი წერეთლის დამოკიდებულება ისტორიასთან, ისტორიულ მეცნიერებასთან და მისი საქმიანობა, ვითარცა საქართველოს ისტორიის დიდი ჭირისუფლისა.

არ გვინდა დიდი ადგილი დავუთმოთ მგოსნის შემოქმედების ისტორიულ თემატიკას. ერთი კია: „თორნიკე ერისთავისა“ და „ბაში-აჩუკის“, „ბაგრატ დიდისა“ და „პატარა კახის“ ავტორი თავისთავად დიდი ისტორიკოსია. დროისა და ისტორიულ პირთა წარმოჩენით, იმდროინდელი საქართველოს სიძლიერისა და დიდი საერთაშორისო ავტორიტეტის ჩვენებით პოემა „თორნიკე ერისთავი“ გამორჩეული ნაწარმოებია. აკაკიმ შესანიშნავად იცის საქართველოსა და ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობის პრობლემები. პოემის მთელ მსვლელობას სწორედ ჭეშმარიტი ისტორიული ფონი აქვს.

ასევეა „ბაში-აჩუკიც“. აქ საოცარი სურათია დახატული სხვადასხვა ურთიერთობისა, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებისა, მაგრამ მთავარი ერთია — საქართველოს სიყვარული. რომანის მთელი მოქმედება გაშლილია კახეთის ცნობილი აჯანყების ფონზე. ღრმა ისტორიზმითაა გამსჭვალული სხვა ისტორიული ნაწარმოებებიც. აკაკის დიდი მწერლური ოსტატობა საშუალებას გვაძლევს თვალნათლივ წარმოვიდგინოთ წარსულის უდიდესი პრობლემები. თვალწინ გავაცოცხლოთ და შევიგრძნოთ ქართველი ხალხის თავდადება და თავგანწირვა სამშობლოსათვის. „განთიადის“ ავტორის პატრიოტიზმზე ალბათ უხერხულია ლაპარაკი. ისტორიზმი კი თანმდევია აკაკი წერეთლისათვის. პოეტს მეტად საინტერესო კონცეფცია აქვს მეფე-ქალის თამარის შესახებ. თბილისში 1908 წელს სოსიკო მერკვილაძემ აკაკი წერეთლის პაწია წიგნაკი გამოსცა. ესაა „თამარ მეფე“, სადაც პოეტი საინტერესოდ აფასებს თამარს და მის მნიშვნელობას საქართველოსათვის: „ძველთაგან დაწყებული, ჯერ არ ყოფილა დედამიწის ზურგზე მისთანა საისტორიო ერი, რომელსაც სხვადასხვაგვარ უბედურების მიზეზად ქალი არ დაესახელებინოს. მაგალითად: ბერძნებმა, ტროალის ლაშქრობით აშფოთებულებმა, დიდებულ ილიონის დარღვევისა და, თან მოყოლებულის ატრიდაანთ ოჯახის ყოველგვარ უბედურების მიზეზად ელენე მშვენიერი გამოსახეს. ერთ დროს ოდესმე ზვიადი ებრაელები, რომელთაც თავისი ეროვნული ძლიერება სამსონ ძლიერში გამოხატეს, დასუსტებასა და დამარცხებას დალილას აბრალებენ. ეგვიპტის ბოლომოღებას და ბჭემაღალ ფარაონთა დამხობას კლეოპატრას მხურვალებას აწერენ. და სხვანიცა ამგვარადვე... რომ ყველა არ ჩამოვთვალოთ, საკმაო იქნება ვალიაროთ, რომ თვით მთელმა კაცობრიობამ, შეერთებულად, სამოთხის დაკარგვის მიზეზად პირველი დედა, ევა, დაასახელა“. აკაკი წერეთელს ქალთა აუგად მოხსენიების სხვა მრავალი მაგალითიც მოჰყავს. შემდეგ კი აღნიშნავს: „ძველ ხალხებშიც ერია ერთი ტომის ხალხი, ივერიელები ანუ ქართველები, რომ სულ სხვა თვალით უყურებდნენ ქალებს. უფლებით გათანასწორებულ ამაზონელებს პატივისცემით ეპყრობოდნენ და უკეთესს მათგანს გაოცებით იხსენიებდნენ, როგორც მაგალითად, საოცარ მედეას... ქრისტიანობის დროს, დედაკაცი კიდევ უფრო ამაღლდა... საქართველოში... ამ პატარა საქრისტიანო სამეფოში. როგორც ღვთისმშობლის საუფლისწულოში: პირველობა ყველაფერში ქალებს ერგოთ“. აკაკი ჩამოთვლის ნინო კაბადოკიელსა და ქეთევან დედოფალს და განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს მეფე თამარს, რომლის მეფობის დროს „სიკვდილით არავინ დასჯილა“ და დაუმტკიცდა შემდგომ გვირგვინოსნებს, რომ ქვეყნის „გაერთიანება და ამაღლება შეიძლება მხოლოდ სიტკბოებით, ლმობიერებითა და სიყვარულით“. დიდი მგოსნის მოვლენათა ახსნა-შეფასებაში სადავოც არის, მაგრამ ეს არ არის მთავარი წარსულისადმი აკაკის დამოკიდებულებაში.

აკაკი წერეთელი ფხიზლად ადევნებდა თვალს მიმდინარე მოვლენებსაც და არაერთ ბრძნულ, გასათვალისწინებელ მოსაზრებას გამოთქვამდა. რაოდენ აქტუალურია და დამაფიქრებელია დღეს აკაკი წერეთლის ლექსი „რჩევა“, 1905 წელს რომ დაწერა თათარ-სომეხთა შეტაკების გამო:

ღვთის მადლსა, რა დროს ეს არის:
ძმა ძმაზედ ლესავს ხანჯალსა?!
იღუპებიან ორივე,
არც ღონეს ჰზოგვენ, არც ძალსა.

....

ორივეს მტერი ერთია
შორეულ-გადამთიელი.

ისტორიული ტრადიციების თავგამოდებით დამცველი აკაკი ხმამაღლა აცხადებს:

შეერთდით, ძმებო! შერიგდით!
ხელი ხელს მიეცით ძმურადა
და მტერს დაუხვდით გარეშეს
თამამად... ვაჟკაცურადა.

აკაკი წერეთელი ქართული ისტორიული საზოგადოების ყურადღების ცენტრში იმთავითვე იყო მოქცეული. თვითონაც დიდად აფასებდა ისტორიას და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მის შესწავლას. აკაკის ღვაწლი დიდად დააფასა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომელიც 1907 წელს დაარსდა ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით და რომელშიც თავი მოიყარა იმდროინდელმა მოწინავე ქართველმა ინტელიგენციამ.

1908 წლის 5 დეკემბერს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ აკაკი წერეთელი თავის პირველ საპატიო წევრად აირჩია (ასეთი შემდგომში სულ მხოლოდ სამი იყო).

აკაკის არჩევა საყოველთაო იუბილეს დღეებში მოხდა. ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმი გაუმართა სახიქადულო პოეტს. საქართველო ამ ზეიმში თავისი პოტენციური, ეროვნული ძალის დემონსტრირებას ახდენდა, ილიას მოკვლისთვისაც ასწორებდა ანგარიშს. ქართველი ხალხი აჩვენებდა, რომ მიუხედავად პოლიტიკური და ეკონომიკური სიდუხჭირისა, მაინც მზად იყო ებრძოლა ეროვნული მწერლობის, ენისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

მთელმა საქართველომ იზეიმა აკაკის იუბილე. ქართველი ხალხის სიხარული გაიზიარეს ყველა მოძმე ერების პროგრესულმა წარმომადგენლებმა. ამიტომ არ ყოფილა შემთხვევითი, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ დიდი მგოსანი თავის საპატიო წევრად აირჩია. საზოგადოება ხომ სწორედ იმ საქმეს ემსახურებოდა, რასაც აკაკიმ მთელი სიცოცხლე ანაცვალა. აი როგორი ადრესით მიმართა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ აკაკი წერეთელს:

„დიდებულო მგოსანო! საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება წრფელის გულით გილოცავს შენი ბრწყინვალე მოღვაწეობის ნახევარი საუკუნის შესრულებას.

ჩვენს ისტორიას, ჩვენს ეთნოგრაფიას, ჩვენს ენას დიდი ამაგი დასდო შენმა ზეგარდმოცხებულმა ნიჭმა;

შენის მადლიანი კალმის მეოხებით ჩვენი ენა დღეს წმინდაა და მსუბუქი, ტკბილია და მომხიბლავი;

შენის ძლიერის პოეტური ნიჭით შენ შეიგენი თუ რა ულეველი ზღვაა პოეზიისა ხალხური სიტყვიერება, და შეუდექი მისი მარგალიტების გამოქვეყნებას;

შენის საისტორიო პოემებით და დრამებით შეაყვარე ქართველ ერს მისი მივიწყებული წარსული;

ამ წარსულის სიყვარულმა მოამზადა ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა თვით ჩვენი ნორჩი „საზოგადოება“.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება დიდად აფასებს ამ თვალსაჩინო ღვაწლს, — და, ნიშნად მადლობისა და პატივისცემისა, ერთხმად აგირჩია თავის საპატიო წევრად.

გისურვებთ, მგოსანო, ხანგრძლივ სიცოცხლეს, რომ შენმა მადლიანმა ჩანგმა კიდევ დიდხანს იჟღეროს სამშობლო პოეზიის დიდებულ ტაძარში უწინდებურის აღტაცებით და მომხიბლავის მშვენიერებით!

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე — ე. თაყაიშვილი,
საბჭოს წევრები — ლ. კარიჭაშვილი, მ. ჯანაშვილი, ალ. სარაჯიშვილი, ი. აბულაძე,
მდივანი — ს. გორგაძე“.

თვით აკაკი წერეთელიც უდიდესი პატივისცემითა და მოწიწებით ეკიდებოდა და დიდად აფასებდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობას და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გვერდით აყენებდა მას. ეს ნათლად გამოჩნდა, როცა მგოსანმა თავისი ქონება ამ ორ საზოგადოებას უანდერძა, იგივე ანდერძით ლიტერატურული მემკვიდრეობა (ნაწარმოებთა გამოცემის უფლება) საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადაეცა (უნდა შექმნილიყო ხალხური სიტყვიერების ფონდი და მოგვარებულიყო გამოცემა). აი ერთი ადგილი აკაკი წერეთლის მიერ 1912 წლის 7 ნოემბერს გაცემული (ქუთაისის ნოტარიუსის დამოწმებული) ანდერძიდან: „მე თავადი აკაკი როსტომის ძე წერეთელი, რომელიც ვარ სრულ ჭკუასა და მტკიცე მეხსიერებაზე, საჭიროდ ვთვლი სიკვდილის შემდეგ დავტოვო შემდეგი ანდერძი... სამოსახლო ადგილს შენობებით და კარის ეკლესიით სოფელ სხვიტორში, შორაპნის მაზრაში, საკუთრებად ვუტოვებ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომ აქ გაიხსნას დედათა სკოლა ჩემი სახელობისა; ვენახსა და დანარჩენს ჩემს მამულს ვუტოვებ საკუთრებად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ქართული ზღაპრებისა, არაკებისა და საერთოდ ზეპირ თქმულებათა შესაკრებად და გამოსაცემად. უფლება ჩემი ნაწერების გამოცემისა უნდა მიეცეს ზემოხსენებულ საეთნოგრაფიო საზოგადოებას აღნიშნულ მიზნისათვის“... (აკაკის ანდერძი, ა. წერეთელი, თხზულებათა ტ. XIV, თბ., 1961, გვ. 588).

აკაკი წერეთელი ერთი პერიოდი უაღრესად ხელმოკლედ ცხოვრობდა. იგი ხშირად იძულებული იყო მამულიც კი დაეგირავებინა. იყო პერიოდი, მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, როცა ცოლშვილი უსახსრობას შესჩიოდა პეტერბურგიდან და დახმარებას სთხოვდა, თითონ კი საშუალება არ ჰქონდა, ფული ვერ ეშოვნა უკიდურესად გაჭირვებული ოჯახის დასახმარებლად. (ლ. ასათიანი, „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, თბ. 1965, გვ. 496-497. ამ მხრივ ნიშანდობლივია ა. წერეთლის კერძო წერილები, რომლებიც თხზულებათა XV ტომში დაიბეჭდა 1963 წ. გ. აბზიანიძის წინასიტყვაობითა და რედაქციით). მთავრობამ ძალზე გაურთულა პენსიის საქმეც.

მიუხედავად ხელმოკლეობისა, აკაკიმ მაინც გადადგა ნაბიჯი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სასარგებლოდ.

საზოგადოდ, აკაკის ანდერძი ფრიად დიდი მოვლენა იყო და ერთხელ კიდევ მოგვანიშნებს დიდი პოეტის დამოკიდებულებას საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისადმი. როცა აკაკის წაუკითხავს „ძველი საქართველოს“ პირველ და მეორე ტომებში დაბეჭდილი ხალხური ლექსები და ზღაპრები, აღფრთოვანებულა, უსაზღვროდ გახარებულა. სიკვდილის წინა დღეებში დიდი მგოსნისთვის ე. თაყაიშვილს მესამე ტომიც მიუწოდებია. აქ ხალხური სიტყვიერების დიდძალი მასალაა მოთავსებული. მომაკვდავ პოეტს ლექსების წაკითხვა მოუთხოვია, შემდეგ კი უთქვამს: „ქართველი ერი არ გაქრება, თუ მისი სახალხო პოეზია არ დაიკარგა“.

განსვენებული მგოსნის მამულების ნაწილი და ლიტერატურული მემკვიდრეობა (გამოცემის უფლებით) საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ერგო. აკაკის ანდერძის იურიდიულ დასაბუთებას იმთავითვე ყურადღება მიაქცია ექვთიმე თაყაიშვილმა, კავშირი დაამყარა მგოსნის უკანასკნელი ნების აღმსრულებლებთან: კოტე აბდუშელიშვილთან, იაკობ ფანცხავასთან, ივანე ელიაშვილთან და გრიგოლ დიასამიძესთან. მისივე დავალებით და საზოგადოებისაგან მატერიალური ხელისგამართვით (სათანადო თანხა იქნა გაღებული) კოტე აბდუშელიშვილმა მოლაპარაკება გამართა ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარესთან სოლომონ მიქელაძესთან აკაკის ანდერძის საბოლოოდ დასამტკიცებლად. (იხ. ე. თაყაიშვილი, აკაკის ანდერძის გამო, კრებ. „აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი“. თბ., 1966, გვ. 205-207).

1915 წლის 20 სექტემბერს საზოგადოების კრებამ (იხ. ოქმი № 105) საგანგებოდ განიხილა აკაკის ანდერძის საკითხი. ე. თაყაიშვილმა კრებას აცნობა, რომ ანდერძი დამტკიცდა. ამასთან მამულს ბანკის ვალი დარჩა 700 მანეთი, გადასახდელი იყო ანდერძის დამტკიცების ხარჯები, მამულის სხვადასხვა გადასახადი და კერძო ვალები, სულ 4000 მანეთამდე. მანვე გააცნო კრებას საბჭოს 7 სექტემბრის გადაწყვეტილება (ოქმი № 121, მუხლი № 4): „მემკვიდრეობა მიღებულ იქნას და მფლობელობაში შევიდეს, როცა დროებითი მემკვიდრენი უარს იტყვიან თავის მემკვიდრეობაზე. ამ თავით გაწეული იქნას ხარჯები აკაკის ფონდიდან, სახელდობრ აკაკის მსახურის ვალის (200 მან) გადასახდელად, სახელმწიფო გადასახადები და ანდერძის დამტკიცების ხარჯები“. კრებამ დაამტკიცა ეს გადაწყვეტილება. თანაც საბჭოს დაავალა შემუშავება ფორმისა, რომლის მიხედვითაც წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან ერთად საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მფლობელობაში შესვლას განსაზღვრავდა. ნაანდერძევის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა გაღებულიყო აკაკის ფონდიდან სესხის სახით. აკაკი წერეთლის უკანასკნელი ნების აღმსრულებლებიც შეუდგნენ საქმის სათანადოდ მოწესრიგებას, რადგან რიგი საკითხებისა ჯერ კიდევ მოსაგვარებელი იყო. სულ მალე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მიიღო წერილი, სადაც ანდერძთან დაკავშირებული და აუცილებლად მოსაგვარებელი საკითხები იყო მოცემული:

„1915 წლის 4 მკათათვეს შევიკრიბენით მგოსან აკაკი წერეთლის უკანასკნელი ნების აღმსრულებელნი გ. დიასამიძე, ი. ფანცხავა, კ. აბდუშელიშვილი და ი. ელიაშვილი და დავადგინეთ შემდეგი: 1. აკაკის ანდერძი უკვე დამტკიცებულია ქუთაისის საოლქო სასამართლოსაგან და ანდერძის პირი ჩაბარებული აქვთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა და ქართ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებათა გამგეობებს. 2. ეთხოვოს აკაკის პირდაპირ მემკვიდრეთ კნ. ნატალია პეტრეს ასულს და თ-დ ალექსი აკაკის ძე წერეთლებს დაუთმონ თავისი უფლება სიცოცხლეში სარგებლობისა აკაკისაგან ნაანდერძევ უძრავ ქონებათა ზემოხსენებულ საზოგადოებათ, რათა წ. კ. საზოგადოება ამ თავითვე შეუდგეს სკოლის დაარსების ზრუნვას. 3. წერა-კითხვის საზოგადოებისათვის ნაანდერძევ სახლსა და ეზოსთან ერთს მთლიანს შეადგენს ზედა-მობმული ვენახი და სახნავი მიწა. ეს უკანასკნელი ნაკვეთი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მომავალ სკოლისთვის, ამიტომ ეთხოვოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას უსასყიდლოდ დაუთმოს ეს ნაკვეთი წ. კ. საზოგადოებას. 4. აკაკის უკვე გამოქვეყნებულს კერძო ანდერძში აღნუსხულია მისი მოვალეების სია და ვალის რაოდენობა და მასთან სურვილი გარდაცვალებულისა ეს ვალი გადახდილი იქნას მემკვიდრეთაგან. ამ ხანად აკაკის მამულის შემოსავალი ფრიად მცირეა. ამ შემოსავლით ვალების გასტუმრება შეუძლებელია. ამიტომ ეთხოვოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას იკისროს ამ ვალების დაუყოვნებლივ გადახდა. ვალის რაოდენობა უდრის 2.180 მანეთს. 5. აკაკის გარდაცვალების შემდეგ თბილისის სახაზინო ბანკში აღმოჩნდა ასი თუმნის ვექსილი კოტე აბდუშელიშვილის, რომლის ბალალიც აკაკის მიერ ხელმოწერილი, აღმოჩნდა კოტე აბდუშელიშვილთან. ეს ვალიც დაუყოვნებლივ გადასახდელია. ეთხოვოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ამ ვალის გასტუმრებაც. 6. დროებითი მემკვიდრენი, აკაკის ცოლშვილი, არც უვლიან და არც სარგებლობენ მამულით. ხოლო

(დასასრული მე-12 გვ.).

(დასასრული)

მამულის მოვლა-პატრონობა ჩვენს მიერ დავალებული აქვს კოტე აბდუშელიშვილს, რომელიც დღიდან აკაკის გარდაცვალებისა ეწევა მიმდინარე ხარჯებს. ეთხოვოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას გაუძლვეს ამ ხარჯებსაც დღიდან აკაკის გარდაცვალებისა, ვიდრე ნაანდერძევის განაწილებამდე საეთნოგრაფიო და საისტ. საზოგადოებისა და წ. კ. საზოგადოების შორის, თუ კი დროებითი მემკვიდრენი უარს განაცხადებენ თვით უფლებაზე. 7. მიენდოს ივანე ელიაშვილს აცნობოს დროებით მემკვიდრეებს ეს დადგენილებანი. მით უმეტეს. რომ ეს დადგენილებანი დამყარებულია კნ. ნატალია და ო-დ. ალექსი წერეთლების მიერ გამოთქმულ სურვილზე თავისი უფლების უარყოფის შესახებ. 8. ყველა აქ მოხსენებული დადგენილებანი გამომდინარეობენ აუცილებლობისაგან და მათი სისრულეში მოყვანა ევალება საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას, როგორადაც აკაკის მთელ ნაანდერძევ ღირებულებათა ნამდვილ მემკვიდრეს, ხოლო თუ ეს დადგენილებანი შეუსრულებელი დარჩებიან, იმ შემთხვევაში ჩვენ, ნების აღმსრულებელნი, ყოველივე პასუხის მგებლობაზე ხელს ვიღებთ იმ მხრივ, თუ საიდანმე სახიფათო რამ გამოუჩნდა ნაანდერძევ ღირებულებას. 9. ამ დადგენილებათა პირის გაგზავნა წერა-კითხვისა და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებათა გამგეობათადმი მიენდოს ივანე ელიაშვილს. 10. ეთხოვოს ზემოხსენებულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ზემოაღნიშნულ მუხლების პასუხი ნების აღმსრულებელთ აცნობოს ივანე სპირიდონის ძე ელიაშვილის სახელზე არა უგვიანეს ერთის თვისა ამ ოქმის პირის მიღებიდან.

ნების აღმსრულებელნი:
კოტე აბდუშელიშვილი
იაკობ ფანცხავა
ივანე ელიაშვილი
გრიგოლ დიასამიძე"

კოტე აბდუშელიშვილი შემდგომშიც აგრძელებდა ზრუნვას აკაკი წერეთლის მიერ ნაანდერძევი უძრავი ქონების საზოგადოებისათვის გადაცემისათვის. საქმე ისაა, რომ განსვენებული მგოსნისაგან ნაანდერძევი ტყიანი ადგილი, სახელდობრ „საფალავანდიშვილო" აკაკის სიცოცხლეში იჯარით ჰქონდა მიცემული საზღვარგარეთულ კომპანიას (დ. დიტრიხს). ნოტარიალური პირობა ხის მოჭრას ითვალისწინებდა მხოლოდ. ხელშეკრულების ვადა 1918 წლის 11 თებერვალს გავიდა. ამ პირობით მოიჯარადრეს უფლება ჰქონდა ვადის გასვლიდან 3 თვის განმავლობაში დაემთავრებინა ყოველგვარი საქმიანობა (გაეტანა დამზადებული მასალა, დაეშალა შენობები, გაეყვანა მანქანები და სხვ.). სამი თვის ვადის გასვლის შემდეგ კ. აბდუშელიშვილი ადგილობრივ კომისართან ერთად ეწვია მამულს („საფალავანდიშვილოს") და მოიჯარადრის წარმომადგენელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება მოსთხოვა. უკანასკნელმა მსოფლიო ომისგან გამოწვეული დაბრკოლებები მოიმიზეზა და ითხოვა ვადის გაგრძელება რამდენიმე თვით. აკაკის ნების აღმსრულებელმა არ მისცა თანხმობა ამ მოთხოვნაზე და კეთილსაიმედო პირთა თანდასწრებით შეუდგა ქონების აღწერას და სრული სურათი აცნობა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას 1918 წლის 29 მაისს.

ვიდრე აკაკი წერეთლის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოცემაზე საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების უფლებებსა და მოღვაწეობას შევეხებოდეთ, გვინდა შევჩერდეთ ერთ მომენტზე — იმ დიდ მწუხარებაზე, რომელიც მთელ ქართველ ხალხთან ერთად საზოგადოების წევრებმაც გამოხატეს დიდი მგოსნის გარდაცვალების გამო. 1915 წლის 27 იანვარს შეიკრიბა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობდა ე. თაყაიშვილი; დაესწრნენ: დ. კარიჭაშვილი. დ. კილოსანიძე, ი. აბულაძე, შ. ქარუმიძე, კ. კეკელიძე, ი. სონღულაშვილი და ს. გორგაძე (მდივანი). თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების საპატიო წევრი, დიდებული პოეტი, თავადი აკაკი როსტომის ძე წერეთელი და საჭიროა ჯეროვანი პატივი ვცეთ მის ხსოვნას. საბჭომ დაადგინა, რომ სანამ საგანგებო კრება მოხდებოდეს იმის თაობაზე, თუ როგორ აღინიშნოს განსვენებულის დაუფასებელი ღვაწლი სამშობლოს წინაშე, ჯერჯერობით: ა) 28 იანვარს გადახდილი იქნას პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენიებლად და მთელი საბჭო დაესწროს მის დასაფლავებას; ბ) იმ კომისიაში, რომელიც შეიმუშავებს და დაიცავს დასაფლავების წესრიგს, საზოგადოების წარმომადგენლობა დაევალოს საზოგადოების საბჭოს წევრს შალვა ქარუმიძეს; გ) გადაიდოს ოცდაათი თუმანი ფული იმ ფონდისათვის, რომელიც შედგება ჩვენ საზოგადოებასთან სახალხო სიტყვიერების გამოსაცემად, როგორც აწ განსვენებულის სურვილი იყო, გვირგვინის სამაგიეროდ გაღებული თანხიდან; დ) ეთხოვოს საზოგადოების დამფუძნებელ წევრს გრიგოლ ნიკოლოზის ძე დიასამიძეს და საბჭოს წევრს იუსტინე აბულაძეს დაესწრონ საზოგადოების სახელით განსვენებულის გვამის გადმოსვენებას საჩხერიდან (იხ. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საბჭოს სხდომის ოქმი № 106, 1915 წ. 27 იანვარი).

მეტად საგულისხმოა დიდი მგოსნის დანაბარები, მისთვის განკუთვნილი გვირგვინების თანხა ხალხური სიტყვიერების გამოცემას მოხმარებოდა. „გთხოვთ დამასაფლავოთ უბრალოდ. უგვირგვინოდ. გვირგვინის მსურველს ვთხოვ, გვირგვინის ფასი გადასცეს საეთნოგრაფიო საზოგადოებას!" (აკაკის ანდერძი. ა. წერეთელი, თხზ. ტ. XIV, გვ. 590). ანდერძი აღსრულებულ იქნა. მთელმა საქართველომ მუხლმოყრით გააცილა აკაკი თავის უკანასკნელ გზაზე. დაკრძალვას ასი ათასზე მეტი კაცი დაესწრო. მსგავსი პროცესია არ ენახა საქართველოს დედაქალაქს. დიდი მგოსნის კუბოს წინ მიუძღოდა ერთადერთი, სადა და უბრალო გვირგვინი, რომელსაც საქართველოს სულიერი მეუფის საკადრისი წარწერა ჰქონდა: „აკაკის — საქართველო".

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კეთილი დამოკიდებულება უკვდავი მგოსნისადმი კარგად გადმოსცა ექვთიმე თაყაიშვილმა, აკაკის გარდაცვალებიდან ორმოცი დღის აღსანიშნავ პანაშვიდზე:

„... საქართველო გლოვობს თავის საუკეთესო შვილს. ყველას სურს სიტყვით თუ კალმით გამოხატოს მისი ღვაწლი სამშობლოსადმი, გაგვითვალისწინოს მისი სამსახური. სავსებით დაგვიხატოს მისი სურათი. მაგრამ ამაოდ! ყველა გრძნობს, რომ ვერ უთქვამს ის, რისი თქმაც უნდოდა; ოდნავადაც ვერ დაუხატავს ის რისიც დახატვა სურდა. ხოლო, როდესაც ჩვენი მგოსნის სახელს ვახსენებ ხოლმე, მის სპეტაკ სახელთან ერთად თვალწინ გვეშლება დიდებული სურათი... ამ სურათში ჩაქსოვილია მთელი საქართველოს ნახევარი საუკუნის ისტორია, მისი თვითშეგნების განვითარება, ერთობის ქადაგება, მამულის სიყვარული, საუცხოო პოეზია და დიდებული ენა. საუცხოვოა ეს სურათი. რომელსაც ყველა გრძნობს, ყველას თვალწინ უძევს, მაგრამ არავის ძალუძს სიტყვით გადმოგვცეს, კალმით დაგვიხატოს. ასეთია საიდუმლოება ხალხის სულმნათისა, ხოლო ორი რამ თვალსაჩინოდ სჭარბობს ამ სურათში: სიმშვენიერე პოეზიისა და სიკეკლუცე ენისა...

აკაკის სწორედ ჯავრად ჩაჰყვა სამარეში, ვაი თუ ქართული ზეპირსიტყვაობა დაიკარგოსო. რომ ეს არ მოხდეს ამიტომ ჩვენს საზოგადოებას ანდერძით დაგვიტოვა ამის შესახებ ზრუნვა და თავისი ავლადიდება ამ საქმის განსახორციელებლად გვიანდერძა, როგორც ჩვენს საზოგადოებას, ისე მთელ ქართველ ერს ვალად აქვს პირნათლად შეასრულოს ეს ანდერძი".

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ დიდი გულმოდგინებით მოჰკიდა ხელი აკაკის ანდერძის შესრულებას. 1915 წლის 25 თებერვალს საგანგებო სხდომა მიეძღვნა აღნიშნულ საკითხს. ექვთიმე თაყაიშვილი ვრცლად შეეხო აკაკი წერეთლის უკანასკნელ სურვილს ხალხური სიტყვიერების მასალების შესაკრებად, შესასწავლად და დასაბეჭდად განსაკუთრებული თანხის დაარსებისა და თვით მისი თხზულებების გამოცემის შესახებ. კრებამ დაადგინა. რომ ყველა ღონე იხმაროს ქართული ხალხური სიტყვიერების ფონდის გასაძლიერებლად და გამოცემის უზრუნველსაყოფად. დაადგინეს, რომ მიმართონ ხალხს ვისაც რაიმე ხელნაწერი მოეპოვებოდა, საზოგადოებისათვის მოეწოდებინათ, ამასთან აკაკისთან ახლომყოფებს სთხოვდნენ მოეცათ მოგონებანი მგოსანზე, თუ რა ვითარებაში იწერებოდა და ვისდამი იყო მიძღვნილი ცალკეული ლექსები.

აი, ამგვარი თხოვნით მიმართა ქართველ საზოგადოებას საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ გაზეთ „სახალხო ფურცლის" საშუალებით:

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო უმორჩილესად სთხოვს განსვენებულის მგოსნის აკაკი როსტომის ძის წერეთლის ნათესავ-ნაცნობებსა და მისი ხსოვნის პატივისმცემელთ მოაწოდონ „საზოგადოებას" მუზეუმში დასაცველად განსვენებულის მგოსნის ყოველგვარი მიწერ-მოწერა, მისი ნაქონი ნივთი, კერძო ალბომებში მოთავსებული მისი ლექსები ან კერძო პირთათვის შედგენილი ეპიტაფიები (საფლავის ქვაზე წასაწერი), აგრეთვე ყოველგვარი ცნობა, რომელიც მგოსნის ბიოგრაფიის (ცხოვრების აღწერის) შესადგენად გამოდგება, და დასასრულ ვისაც მოეპოვება ცნობები იმის შესახებ თუ მგოსნის რომელი ნაწარმოებები როდის და რა შემთხვევის გამო (ან რომელი პირის შესახებ) არის დაწერილი და სად არის დაბეჭდილი. ამ მასალას საბჭო დაიცავს საზოგადოების მუზეუმში აკაკის სახელობის მომავალი დარბაზისათვის, ხოლო მის ნაწილს გამოიყენებს ახლავე განსვენებულის მგოსნის თხზულებათა გამოცემისათვის.

ვსთხოვთ სხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს ეს წერილი გადაბეჭდონ თავის გამოცემებში".

ამას გარდა საზოგადოების კრებამ შეარჩია რამდენიმე ქართველი მოღვაწე, რომელთაც ახლო ურთიერთობა ჰქონდათ აკაკისთან (კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო ნიკოლაძე, დავით ბაქრაძე, სერგო ბახტაძე, პეტრე წულუკიძე, ნიკო ლომოური, იონა მეუნარგია. სოფრომ მგალობლიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ნინო ორბელიანი, ტასო მაჩაბელი, კოტე ყიფიანი, ვასო აბაშიძე, დავით მიქელაძე, გრიგოლ დიასამიძე, ვახტანგ ღამბაშიძე, ივანე ელიაშვილი, კონსტანტინე აბდუშელიშვილი, სოსიკო მერკვილაძე და სხვ.), და პირადად სთხოვა მათ მგოსნის შესახებ მათ ხელთ არსებული მასალების მიწოდება.

საგულისხმოა, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების იმავე 1915 წლის 25 თებერვლის კრებაზე ს. გორგაძემ წაიკითხა მოხსენება „აკაკი წერეთელი და ჩვენი ხალხური პოეზია". მომხსენებელმა მოკლედ გააცნო დამსწრე საზოგადოებას დიდი მგოსნის აზრი ხალხური პოეზიის შესახებ; ნათლად აჩვენა, რომ ა. წერეთელი ჯერ კიდევ ორმოცი წლის წინათ შეუდგა ხალხური სიტყვიერების შეკრებას, ხოლო ოციოდე წლის წინ კიდეც დაიწყო მისი ბეჭდვა თავის „კრებულში". მომხსენებელმა წარმოადგინა პოეტის მიერ შეკრებილი ხალხური სიტყვიერების ნიმუშები და ცხადჰყო ის აზრი, რომ ქართული ხალხური პოეზია როგორც ფორმის სიმშვენიერით და გრძნობის სიძლიერე-სიფაქიზით, ისე ენის მუსიკალობით ისე განვითარებულა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პირველხარისხოვანი პოეტების ქმნილებებსაც კი უსწრებს წინ. ამიტომ სრულიად არ იყო გასაკვირი, რომ აკაკი წერეთელმა ესოდენ დიდი ყურადღება მიაქცია ხალხურ შემოქმედებას. იგი ხმამაღლა აცხადებს, რომ „უმაღლეს წერტილამდე იყო აყვანილი ჩვენი სახალხო პოეზიაო" იგი „უტყუარი სარკეა გადასული ცხოვრებისა და ისტორიის მტკიცე საძირკველიაო" („კრებული", 1897, № 1, გვ. 72).

აკაკი წერეთლის წლისთავზე ექვთიმე თაყაიშვილმა დამსწრეთ გააცნო საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ გაწეული დიდი მუშაობა განსვენებული მგოსნის ანდერძის აღსრულებისათვის; გვირგვინების ნაცვლად, თანხმად განსვენებულის სურვილისა, დაარსდა სახალხო პოეზიის ფონდი, რომლისთვისაც დღემდის შეგროვდა თხუთმეტი ათას მანეთზე ცოტა მეტი... დაიბეჭდა და ცალკე წიგნად გამოვა... ყველა ის ლექსები, იგავ-არაკები, სიმღერები, სიტყვის მასალანი, რომელიც ჩვენი საზოგადოების გამოცემაში იბეჭდებოდა, ცალკე გამოვა აგრეთვე იქვე დაბეჭდილი ხალხური ზღაპრები"... ექვთიმემ აღნიშნა, რომ საზოგადოების მიერ არჩეული კომისია შეუდგა აკაკის ნაწარმოებთა გამოცემას და „გამოსცემს ჯეროვნად, როდესაც დღევანდელი პირობები შეიცვლება, ე. ი. როდესაც შესაძლებელი იქნება ქაღალდის შოვნა და ბეჭდვის მოწყობა". ამასთან დაამატა. რომ ამ კერძო ანდერძის გარდა ქართველ ერს დიდმა მგოსანმა უფრო დიდი ანდერძი დაუტოვა. ესაა... თვითგანწირული ზრუნვა ქართველი ერის კეთილდღეობისათვის, მისდამი სიყვარული, მისდამი თავგანწირვა, მისი კულტურის დაცვა, ტერიტორიის შერჩენა, ენის და ლიტერატურის განვითარება, ეროვნული თვითშეგნება, დემოკრატიული მისწრაფება და თავისუფლების მოპოვება". მართლაც დიდი და მნიშვნელოვანი დანაბარებია. ეს აკაკისთან ერთად დიდი ილიას აზრიც იყო. ეს იყო სწრაფვა ნიკო ნიკოლაძის, დიმიტრი ყიფიანის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის, იაკობ გოგებაშვილისა და სხვა მამულიშვილებისა.

როცა დადგა საკითხი განსვენებული აკაკი წერეთლის საფლავის შემაგრების, გამშვენებისა და მოვლა-პატრონობის შესახებ, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ქმედითი მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ დიდი ამაგი დასდო აკაკი წერეთლის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოსაცემად მომზადების საქმეს. საზოგადოების საბჭომ 1915 წლის 9 მაისს (ოქმი № 118) დაამტკიცა აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემის დაწვრილებითი გეგმის შემმუშავებელი კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: ს, გორგაძე. ი. ყიფშიძე, დ. კილასონიძე. ირ. სონღულაშვილი და გ. ქიქოძე. კომისიის საქმიანობა ექვთიმე თაყაიშვილის შეუნელებელი ყურადღებით იყო მოსილი. 1915 წლის 24 ივნისისათვის კომისიამ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს წარუდგინა თავისი წინადადება სათანადო დასკვნით.

ეს გამოცემა უნდა ყოფილიყო პირველი სრული, ყველასთვის (როგორც ჩვეულებრივი მკითხველისათვის, ისე მკვლევართათვის) გამოსადეგი, ყველასათვის (როგორც მდიდართა, ისე ხელმოკლეთათვის) ხელმისაწვდომი და იმავე დროს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის ნივთიერად ხელსაყრელი გამოცემა. მის შემოსავალს, აკაკისავე ანდერძის თანახმად, უნდა გაეზარდა ხალხური სიტყვიერების ფონდი.

მთელი გამოსაცემი მასალა უნდა დალაგებულიყო შემდეგ ჯგუფებად: ა) ლექსები; ბ) იგავ-არაკები; გ) პოემები და გალექსილი ზღაპარ-ლეგენდები; დ) სცენები და დრამატული ნაწერები (როგორც გალექსილნი. ისე გაულექსავნი); ე) მოთხრობები და ზღაპრები. ვ) წვრილწვრილი ამბები და ნაკვესები; ზ) პუბლიცისტური ხასიათის ნაწერები („ცხელ-ცხელი ამბები", „ნადური" და მისთანანი); კრიტიკული წერილები და საბიბლიოგრაფიო შენიშვნანი; თ) სიტყვები; ი) კერძო წერილები და საზოგადოდ აკაკის მიწერ-მოწერა; კ) რუსული ნაწერები. ყოველი ჯგუფის ნაწერები ტომებში უნდა დაწყობილიყო ქრონოლოგიურ რიგზე (მათი დაწერისა და დაბეჭდვის თარიღის მიხედვით).

კომისიამ გაითვალისწინა საზოგადოების საბჭოს მითითებები, ის საშუალებები, რაც აღნიშნული საქმის განხორციელებისათვის საბჭოს გააჩნდა და ასეთი დადგენილება მიიღო:

„ამჟამად გადაიდოს აკაკის თხზულებათა სრული გამოცემა და მის ნაცვლად გამოიცეს მხოლოდ რჩეული ნაწერები".

კომისია თვლიდა, რომ ასეთი გამოცემა შესამჩნევად შეამცირებდა გამომცემლობის ხარჯებს. ამჯერად შეთავაზებულ შემთხვევაში მთელი გამოცემა 6-8 ტომით განისაზღვრებოდა (ნაცვლად 20 ტომისა). ეს მკითხველისთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა, რადგან ამ ტომების ფასი 20 მანეთს არ აღემატებოდა, ნაცვლად წინანდელი 60 მანეთისა.

როცა ცალკეული თხზულებების გამოცემაზე მიდგა ჯერი, აღმოჩნდა, რომ აკაკი წერეთელს მთელ რიგ ნაწარმოებებზე გამოცემის უფლება გაყიდული ჰქონდა. ჩვენს ხელთ არის საგანგებოდ ნოტარიალურად დამოწმებული ხელშეკრულების პირი, რომელიც გვაუწყებს. რომ ისტორიული რომანი „ბაში-აჩუკი", ისტორიული პოემები „ნათელა", „კიკოლას ნაამბობი" და „ბაგრატ დიდი" აკაკი წერეთელმა სამუდამოდ გამოცემის უფლებით მიჰყიდა იოსებ მერკვილაძეს. «...За продажу эту я князь Церетели выговорил себе одну тысячу пятьсот рублей, которые сполна и получил, и за сим к нему Иосифу Мерквиладзе и преемникам его переходит право издания и продажи оказанных произведений навсегда».

ეს ხელშეკრულება 1918 წლის აპრილშია გაფორმებული. ი. მერკვილაძე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი იყო და, როგორც ჩანს, აკაკის გარდაცვალების შემდეგ, მისი ანდერძის განხორციელებას (საზოგადოების მიერ ა. წერეთლის თხზულებათა გამოცემისა და ხალხური სიტყვიერების ფონდის შექმნის შესახებ) მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს. მან უსასყიდლოდ დაუთმო გამოსაცემად აკაკის თხზულებები საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას:

„განსვენებული აკაკისგან ნოტარიუსთან დადებული ხელშეკრულებით შეძენილი მაქვს სრულ და სამუდამო საკუთრებათ ოთხი მისი ნაწარმოები, სახელდობრ:

1. ისტორიული მოთხრობა „ბაში-აჩუკი" და ისტორიული პოემები; 2. „ნათელა"; 3. „კიკოლას ნაამბობი" და 4. „ბაგრატ დიდი", გარდა ამისა მისგანვე შინაური ბარათით შეძენილი მაქვს ერთი გამოცემის უფლება ისტორიული დრამის „პატარა კახი". ეს ბარათი მოცემულია 1918 წ. 7 აპრილს. გაცნობებთ რა ზემოხსენებულს, პატივი მაქვს გაგიცხადოთ. რომ მე ვისარგებლებ კანონიერი უფლებებით და გთხოვთ იქონიოთ ეს ჩემი განცხადება მხედველობაში.

აქვე დავძენ: როცა საზოგადოება შეუდგება აკაკის ნაწერების ტომებათ სრულ აკადემიურ გამოცემას, მე ჩემი მხრით სავალდებულოთ მივიჩნევ არ შევუშალო ხელი ასეთ სასარგებლო საქმეს აკაკის რომელიმე ნაწარმოების გამოკლებით და „საზოგადოებას" უსასყიდლოდ ნებას დავრთამ მოათავსოს იმ გამოცემაში ჩემ მიერ შეძენილი თხზულებებიც სხვა მის ნაწერებთან ერთად მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს თხზულებები არ იქნეს გამოცემული ცალკე ტომათ, ან თითოეული მათგანი ცალ-ცალკე".

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება იწყებს ზრუნვას აკაკი წერეთლის თხზულებათა შეძლებისდაგვარად (ძირითად გამარტივებული გეგმით) გამოცემისათვის. გამომცემლად შერჩეული იქნა „თ. მთავრიშვილის ამხანაგობა".

1919-20 წწ. ქართველმა მკითხველმა მიიღო ცალ-ცალკე წიგნებად გამოცემული „თორნიკე ერისთავი", „პატარა კახი", „თამარ ცბიერი" და „გამზრდელი". საზოგადოების მიერ გაწეული დიდი საქმიანობა იყო საფუძველი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დიდი მგოსნის თხზულებათა მეცნიერული გამოცემის საქმეში.

დასასრულს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი საერთოდ ისტორიკოსებთან და კერძოდ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან დაახლოვა ამ უკანასკნელის ფრიად მნიშვნელოვანმა კონკრეტულმა და სასარგებლო ეროვნულმა საქმიანობამ. ისტორიისა და ხალხური შემოქმედების დიდმა სიყვარულმა. საზოგადოებაც ფართოდ უღებდა კარს საქართველოს გამოჩენილ მოღვაწეებს, რომელთა გვირგვინიც თვით მისი საპატიო წევრი, საქართველოს „უგვირგვინო მეფე" აკაკი წერეთელი იყო.



რაც სიყვარულით იქმნება...

საუბარი „არტ დე ლუქსის“ პრეზიდენტ ლადო გუჯაბიძესთან

ნოდარ გურაბანიძე

ნიუ-იორკში შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლების დამთავრებასთან დაკავშირებით ქართველთა სათვისტომომ და ბრუკლინის მუსიკალური აკადემიის პრეზიდენტმა დიდი საღამო გამართეს. ამ მიღებაზე მრავალი სტუმარი იყო აგრეთვე მოწვეული, მათ შორის სახელგანთქმული ინგლისელი მსახიობი ვანესა რედგრეივი (ბოლო სპექტაკლის წინ ქალბატონმა ვანესამ ყველა მსახიობს, უკლებლივ, ყვავილების ულამაზესი თაიგული გამოუგზავნა სათანადო პერსონალური მიძღვნით), ბერგმანის შესანიშნავი სპექტაკლის „ჰამლეტის“ მთავარი გმირების შემსრულებელნი და სხვები.

მრავალი ქართველი ვნახე და გავიცანი ნიუ-იორკში ყოფნისას!..

გამოსათხოვარი საღამო არაჩვეულებრივად გულთბილი და ამაღელვებელი იყო. წარმოითქვა არაერთი უეჭველად ღირსეული სიტყვა (ამ გამოსვლათაგან, ერთს, ბატონ გიორგი ნაკაშიძის სიტყვას, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა. უახლოეს დროში მივაწვდი „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველებს).

ქართული სათვისტომოს წევრებს და ქართველ მსახიობებს ბოსტონიდან წერილით მიმართა ცნობილმა მრეწველმა გივი ზალდასტანმა (ზალდასტანიშვილმა), რომელიც იმხანად შეუძლოდ იყო. წერილი საზოგადოებას გააცნო ბატონმა ბონდო კვირკველიამ.

უცვლელად მომყავს ამ წერილის ტექსტი.

„მეგობრებო!

დებო და ძმებო, დღევანდელ დღეს იშვიათი მოვლენა არსებობს ჩვენი ერისათვის. დღეს საშუალება გვაქვს ნიუ-იორკში მოვიგონოთ ის წმინდა 21 წამებული ქართველი, რომლებმაც შესწირეს თავიანთი სიცოცხლე საქართველოს თავისუფლებისათვის. ვისარგებლოთ ამ მოვლენით და ჩვენ, ვინც დავრჩით, ხელიხელს — ჩაკიდებული, გულთან ახლოს ერთმანეთთან, განვახორციელოთ ის ოცნებები, რომლებისთვისაც მათ თავი გასწირეს. გადავხედოთ ურთიერთს დადებითი ხასიათით და დავეხმაროთ ერთმანეთს ქართული მიზნების მისაღწევად. სიყვარულით და ერთმანეთის გაგებით განვახორციელოთ ჩვენი მამა-პაპათა მონაპოვარის შენარჩუნება ჩვენი სამშობლოს და ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

იმედია ღირსეულად მოვუვლით ჩვენი მამა-პაპათა დანატოვარ საყვარელ სამშობლოს.

გაუმარჯოს ჩვენს წარსულს და მომავალს.

გაგიმარჯოთ თქვენც, საქართველოს ღირსეულნო შვილნო.

გეხვევით და გკოცნით ყველას ჩემო საყვარელნო და-ძმანო, გწყალობდეთ უფალი.

გივი ზალდასტანი

(წერილს თან ერთვის 9 აპრილს დაღუპულთა სრული სია, — ნ. გ.

გაცხოველებული, გულწრფელი გრძნობით აღსავსე საუბარი გაიმართა ქართველ მსახიობთა და ქართველ ემიგრანტთა შორის. ჩემი ყურადღება მიიპყრო მხატვარ მირიან შველიძესთან მოსაუბრე, ელეგანტურად, ჭეშმარიტად არტისტული სინატიფით ჩაცმულმა ულამაზესმა ვაჟკაცმა. ეს თმაჭაღარა, შემართული, ათლეტური გარეგნობის კაცი, აშკარად გამოირჩეოდა ამ საკრებულოში თავისი დახვეწილი მანერებით, პლასტიკურობით. ვიცანი და ვერც ვიცანი. მივუახლოვდი მოსაუბრეებს და მირიანმა მითხრა — „ეს ლადო გუჯაბიძეა. წარმოგიდგენია, სად შევხვდი? ჩვენ ერთად ვსწავლობდით ნიკო ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელში“.

თავის დროზე ვიცნობდი, ხოლო მერე ბევრი რამ გამეგონა მისი წარმატებების შესახებ ამერიკაში. ლადო გუჯაბიძე 1945 წელსაა დაბადებული, 1976 წლიდან ემიგრაციაშია. ადრე მისი ნამუშევრები გამოფენილი იყო თბილისში, სსრკ-ის სხვადასხვა ქალაქებში, ხოლო შემდეგ — იტალიაში, საფრანგეთში და, ცხადია, ამერიკაში. მისი მრავალი ნამუშევარი ამშვენებს უაღრესად მნიშვნელოვან სახელმწიფო თუ კერძო კოლექციებს. მონაწილეობდა აშშ-ში, ევროპისა და აზიის ქვეყნებში გამართულ კონკურსებში. მრავალი პრიზი, მათ შორის დიდი ოქროს მედალი, მიენიჭა მცირე ფორმის მის სკულპტურულ შედევრებს. მის ნამუშევრებს ფრიად მნიშვნელოვანი წარმატება ხვდა წილად. ამას ცხადყოფს შეკვეთათა სიმრავლე და თვალნათელი აღიარება.

„ლადოს ნამუშევრები ცხადყოფენ მისი სტილის არაჩვეულებრივ მრავალმხრივობას, ეს ნაწარმოებები მიეკუთვნებიან როგორც რეალიზმს, ასევე სიურრეალიზმს, აბსტრაქციულს და თავისუფალი ფორმების ხელოვნებას“ — გვაუწყებს მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი ბუკლეტის ბოლოსიტყვაობა. ამ ბუკლეტის უკანასკნელ გვერდზე დაბეჭდილია ლადოს პორტრეტი და სიტყვები: — „ყველაფერი, რაც შექმნილია რუდუნებით და სიყვარულით — ჭეშმარიტი ხელოვნებაა. ლადო“.

ლადოს სახელი შორს გასცდა ამერიკას და მას ახლა იცნობენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, საიდანაც ბევრ შეკვეთასა და მიპატიჟებას ღებულობს. 1987 წლის დეკემბერში გალერეა „ინტერნეიშნლ“-ის დარბაზებში მისი მრავალი სკულპტურული ნამუშევარი იყო გამოფენილი თანამედროვეობის გამოჩენილი მოქანდაკეების გვერდით.

ახლა მკითხველს ვთავაზობ ჩვენი საუბრის რამდენიმე ფრაგმენტს.

— ბ-ნო ლადო, როგორ აეწყო თქვენი ცხოვრება ამერიკაში?

— ახლა, როცა თოთხმეტი წლის წინანდელ ამბებს ვიხსენებ, თითქოს ყველაფერი ნისლში ქანაობს. ამერიკაში ადგილის პოვნა ძნელიც არის და ადვილიც... რა საკვირველია, ბედიც უნდა გწყალობდეს კაცს. აქ რომ ჩამოვედი, ცხადია, არავის ვიცნობდი. მოვეწყე ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლის — რივერსაიდ-დრაივზე — დამლაგებლად. საშინელი, დამამცირებელი სამუშაო იყო: ორი დიდი სართული უნდა დამელაგებინა. გავატარებდი უზარმაზარ კორიდორში საწმენდ მანქანას, ყველაფერს გავწმენდდი, გავაკრიალებდი და ამ დროს თავზე დამადგებოდა სახლის მეპატრონე: „შენ ძალიან ცუდად მუშაობ, შეხედე, აგერ, სიგარეტის ნამწვავი დაგრჩენიაო“, — დამიყვირებდა. დღეში ორჯერ ვალაგებდი სართულებს და დღეში ორჯერ ვტიროდი სიმწრისაგან. მივატოვე სამუშაო და ავეჯის მოპირკეთებისა და დიზაინის ფირმაში მოვეწყე. შემდეგ გადავედი ერთ კომპანიაში („ალბა“), რომელიც ქვეყნის სხვადასხვა მუზეუმის დაკვეთით სკულპტურულ ფიგურებს ასხამდა. სამი წლის მანძილზე წინ წავიწიე — ჩვეულებრივი თანამშრომლიდან მენეჯერობას მივაღწიე.

— როგორც ვიცი, თქვენ არა მარტო ცნობილი ფერმწერი და მოქანდაკე ხართ, არამედ ასევე ცნობილი ბიზნესმენი.

— დიახ, მე და ჩემი მეუღლე შაქი — ისიც მხატვარია, თბილისის სამხატვრო აკადემიადამთავრებული და ყოველ საქმეში მხარში მიდგას — კომპანია „არტ დე ლუქსის“ მფლობელები ვართ. მაგრამ სანამ დამოუკიდებელ ბიზნესს გავიჩენდით, დიდი შრომა და წვალება დაგვჭირდა. ჯერ კიდევ სკულპტურების ჩამოსხმის კომპანიაში მუშაობისას გამიჩნდა იდეა, ვოცნებობდი დამეარსებინა ქანდაკების საკუთარი პატარა სახელოსნო. ამ დროს უკვე მეგობრებიც შევიძინე. სიცილად არ ეყოთ ჩვენი განზრახვა. მართლებიც იყვნენ; საამისოდ მხოლოდ უდიდესი სურვილი გვქონდა, მაგრამ არ გვქონდა მთავარი — ფული. მეგობრებმა მაინც მასესხეს ხუთი ათასი დოლარი. აი, ამ კაპიტალით დავიწყეთ. ერთი, პაწაწკინტელა შენობა ვიქირავეთ. დღე და ღამეს ვასწორებდით. ჩემზე ამბობენ, რომ არაჩვეულებრივად შრომისმოყვარე ვარ. ჯერ კიდევ „ალბაში“ მუშაობისას კონვეიერულად ჩამოვასხი ჩემი თორმეტი სკულპტურა. ისინი [illegible] შეიძინა სხვადასხვა მუზეუმმა. ასე რომ, ასე თუ ისე, მიცნობდნენ.

— სხვისი ნამუშევრების, ანდა კლასიკური ფიგურების ჩამოსხმა კარგი საქმეა, მაგრამ ეს მაინც ხელოსნობაა. მახსოვს, შოთა რუსთაველის თქვენს მიერ შესრულებულმა პორტრეტმა კონკურსზე ერთ-ერთი პრიზიც კი მიიღო. შემდეგ პერსონალური გამოფენაც გამართეთ, ჩვენს პრესაში მაშინ გამოჩნდა ცნობა, რომ თქვენი სკულპტურები ექსპონირებული იყო იტალიაში, „გალლოს“ მუზეუმში. ნუთუ ამერიკაში მხოლოდ „ალბაში“ ხელოსნობით გაიკეთეთ კარიერა?

— ერთი წუთითაც არ მიმიტოვებია საკუთარი შემოქმედება, ბევრს ვძერწავდი, ვხატავდი — 1983 წელს სიურრეალისტური სურათების მთელი სერია შევქმენი ზეთის საღებავებით. მაქვს გრაფიკული სერიებიც. წარმატების მისაღწევად სხვადასხვა გზა არსებობს. ზოგი თავისი შემოქმედებით უმალვე იპყრობს ყურადღებას, ზოგიერთი მხატვარი — განსაკუთრებით ემიგრანტი — სხვა გზას ეძებს...

— ბ-ნო ლადო, გულწრფელად რომ გითხრათ, ყოველთვის მიკვირდა და ახლაც მიკვირს თუ როგორ ახერხებენ ემიგრანტები გზის გაკაფვას უცხო ქვეყნებში, განსაკუთრებით ისეთ მეგაპოლისში, როგორიც ნიუ-იორკია. მაოცებს ჩამოსულ ხელოვანთა ბედის ტრიალი. წელან ბ-ნმა ნიკო თოფურიამ (ქართველი ემიგრანტია, — ნ. გ.) მითხრა — ემიგრანტებს სიცოცხლის და გამარჯვების სხვანაირი ჟინი, ენთუზიაზმი აქვთო. მჯერა, მაგრამ ათიათასობით მხატვართა შორის როგორ უნდა დაიმკვიდრო ადგილი, ჩემთვის ამის გაგება მაინც მიუწვდომელია. მთელი დღე გავატარე სოჰოზე. ნიუ-იორკის მარტო ამ ერთ რაიონში იმდენი გალერეაა, იმდენი შესანიშნავი ნამუშევარია გასაყიდად გამოფენილი, რომ შეუძლებელია არ დაიკარგო ამ ოკეანეში. მხოლოდ სოჰოს გალერეების ჩამოთვლას ერთი დიდტანიანი წიგნი ეძღვნება.

— მართლაც, მცირე ხნით ჩამოსული კაცისთვის ბევრი რამ აქ ძნელად გასაგებია. მე, როგორც ხედავთ, შემოვლითი გზით შევედი მხატვართა სამყაროში. ვთქვი და ვიმეორებ, ბევრი რამ შემთხვევაზეცაა დამოკიდებული. ერთ ბოლო ამბავს გიამბობთ. ერთი ჩემი მეგობარი ქალი იაპონიაში მიემგზავრებოდა. თან წაიღო ჩემი ნამუშევრების ფერადი სლაიდები და „დე ნიკონს“ მუზეუმს უჩვენა. ნამუშევრები მოეწონათ და მთხოვეს ერთ-ერთი ნამუშევარი როდენის ხსოვნისადმი მიძღვნილ კონკურსზე გამეგზავნა. დიდხანს ველოდე პასუხს. როგორც იქნა შემატყობინეს, რომ ჩემმა სკულპტურამ კონკურსში გაიმარჯვა და მისი მაკეტი გამოფენილი იქნება ტოკიოში. ამ ხუთფუტიანი ნამუშევრის საბოლოო ვარიანტს შემდეგ ბრინჯაოში ჩამოასხამენ და მუდმივად იდგება ტოკიოს ერთ-ერთ ქუჩაში. ოცივნისს მიწვეული ვარ ამ ქანდაკების ოფიციალური გახსნის ცერემონიალზე. სხვათაშორის, ამ კონკურსზე მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან გაიგზავნა ათი ათასი ნამუშევარი. აქედან შემდეგ შეარჩიეს მხოლოდ თხუთმეტი, მათ შორის ჩემი „დაუოკებელნი“.

— მაინც როდის მოხდა თქვენი საბოლოო აღიარება?

— 1981 წელს. ჩემი ნამუშევრები ნიუ-იორკის მრავალ გალერეაში გამოიფინა ერთდროულად. სწორედ მაშინ მომანიჭეს ოქროს მედალი „კნიკერ ბოკერის“ გამოფენაზე. 1983-85 წლებში ჩემი სკულპტურები გამოიფინა ეროვნული ქანდაკების საზოგადოების ვერნისაჟზე.

ახლა უამრავ შეკვეთას ვღებულობ, როგორც საკუთარ ნამუშევრებზე, აგრეთვე ცნობილ ნაწარმოებთა ჩამოსხმაზე. უკვე ახალ სახელოსნოშიც ველარ ვეტევით, თუმცა, რომ ნახოთ ქარხანა გეგონებათ და არა სახელოსნო. ამჟამად ძალიან ბევრი შეკვეთა მაქვს მეტროპოლიტენის, ვატიკანის, ისრაელისა და თურქეთის მუზეუმებიდან. თელ-ავივის მუზეუმისათვის ვამზადებთ „რომაელი ჭაბუკის“ პორტრეტს.

არ გეგონოთ, რომ ცნობილი სკულპტურების ასლების ჩამოსხმა მთლად ხელოსნობა იყოს. გარდა იმისა, რომ ეს ძალზე შრომატევადი სამუშაოა, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას და სინატიფეს, აუცილებელია აგრეთვე გარკვეული მხატვრული ალღო და გემოვნება, რადგან ყველა სამუშაო ხელით სრულდება. ხანდახან მუზეუმები გვიკვეთავენ ასობით, ზოგჯერ ათასობით ეგზემპლარს და ყველა ასლი უნდა იყოს ისეთი სრულყოფილი, რომ ორიგინალისაგან არ განსხვავდებოდეს.

— აქაურმა ქართველებმა მითხრეს, რომ თქვენს საკმაოდ მოზრდილ სკულპტურას — „დედა ტერეზა“ — დიდი წარმატება ხვდომია წილად.

— არა, ეს სხვა, განსაკუთრებული შემთხვევაა. ეს სკულპტურა შარშან დადგეს კოლეჯში, სადაც მძიმე ავადმყოფი, სასიკვდილოდ განწირული ბავშვები ცხოვრობენ. ამ კოლეჯთან ჩვენ ძალიან მეგობრული ურთიერთობა გვაქვს და პირადად მე გულთან ახლოს მიმაქვს აღმზრდელთა ყოველი თხოვნა...

— ვიცი, რომ მრავალმა მუზეუმმა შეიძინა თქვენი სკულპტურული ნამუშევრები. გარეთ, პლენერზე თუ დგას რომელიმე მათგანი?

— როგორ არა, ჩიკაგოს მახლობლად, პატარა ქალაქ ითაკაში, ჰამილტონის ტბის თავზე გაშენებულ პარკში 1985 წელს დაიდგა ჩემი „მუზის“ ბრინჯაოს ფიგურა. იგი შემიკვეთა კომპანია „თრუმელ ქროუმ“.

ხელთ მაქვს ლადო გუჯაბიძის ე. წ. მცირე ფორმის სკულპტურების განსაცვიფრებელ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული, ფერადი სლაიდების მოზრდილი ფორმატის ბუკლეტი. ამ რეპროდუქციებიდანაც კარგად ჩანს ლადოს პლასტიკური ხედვის ორიგინალობა, მისი ვირტუოზობამდე მისული ოსტატობა. თვით ამ პატარა, მაგრამ უაღრესად დინამიურ ფიგურებში იგრძნობა ოსტატის ენერგია, ცხოველმოსილება და ოპტიმიზმი. ჭეშმარიტად, ეს ნამუშევრები უკეთ ამხელენ მათი ავტორის ვინაობას, ვიდრე მასზე დაწერილი ოპუსები.

ვემშვიდობები იმ იმედით, რომ მეორე დღესვე შევხვდები უკრაინელ მართლმადიდებელთა ეკლესიაში, სადაც ქართული სათვისტომო პარაკლისს გადაუხდის 9 აპრილის მსხვერპლთ და სადაც ანზორ ერქომაიშვილის გუნდი იგალობებს.



„მუზა“.



„დაუოკებელნი“.



„ავაზა“.

ყველაფერს საზღვარი უნდა ჰქონდეს

ანუ ღია წერილი მაია თომაძეს

საოცარი ძალით მეორდება ისტორია, ათწლეულების მანძილზე ჯერ ხელების გადატყავებამდე ტაშის კვრით ვითხოვდით ეროვნული კულტურის საუკეთესო წარმომადგენლების ეშაფოტზე გაგზავნას, შემდეგ კი მონანიების ისტერიას ვეძლეოდით. დუმილით შევცქეროდით როგორ ესროდა ჩასაქოლად გამეტებულს პირველ ქვას ყველაზე დიდი ცოდვილი და მერელა ვიხსენებდით „რომელნი ხართ უცოდველს“ და ახლა ვინ იცის, უკვე მერამდენედ კვლავ იმ მიჯნის პირას ვდგავართ, როდესაც უდიდეს დანაშაულს უდრის დუმილი. იქნებ ჩვენმა დაგვიანებით ნათქვამმა სიმართლემ, ჩვენი შვილები მაინც გადაარჩინოს მომავალში გარდუვალ „მონანიების“ პროცესს.

ჩვენ ვდუმდით, რადგან გვწამდა, რომ ჭეშმარიტება თავად გაიკვლევდა გზას. ვდუმდით, რადგან ვიცოდით, რომ, თუ გზააცდენილი ერთ ლოყაში გაგვაწნავდა სილას, მეორეც უნდა მიგვეშვირა, მაცხოვარი ხომ ამით თავის „შეცდომილი ძის“ გონზედ მოყვანას იმედოვნებდა. მეორე ლოყაც მოგიშვირეთ, თავიც მოგიხარეთ, მაგრამ ვფიქრობთ, თქვენი ვნებები და ამბიციები უფრო გავამძაფრეთ. ვერა და ვერ გაჯერებინეთ გული თქვენი აღმზრდელი იმ თეატრის ლანძღვა-გინებითა და მიწასთან გასწორებით, რომელთანაც, როგორც ჩანს, მხოლოდ „ამქვეყნიურ სიკეთეთა“ გამოძალვა გაკავშირებდათ. ჩვენმა დუმილმა იქნებ სიმართლის დამალვის ილუზია შეგიქმნათ... სიმართლე კი არ უნდა დაიმალოს.

იმასაც ვიტყვით, რომ თქვენს მიმართ მხოლოდ ერთი სურვილი გვამოძრავებდა, ყოველთვის ქართულ სცენაზე გეღვაწათ, როგორც მომღერლებს. სწორედ იქ გეცადათ (რა თქმა უნდა, თქვენივე შესაძლებლობის ფარგლებში) ღირსეული ადგილის დამკვიდრება, რადგან თქვენი კომპეტენცია სხვა ასპარეზზე, დელიკატურად რომ ვთქვათ, საეჭვოა.

ამ წერილს არ დავწერდით, თქვენი მცდელობა რაიმე შიდა თეატრალური პრობლემების მოგვარებისაკენ რომ ყოფილიყო მიმართული, მაგრამ ახლა, როცა ცრუ ინფორმაციებით შეცდომაში შეიყვანეთ ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი ლიდერი და ფართო საზოგადოება, ისარგებლეთ სხვათა საქმეში ჩაუხედაობითა და შედეგიც დავინახეთ, თითოეულმა საშინლად შეურაცხყოფილად ვიგრძენით თავი.

თქვენი სახით ჩვენს თვალწინ მკაფიოდ წარმოისახა, თუ როგორ ხდება ე. წ. „მედროვეს“ ფორმირება, „მედროვისა“, რომელიც წინასწარ ყნოსავს მოვლენათა შესაძლო განვითარებას და ყოველთვის „ამა ქვეყნის ძლიერთ“ უკმევს საკმეველს. „მედროვენი“ ოსტატურად ხატავთ თეატრს არსებული თუ არარსებული ჭორებისა და ინტრიგების სარბიელად. ჰქმნით რაღაც „დოსიეებს“, აყალიბებთ დანომრილ მუხლებს, ადგენთ სხვადასხვა პეტიციებს, და ამ გზაზე შემდგართ ერთი რამ გავიწყდებათ, რომ არსებობს ისეთი ისტორიაც, სადაც უტყუარი ფაქტები მეფობენ. ისტორია, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერს ახდის ფარდას...

ყველაფერი კი ამ რამდენიმე წლის წინათ დაიწყო, როდესაც ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში შეიცვალა თეატრის ხელმძღვანელობა. თეატრი დატოვა მთავარმა დირიჟორმა გივი აზმაიფარაშვილმაც. სწორედ იმ დღეებში გახდა ნათელი, თუ მომავალში რაოდენ არასაიმედო იყო თქვენს გვერდით დგომა. ვინ როგორ გააცილა ბატონი გივი აზმაიფარაშვილი თეატრიდან? ვისაც მისთვის არასოდეს გვიკმევია გუნდრუკი, სწორედ ისინი ამოვუდექით მხარში და მის გამხნევებას ვლამობდით. ახლა გაგახსენდათ „აღმზრდელი“ გივი აზმაიფარაშვილი? სად იყავით მაშინ, დაკავებული ბრძანდებოდით, ქვა და ტალახი უკვე ნასროლი გქონდათ და ახლა ახალი ხელმძღვანელობის შეგებებაში უნდა დაგეხარჯათ „შემოქმედებითი“ ენერგია. ჯანსუღ კახიძეს ჩვენ თავდაპირველად დუმილითა და თავდაჭერით შევხვდით, თქვენ კი როგორ იქცეოდით? შეგახსენოთ? ვფიქრობთ საჭირო არაა, ისედაც კარგად გახსოვთ... მაშინ ასე გჭირდებოდათ. დღეს კი გივი აზმაიფარაშვილის თეატრში დაბრუნების მოთხოვნით, რაც ჯანსუღ კახიძის წინააღმდეგაა მიმართული, უხერხულ მდგომარეობაში აყენებთ თავად ბატონ გივის.

თეატრის ახალი ხელმძღვანელობა შეუდგა საქმეს და მალე მთელ კოლექტივს განსახილველად წარუდგინა სამუშაო გეგმა — შემოქმედებითი დონისა და პრესტიჟის ასამაღლებელი რეპერტუარი, კლასიკური რეპერტუარი, ქართული რეპერტუარი, მოსკოვის დიდ თეატრში გასტროლებისათვის რეპერტუარის შერჩევა და სხვა. მთელი დასი მოწონებით შეხვდა ამ პროგრამას, მაგრამ პირველ რიგებში ვინ იდგა? ყველაზე ხმამაღლა ვინ გაჰყვიროდა ახალ ხელმძღვანელთა სიბრძნეზე? — თქვენ, რასაკვირველია, თქვენ. ხელმძღვანელობამაც სწორედ მაშინ გამოგარჩიათ და შეგიქმნათ ყველასაგან განსხვავებული პრივილეგირებული მდგომარეობა. რას ხმარდებოდა იმ წლებში თქვენი „ეროვნული“ ენერგია? ძირითადად რაიკომებში სირბილს სხვადასხვა პირადი საქმეების მოსაგვარებლად, ბრძოლას პირველობისათვის ხშირად მიუღებელი წესებით. გავიდა გარკვეული ხანი და თეატრმა შემოიღო ე. წ. „ექსპერიმენტის“ წესი, რომელიც მომღერალთა შრომის ანაზღაურების ახალ სისტემას ითვალისწინებდა, რასაც თავდაპირველად თქვენც დიდი მოწონებით შეხვდით და განაცხადეთ: „მე ახლახანს ვნახე დიდ თეატრში ოპერა „ვერტერი“, რომელიც უკეთესი უნდა ყოფილიყო, როგორც დიდი თეატრის სპექტაკლი, ასევე უსახოა სპექტაკლები კიროვის სახელობის თეატრში. ექსპერიმენტის შემდეგ ნათელი სახე ექნება ჩვენს თეატრს. დარწმუნებული ვარ, კარგი სპექტაკლები შეჰგვმატებს მაყურებელს“ (მ. თომაძე. 1986 წ. 24 დეკემბერი, ოქმი № 8); ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ, პარტბიუროს ერთ-ერთ სხდომაზე, რომელზეც განიხილებოდა „თეატრის პირველი ნაბიჯები ექსპერიმენტის პირობებში“, როგორც პარტბიუროს წევრმა, აღნიშნეთ, „ექსპერიმენტი სპექტაკლების მხატვრული დონის ამაღლების საუკეთესო საშუალებაა, ეკონომიურადაც წამყვანი სოლისტებისათვისაც მეტად სასარგებლოო. (მ. თომაძე. 1987 წ. 10 ივნისი. ოქმი № 13). მერე რატომღა გახდა „ექსპერიმენტი“ ასეთი საშინელი? იმიტომ, რომ გადამწყვეტი ფაქტორი გახდა შრომა, საჭირო შეიქმნა „სიმღერის უფლების“ მოპოვება. ყოველივე ამან საფრთხე შეუქმნა თქვენს პრივილეგიებს, მარტო პრემიერებისა და ოფიციალურ კონცერტებში სიმღერა აღარ იყო საკმარისი. მალე „ექსპერიმენტმა“ თავისი პირველი შედეგი გამოიღო, წარმოაჩინა თქვენზე არაფრით ნაკლები მომღერლები, რომელთაც უკვე თქვენნაირი ანაზღაურება ჰქონდათ. აქ კი მეტად განაწყენდით და „მოკრძალებული“ პრეტენზიები გაგიჩნდათ ჯ. კახიძის მიმართ. მხოლოდ თქვენ უნდა შეგერჩიათ რეპერტუარი, მხოლოდ თქვენ უნდა გემღერათ ესა თუ ის პარტია, ხელფასიც აუცილებლად სხვებზე მეტი უნდა მიგეღოთ, მხოლოდ თქვენ უნდა გქონოდათ სპექტაკლების და რეპეტიციების თარიღის არჩევის უფლება, პარტნიორებიც კი მხოლოდ თქვენ უნდა აგერჩიათ (ყველაფერ ამას უხმაუროდ ვითმენდით). ეტყობა სწორედ მაშინ შეუდექით „დოსიეების“ შედგენას და, როგორც კი საამისო სიტუაცია შეიქმნა, ბრძოლაც დაიწყეთ. ყოველივე ეს რამდენიმე წლით ადრე რომ მომხდარიყო, მაშინ, რასაკვირველია, ცკ-სა და რაიკომებში გაიქცეოდით, ატეხდით განგაშს — თეატრმა მაღალპარტიულ ინტერესებს უღალატა და იდეოლოგიურ გზას გადაუხვიაო, ამჯერად კი ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს მიეკედლეთ. მიზანიც უკვე გამოკვეთილი იყო, როგორმე მოგეშორებინათ ჯ. კახიძე და თეატრში ისეთი ვინმე მოგეყვანათ, ვინც თქვენს ისედაც პრივილეგირებულ მდგომარეობას კიდევ უფრო განამტკიცებდა. ამისათვის კი საჭირო იყო მოქნილი მოქმედება, თავდაპირველად — ბრალდების შეთხზვა, ხოლო შემდეგ — მათი დასაბუთება „ეროვნული“ პოზიციებიდან.

გაიხსენეთ რა პასუხი გაგცათ მთელმა დასმა პირველსავე შეკრებაზე — დღეს, როცა ერს ასე უჭირს, ნუ გავითიშებით, ახლა გვმართებს ერთმანეთის მხარში ამოდგომა და არა პირადი ამბიციებით მოქმედებაო. გახსოვთ? რომ გითხარით, თუ მართლა გაწუხებთ თეატრის ბედი, თუ მართლა მისი სიკეთე გინდათ, დარჩით, დავსხდეთ, ვიმსჯელოთ, ვიმოქმედოთ და ჩვენს სატკივარს ჩვენვე მოვუაროთო. ასეთი პასუხი, რა თქმა უნდა, ხელს არ გაძლევდათ, წინ ხომ თავის გამოჩენის შესანიშნავი პერსპექტივა ისახებოდა და უკვე არა მარტო თეატრის ხელმძღვანელობა, არამედ მთელი კოლექტივი გახდა „ანტიეროვნული“. საინტერესოა, სად დაეუფლეთ „ეროვნულობის“ ცნების გაგებას, დიდ თეატრში ხომ არა, საიდანაც დეპეშას დეპეშაზე აგზავნიდით, რომ სტაჟირების ვადა გაგეგრძელებინათ და როგორმე „რუსი პროკოფიევი“ გემღერათ.

როცა ქვემო ქართლში მძიმე სიტუაციასთან დაკავშირებით ჩვენს „ანტიეროვნულ“ თეატრში სამორიგეო რაზმები იქმნებოდა და ფული გროვდებოდა, რომ ქვემო ქართლის რაიონებში გამომწყვდეულთათვის პროდუქტი მიგვეწოდებინა, თქვენ სწორედ მაშინ მოგვიწყეთ თავყრილობა მსახიობის სახლში თეატრის ხელმძღვანელობის გასანადგურებლად. ჯ. კახიძის „მტრებით“ შემოკრებილნი, უფრო მეტი საბრძოლო გამოცდილებითა და ტრანსპარანტებით შეიარაღებულნი მოხვედით. თქვენთან ერთად მოსულნი, თქვენს მიერ წინასწარ არასწორად ინფორმირებული ხალხი საოცრად ჰგავდა ერთმანეთს. მაგრამ მათთან პრეტენზია არ გვქონია, გავუგეთ, ისინი ხომ „დევნილების“ დასაცავად მოვიდნენ და, აბა, რა იცოდნენ, რომ ეს „დევნილობა“ ასე კარგად იყო გათამაშებული. უმრავლესობა გულწრფელად აღიარებდა — მართალია ოპერაში არ ვყოფილვარ, მაგრამ ვიცი... დიახ, მათ იცოდნენ, რომ თეატრი „ანტიეროვნულ“ პოლიტიკას ატარებს და ჯ. კახიძე „ერის მტერია“. როგორ მეორდება ისტორია — „ჟივაგო“ არ წამიკითხავს, მაგრამ პასტერნაკი ხალხის მტერია, სიმბოლიზმი არ ვიცი, მაგრამ ტიციან ტაბიძე უნდა მოკვდეს, მიხეილ ჯავახიშვილი უნდა დაიხვრიტოს, ევგენი მიქელაძე უნდა განადგურდეს, პაოლოს თავი უნდა მოვაკვლევინოთ. სწორედ ამ შეკრებაზე, როცა ერთ-ერთი ჩვენგანი მარნეულში მორიგეობიდან დაბრუნებული ტრიბუნაზე ავიდა და გვიამბობდა იქ არსებულ დაძაბულ სიტუაციაზე, ა. ხომერიკმა, „ეროვნული სატკივარით გულდამძიმებულმა“, სიტყვა გააწყვეტინა და მოუწოდა „საქმეზე ელაპარაკა“.

გახსოვთ? იმავე შეკრებაზე თქვენს მიერ მოწვეული „მოწინააღმდეგე ბანაკიდან“ ერთ-ერთი მათგანის გამოსვლა, მან სწრაფად აუღო ალღო შექმნილ მდგომარეობას და სიტყვით გამოსულმა ჯ. კახიძეს მუქარა და გინება კი არა (რასაც ელოდით) თბილი სიტყვით მიმართა და ორივე მხარეს შერიგებისაკენ, ერთიანობისაკენ მოგვიწოდა, რამაც თქვენზე საშინლად იმოქმედა. (იქნებ ესეც ჯ. კახიძის „ჩაწყობილი“ იყო?).

9 აპრილი, დიახ 9 აპრილი ყოველი ჩვენგანისათვის რაღაც იდუმალების მატარებელი, მოუშუშებელი ტკივილია, ხოლო თქვენს მიერ ხშირად საჭიროებისდა მიხედვით მისი ხსენება და რაც ყველაზე შემზარავია — მისით სპეკულაცია, შეურაცხყოფს ჩვენს გრძნობებს. თქვენ ცრუობთ, როდესაც აცხადებთ, რომ საყოველთაო გლოვის დროს 14 აპრილს თეატრში სპექტაკლი „ბარბალე“ გადიოდა და ამის დასამტკიცებლად აფრიალებდით თეატრიდან მოპარულ სამი თვით ადრე შედგენილ შავ სამუშაო გეგმას, რომელშიც მართლაც იყო ჩასმული სპექტაკლი. როდესაც სიცრუეში გამხილეს, ახლა 18 აპრილს მიადექით, მაშინ კი მართლაც ჩატარდა „დაისი“. საქმეში ჩაუხედავნი ამითაც შეიძლება გაანაწყენოთ, მაგრამ სინამდვილე ამგვარი გახლდათ: როგორც გახსოვთ, კომენდანტის საათის მოსახსნელად აუცილებელი იყო ილუზიის შექმნა, რომ თბილისში ცხოვრება ნორმალურ ტემპში შედიოდა. ამ მიზნით „ამუშავდნენ“ საწარმო-დაწესებულებები, სასწავლებლები, სკოლები, თეატრებმაც გახსნეს თავიანთი კარები, მათთან ერთად ჩვენმა თეატრმაც გახსნა თავისი კარი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. გადაწყდა გამართულიყო „დაისი“ — ყველაზე სიმბოლური და არსებული სიტუაციისათვის შესაფერი ნაწარმოები. მასზე დასწრების უფლება ყოველგვარი ბილეთის გარეშე ყველა მსურველს ჰქონდა. თეატრის კარი მთელი წარმოდგენის მანძილზე ღია იყო და იმ დღეს სულ სხვაგვარად ჟღერდა სცენაზე ნამღერი „თავისუფლება“. რაც შეეხება რეპეტიციებს — 6 აპრილს თეატრებიდან ყველაზე პირველი ოპერის თეატრი გაიფიცა და მისი თანამშრომლები მთავრობის სასახლესთან მივიდნენ, როცა ბატონი მერაბ კოსტავა გულში იკრავდა ოპერის თეატრის გაფიცულ მსახიობებს და მათთან ერთად მღეროდა „თავისუფლებას“ (დაისიდან), მაშინ ერთ-ერთმა ჩვენგანმა უთხრა მას — „ჩვენ გავიფიცეთ, სპექტაკლს არ ჩავატარებთ, მაგრამ რეპეტიციებისა და გაკვეთილების ჩაშლა საგრძნობლად შეარყევს დასის, განსაკუთრებით კი ბალეტის დასის პროფესიონალიზმსო“. ბატონმა მერაბმა — თეატრალურ საქმეებში კარგად ჩახედულმა და სულით ხორცამდე მუსიკოსმა, გვიპასუხა — „რა თქმა უნდა, კლასში უნდა იმუშაოთ, საქართველოს სწორედ თქვენი პროფესიონალიზმი სჭირდებაო“. თქვენც იქ ბრძანდებოდით ქალბატონო მაია, ეს სიტყვებიც მშვენივრად მოისმინეთ, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია სწორედ მერაბ კოსტავას საზოგადოების გაზეთ „სარანგში“ ერთ-ერთ ბრალდებად აპრილის თვეში რეპეტიციების ჩატარება წაგვეყენებინათ, ხოლო, რაც შეეხება ბატონ მერაბის დამოკიდებულებას ოპერის თეატრისა და პირადად ჯ. კახიძის მიმართ — ჩვენ გასულ ზაფხულს რამდენჯერმე შევხვდით მას და როცა საქმის ვითარება წაღმა აუხსენით, მისთვის ჩვეული პირდაპირობით გვითხრა — „მე კი სულ სხვა ინფორმაცია მქონდაო“ (ძნელი გასარკვევი არ არის ვისგან) და დაგვპირდა, რომ უახლოეს ხანში მოვიდოდა ჩვენთან სასაუბროდ, მაგრამ, ვაი, რომ აღარ დასცალდა...

ძალიან გვიჭირს თქვენეული მეთოდების გამოყენება. თქვენი, მართლაც და, „დოსიეებიდან“ სამარცხვინო ფაქტების მოხმობა და საჯაროდ წარმოჩენა. პროფესიული და მოქალაქეობრივი სინდისი არ გვაძლევს ამის ნებას, მაგრამ ზოგიერთი სიცრუე მაინც არ შეიძლება დარჩეს უპასუხოდ. თქვენ ბრალს სდებთ ჯ. კახიძეს, რომ თითქოს მას უამრავი ხალხის თანდასწრებით განუცხადებინოს — „რომ მქონდეს არჩევანი, თბილისის თეატრში მუშაობა გირჩევნია თუ ლონდონში, დაუფიქრებლად — ლონდონს წავიდოდი, ასეთია ჩემი კრედო“. იმ უამრავ ხალხში ჩვენც გახლდით და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ეს ბრალდება სხვა არა არის რა, თუ არა გამიზნული ცდა სიტყვათა თამაშით ცნებათა არევისა. ქართველ დირიჟორს სურდეს ქართული კულტურის სახელი ყველაზე პრესტიჟულ აუდიტორიაში გაიტანოს, ნუთუ ესე დანაშაულია? რომელ ჩვენგანს არ უნდა, ან განა თქვენ არ გინდათ, უფრო ხშირად გქონდეთ საშუალება თქვენი ხელოვნება საზღვარგარეთ აჩვენოთ. მართალია, ტელეეკრანიდან გვარწმუნებთ, რომ უარს ამბობთ მეტად პრესტიჟულ მიწვევებზე საზღვარგარეთ იმის გამო, რომ არ შეგიძლიათ მიატოვოთ მგლოვიარე ერი, მაგრამ როგორ ავხსნათ — პირველივე შესაძლებლობისთანავე თქვენი წასვლა თურქეთში 9 აპრილიდან სულ რამდენიმე ხნის შემდეგ და იქ სიმღერა? რატომ მოხდა, რომ 9 აპრილის შემდეგ საზღვარგარეთ წასვლა მხოლოდ ზოგიერთებს ჩაეთვალათ ერის ღალატად? საოცარია, დღეს, როცა კომუნისტური პარტიის წევრობა უმრავლესობას „დანაშაულად და ცოდვად“ ეთვლება, თქვენ თურმე ეროვნულ მოღვაწეობაში გიწყობთ ხელს...

იმის მტკიცება, რომ 1984 წელს მოსკოვის დიდ თეატრში ჩვენი გასტროლები „ჩავარდა“, რომ მოგონილი იყო საკავშირო და საერთაშორისო პრესის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირში მხოლოდ ორი — თბილისისა და სვერდლოვსკის თეატრი ადგას ახალ გზას (რაც სხვათაშორის) აღიარებულ იქნა 1986 წელსაც მინსკის საოპერო მუსიკის ფესტივალზეც), რომ თურმე ჩვენ დავიქირავეთ ს. რიხტერი, ე. სვეტლანოვი, რომ როგორმე ჩვენზე კარგი დაეწერათ, გაუგონარი მკრეხელობა და სიცრუეა. (რამდენი ერთის დაქირავება შეიძლება). განა თქვენს თვალწინ არ იყო, დასავლეთ გერმანელმა იმპრესარიოებმა საბჭოთა კავშირის მრავალი თეატრი რომ მოიარეს და გასტროლებზე მისაწვევად

ჩვენზე შეაჩერეს არჩევანი, ბრალდება აქაც ოსტატურად გამოჩიჩქნეთ — რუსული ოპერები მიაქვთო. დიახ, ჩვენი თეატრი ს. პროკოფიევის ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს და ფესტივალის ინიციატორთა შეკვეთით იმიტომ დავიწყეთ პროკოფიევის ორ ოპერაზე მუშაობა. ჯ. კახიძემ იმთავითვე წაუყენა ორგანიზატორებს ერთი პირობა, რომ ჩვენი მუსიკალური საგანძურის საუკეთესო ნიმუში „აბესალომ და ეთერიც“ წარგვედგინა. (განა ჯ. კახიძე არ იყო, ვინც „აბესალომ და ეთერის“ საზღვარგარეთული პრემიერა განახორციელა პოლონეთში, ქ. ლოძის დიდ საოპერო თეატრში 1972 წელს და ეს მაშინ, როცა სიტყვა „ეროვნული“ დაკარგული გვქონდა სახაუბრო ლექსიკონიდან? იქნებ პოლონეთში „აბესალომ და ეთერის“ დადგმაც თქვენი ძალდატანებით მოხდა?). იმპრესარიოები დაგვთანხმდნენ და წარმოდგენის სანახავად თბილისში გვესტუმრნენ. საბედნიეროდ, ჩვენმა „აბესალომმა“ თავისი სიტყვა აქაც თქვა და შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ „აბესალომ და ეთერით“ დაიხურება თეატრის გასტროლები ქ. დუისბურგში. რაც შეეხება გ. ყანჩელის ოპერას „და არს მუსიკა“ — თქვენი თქმით — ამ „მაფიის“ მიერ დადგმულ სპექტაკლს, მართლაც რომ, იმპრესარიოთა აღფრთოვანება მოჰყვა და მათივე სურვილით იქნა შეტანილი საგასტროლო პროგრამაში, ვინაიდან დასავლეთ გერმანიაში ტარდება ს. პროკოფიევისა და თანამედროვე მუსიკის ფესტივალი, დიახ, თანამედროვე. დასავლეთ გერმანიაში ყოფნის დროს დაგეგმილია „გალა-კონცერტი“, სადაც ქართველი მომღერლები ერთ განყოფილებაში მთლიანად ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებს შეასრულებენ და ეს იქნება ჩვენს მიერ ქართული მუსიკის პროპაგანდა. ამის შემდეგ თავად მკითხველმა იმსჯელოს, თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს თქვენს მიერ ტელეეკრანიდან ამაყად განცხადებული — თითქოს „აბესალომის“ გატანა საზღვარგარეთ მხოლოდ თქვენი წყალობით ხდება და რომ მიაღწიეთ „მინდიას“ დადგმას. ამაზე იტყვიან, რატომ ღმერთი არ გაიცინებსო...

ამბობთ, რომ თეატრს არ გააჩნია ქართული რეპერტუარი და კლასიკური. მოგახსენებთ: ბოლო შვიდ სეზონში ჯ. კახიძის უშუალო ხელმძღვანელობით, რომელსაც, თქვენი თქმით, „ბედის ანაბარად“ ჰყავს თეატრი მიტოვებული, დაიდგა 27 სპექტაკლი, აქედან 7 ქართული, დანარჩენი კი უმთავრესად სწორედ კლასიკური მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუში. თქვენ ყველაზე უკეთ იცით და იცოდით მანამდეც, სანამ თეატრიდან წახვიდოდით, რომ თეატრი უკვე მუშაობს ქართული რეპერტუარის გამდიდრებაზე. დასადგმელად მზადდება ა. მაჭავარიანის — „ჰამლეტი“, ო. თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება“, ა. ბუკიას „დაუპატიჟებელი სტუმრების“ რედაქციას ვითხოვთ, მოსასმენად მზადდება ფ. ღლონტის „ივერიელები“ და მოწონების შემთხვევაში დაიდგმება კიდეც, უკვე ჩაშვებულია დასადგმელად ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“ (დამდგმელი ჯგუფი: გ. ლორთქიფანიძე, ჯ. კახიძე, თ. მურვანიძე) იცით ეს ყველაფერი, კარგად იცით, მაგრამ ამის შესახებ სდუმხართ, რადგან ამის აღიარება თქვენს „ეროვნულ ინტერესებში“ არ შედის.

ახლა, როცა „ბარბალე“ მოხსნილია რეპერტუარიდან, ჯ. კახიძის წინააღმდეგ მიმართული ბრალდება ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეს“ მითვისების შესახებ, ამ ეტაპზე სხვა არაფერია, თუ არა საბაბი მისი „დიდი ცოდვების“ კიდევ უფრო დასამძიმებლად, თორემ „ბარბალე“ მოვიდა და წავიდა. აგერ შემოდგომაზე, როგორც ზემოთაც ვთქვით, ვ. დოლიძის იუბილესთან დაკავშირებით სცენას დაუბრუნდება ნამდვილი „ქეთო და კოტე“ და თვით ეს ფაქტი გამორიცხავს ჯ. კახიძის მიერ „ქეთო და კოტეს“ მითვისებას. რაც შეეხება „ბარბალესთან“ დაკავშირებულ ეთიკურ და ზნეობრივ მხარეს, ამაზე უკვე გამოითქვა საზოგადოებრივი აზრი და სათანადო დასკვნებიც გაკეთდა. „ბარბალემ“ არქივში გადაინაცვლა და ახლა ისტორიას დავუტოვოთ „დასამუშავებლად“. ან რა სინდისით აცხადებთ, რომ საქართველოში მხოლოდ ორი „აბესალომი“ არსებობს. ამის შემდეგ ისტორიას როგორ უსწორებთ თვალს, ან იმ თანამედროვე ტენორებს რას ეუბნებით, რომელთაგან ერთი დღეს მსოფლიო მნიშვნელობის მომღერალია. ნურც იმას იტყვით, ქალბატონო მაია, რომ დღეს ვინმე თქვენს შემცვლელად იზრდება თეატრში. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ხელოვნებაში ყველა თავისი გზით მოდის და თავის გამორჩეულ, ინდივიდუალურ და განუმეორებელ ადგილს იკავებს თუნდაც მცირეს, მაგრამ არავინ არავის შემცვლელი არ არის...

ჩვენი საშინელი აღშფოთება გამოიწვია თქვენმა განცხადებამ „ამჟამად ოპერის თეატრის ხელმძღვანელობა კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ოპერის თეატრიდან ჩვენ თვითონ წავედით და ხელმძღვანელობას არავითარი წვლილი ამაში არ მიუძღვის. ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს, ჩემო ეკსხელმძღვანელებო. აბა, როგორ დაგიჯეროთ, როდესაც ა. ხომერიკის განცხადებას წასვლაზე სამხატვრო ხელმძღვანელმა ჯ. კახიძემ ორ საათში მოაწერა ხელი, ჩემსას ერთ კვირაში, ისე რომ არც დაინტერესებულან, რისთვის და რატომ მივდიოდით. „თუ არ მოგწონთ მიბრძანდითო“.

ვითომ ეგრე იყო? გაიხსენეთ, რამდენი კრება ჩატარდა, რამდენჯერ განვიხილეთ თქვენი წასვლის საკითხი, რამდენჯერ ვიკისრეთ შუამავლობა თქვენსა და ხელმძღვანელობას შორის, რომელიც ყველა თქვენს წინადადებაზე თანახმა იყო, გარდა ერთისა. გაიხსენეთ, როგორ გარწმუნებდით, რომ სწორედ ახლა იყო საჭირო ჩვენი ერთად ყოფნა. ბოლოს ხვეწნა-მუდარაზეც კი გადავედით. ჩვენ, ჩვენს დირექციასთან ერთად, ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ თეატრიდან არ წასულიყავით. ყველაფერი ვიღონეთ, რომ ეს სამარცხვინო განხეთქილება არ მომხდარიყო. როცა ყველა ჩვენი თხოვნა უარყავით, მაშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ არც ჩვენს თეატრს და არც ჩვენს კოლექტივს თქვენთვის არავითარი ღირებულება არ გააჩნდა, ხოლო სიტყვები „თუ არ მოგწონთ მიბრძანდითო“ — თქვენს სინდისზე იყოს. ანდა როდის იყო ადამიანს, რომელსაც ორ საათში და ერთ კვირაში უწერენ ხელს წასვლის განცხადებაზე და ათავისუფლებენ სამსახურიდან, კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში უხდიდნენ ხელფასს. ეს ყველაფერი ხომ საკანცელარიო დოკუმენტებში არის დაფიქსირებული და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ კიდეც ამ დოკუმენტების გაცნობა.

ა. ხომერიკმა წასვლაზე განცხადება დაწერა 1989 წლის 16 მარტს, სრული ხელფასი მიიღო მარტის მეორე ნახევარში, აპრილში, მაისში, ხოლო პირველი ივნისიდან კულტურის სამინისტროს ბრძანებით (ბრძანება №1/150) გადაყვანილ იქნა ვ. აბაშიძის სახ. მუსიკალურ თეატრში.

მ. თომაძემ წასვლაზე განცხადება დაწერა 1989 წლის 29 მაისს. მანამდე უარი თქვა აპრილის მეორე ნახევრის ხელფასზე გლოვის მოტივით, ხოლო მაისის ხელფასზე „ხომერიკის საკითხთან“ დაკავშირებით. (აღნიშნული ხელფასები დეპონირებულია) სრული ხელფასი მიიღო ივნისის, ივლისის თვეში, მიიღო შვებულების ფულიც და 22 აგვისტოს შვებულების დამთავრებისთანავე გათავისუფლდა სამსახურიდან. (ბრძანება №140, 22.VII.89 წ.).

ჩვენს დიდ გაოცებას იწვევს კიდევ, როცა გვესმის — თეატრი დატოვა სამმა მომღერალმა და ეს მესამე რ. ლაგვილავაო. როდის წავიდა რ. ლაგვილავა თეატრიდან, ან რატომ წავიდა, „ეროვნული ინტერესებიდან“ გამომდინარე? თქვენზე კარგად ვინ იცის, როგორი მდგომარეობა ჰქონდა ლაგვილავას თეატრში. მივყვეთ ფაქტებს — ლაგვილავამ წასვლაზე განცხადება დაწერა 1988 წლის 27 დეკემბერს. რამდენიმე დღით ადრე კი თეატრში ჩავატარეთ შემოქმედებითი კოლექტივის კრება, რომელმაც რამდენიმე მსახიობის წოდებაზე წარსადგენი კანდიდატურები განიხილა, როცა დამსახურებაზე წარდგენილთა შორის არ აღმოჩნდა და არც დამატებით დაასახელეს რ. ლაგვილავა (რადგან კოლექტივმა ნაადრევად მიიჩნია მისი დამსახურებაზე წარდგენა), განაწყენებულმა, სამი დღის შემდეგ დაწერა განცხადება თეატრიდან წასვლაზე იმ მოტივით, რომ სხვა სამუშაოზე გადადიოდა და სასწრაფოდ სჭირდებოდა შრომის წიგნაკი. ბევრი ველაპარაკეთ, ბევრი ვურჩიეთ, მაგრამ უშედეგოდ — ჩემი მომავლისათვის ასე სჯობიაო — გვითხრა და რაოდენ გაოცებულები დავრჩით, როცა რამდენიმე თვის შემდეგ თეატრიდან „ეროვნული მოტივით“ წასულად გამოგვეცხადა და ეს მაშინ, როცა თავის დროზე, თავის რეპერტუარში ერთი ქართული არიაც კი არ აღმოაჩნდა, რომ ქართული მუსიკის საღამოში მიეღო მონაწილეობა. (სხვათაშორის რ. ლაგვილავამ 1989 წლის აგვისტოში განცხადებით მიმართა თეატრის ხელმძღვანელობას და ითხოვა უკან დაბრუნება. იმავე წლის 8 სექტემბერს თეატრის დირიჟორთა კოლეგიამ იმსჯელა ამ საკითხზე და გადაწყვიტა — რ. ლაგვილავა დაებრუნებინათ თეატრში იმ პარტიებზე სამუშაოდ, რომელიც თეატრს სჭირდება და სასარგებლო იქნებოდა მისთვის (თუ ლაგვილავა ამაზე თანახმა იქნებოდა. ამ კოლეგიის სხდომაც ოქმით არის დაფიქსირებული).

ვწერთ ამ ტკივილიან წერილს და განზრახ არ ვიხსენებთ იმ მრავალ ფაქტს, რომელიც უფრო ნათლად წარმოაჩენდა თქვენს „მოღვაწეობას“ თეატრში. ღმერთო, სადამდე მივედით. აქამდე ჩვენს დუმილს კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა — შესანიშნავად ვიცით, რომ თეატრალურ სამყაროში ჰარმონიული ურთიერთობები იშვიათია, რომ არ შეიძლება წაკინკლავება განხეთქილებად გადაიქცეს, ისიც ვიცით, რომ ჩვენს შორის, სამწუხაროდ, უცოდველი კაცი არ მოიპოვება, ამიტომ ვფიქრობდით — ეგების გონს მოეგონო. არ გვინდოდა თქვენთვის უკან მოსასვლელი გზა მოგვეჭრა. ჯერ კიდევ ცოტა ხნის უკან ხომ ჩვენი ნაწილი იყავით და მიუხედავად ყოველივე იმისა, რაც მოხდა, ჩვენ—იმ კოლექტივს, რომელმაც სცენაზე პირველი ნაბიჯები გადაგადგმევინათ, დაგავაჟკაცათ და ხელოვნების დიდ გზაზე გაგიყვანათ, იმ კოლექტივს, რომლის ყველა სიკეთით უხვად სარგებლობდით, თურმე მოხერხებულ დროს ელოდით, რათა მისთვის ზურგში მახვილი ჩაგეცათ. იმ კოლექტივს, რომელიც, თქვენი თქმით, „ცხოვრების იდეალებისაგან ქმნის ერთგვარ სუდარას იდეური და სულიერი გახრწნილების დასამალავად“ (მ. თომაძე) სწორედ იმ „გახრწნილ“ კოლექტივს, კიდევ შესწევდა ძალა პატიებისა და იცოდა, რომ უკანდაბრუნებულ „უძღებ“ შვილს მაინც უწვდიან ხელს. აი, რატომ ვდუმდით.

ნათქვამია — მეტისმეტი „ჰაამო“ ხარს გზას იქით გადააგდებსო. მართლაც და, როდის იყო, მხოლოდ გესლის ნთხევასა და ინტრიგების ხლართვას კეთილი ნაყოფი გამოეღო. არც ოპერის თეატრი და არც მისი კოლექტივი არ არის ასე ჰაიჰარად ხელწამოსაკრავი. ჩვენს თეატრს ყოველთვის ხელთ ეპყრა საქართველოს უპირველესი მუსიკალური სადავეები და ასე იქნება მომავალშიც, მაგრამ თეატრის ცხოვრებაშიც არის ხოლმე ჟამი აღზევებისა და ჟამი დაცემისა, ჟამი ძიებისაც, სხვათაშორის. სამწუხაროდ ყოველთვის ყველაფერი ისე არ გამოდის როგორც გვინდა. ჩვენ ჩვენი ნაკლიც კარგად ვიცით და ჩვენი ღირსებებიც და არც ისეთი შეცდომა არსებობს, რომლის გამოსწორებაც არ შეიძლებოდეს. ამიტომ, ღრმად დარწმუნებულნი ჩვენს გულწრფელობასა და ჩვენს ძალებში, ყოველგვარი შეფარვის გარეშე ვამბობთ — წარმოუდგენლად მიგვაჩნია თეატრში ჯ. კახიძის გარეშე მუშაობა. როგორც ყოველი ჩვენგანი, უნაკლო და უცოდველი არც ის არ არის და მიუხედავად თავისი მძიმე, მომთხოვნი, ჯიუტი ხასიათისა, იმდენად დიდი და მნიშვნელოვანია მისი დამსახურება ქართული მუსიკალური კულტურის საქმეში, რომ დღეს მის წინააღმდეგ საზოგადოების ამხედრება, მის „არაეროვნულობაში“ დადანაშაულება და მისი დევნა, ისევე ქართული ხელოვნების ღალატია. ისტორია ულმობელია, ყველაფერს კარგად „გაჩურჩავს“ და თავის ადგილს მიუჩენს, მაგრამ სანამ ეს მოხდება?

გახსოვთ ქოთნის ამბავი, რომ ამბობდა ოქროს ძირი მაქვსო..., ყველა-ყველა და ჩვენზე უკეთესად ხომ არავინ გიცნობთ, ჩვენზე კარგად ხომ არავინ იცის თქვენი შესაძლებლობები და თქვენი შინაგანი სამყარო. სანამ საზოგადოება ტყუილსა და მართალში ბოლომდე გაერკვევა, რა ვქნათ ჩვენ? ვიაროთ ასე შერისხულებმა და მოსაკვეთად განწირულებმა?

ვის — ვის უმხედრებთ, ვის—ვის ანადგურებინებთ, გიფიქრიათ ამაზე?

ჩავედით ბოლოში და ვგრძნობთ, ჩვენს წერილს შიგა და შიგ სუსხიც გამოერია, მაგრამ რა ვქნათ, ჩვენც ხომ გვაქვს წყენის უფლება, ჩვენზე ათასჯერ უკეთეს ადამიანს უთქვამს, — კრიტიკა უნდა ანათებდეს და არა სწვავდესო. კრიტიკას ვინ ჩივის, აგერ ერთი წელია ლანძღვა-გინების კორიანტელში და ჭორებში გვიხდება მუშაობა. ვიტანთ, ვითმენთ, ვუძლებთ, მაგრამ როდემდე?

მართალია, ჩვენ „გაგაძევეთ“ თეატრიდან, მაგრამ გადახვედით არანაკლებ პრესტიჟულ ვ. აბაშიძის სახ. მუსიკალურ თეატრში, სადაც კიდევ უფრო პრივილეგირებულნი ხართ. დგახართ ფართო გზის სათავეში, სადაც თქვენს ნიჭს, უნარსა და საქმისადმი თავდადებას, „ზოგიერთები“ გზას ველარ „გადაუღობავენ“. ახლა გაქვთ კარგი საშუალება, არა ჩვენი ლანძღვა-გინებით, არამედ საქმით დაუმტკიცოთ საზოგადოებას თქვენ — „სამართლე“, მანამდე კი გული უნდა გაითავისუფლოთ შურისა და ამბიციებისაგან, რამეთუ მხოლოდ სუფთა და განწმენდილ გულს შეუძლია დიდი და ლამაზი საქმეების კეთება.

ჩვენ კი, ჩვენ — მაღალ „იდეალებს“ მოკლებული, „ანტიეროვნული“ და სულიერად „გახრწნილი“ კოლექტივი, არ განვეწყობით თქვენდამი შურითა და ბოროტებით, რადგან ვიცით, რომ დღეს თქვენც ისევე სჭირდებით საქართველოს, როგორც თითოეული ჩვენგანი, როგორც თითოეული ქართველი და ამიტომ... წარმატებას გავიგებთ თქვენსას, — გაგვეხარდება, რამეთუ გვეცოდინება, რომ ეს იქნება წარმატება ქართული საქმისა. წარუმატებლობას გავიგებთ, — არც მაშინ დავცემთ სიხარულის ყიჟინას. რამეთუ გვეცოდინება, რომ ეს იქნება წარუმატებლობა ისევე ქართული საქმისა. ხოლო თქვენს მიერ კვლავაც შეთხზულ წერილებსა და გავრცელებულ ჭორებს მართალია დიდი გულისტკივილით, მაგრამ მაინც წავიკითხავთ, მაინც მოვისმენთ და ვიტყვით — „შეუნდე, უფალო, რამეთუ არ იციან, რას იქმენ“.

ლ. ჭყონია, მ. ამირანაშვილი, ც. ტატიშვილი, ლ. ანდღულაძე, ლ. კალმახელიძე, ნ. მერკვილაძე, ი. კავსაძე, ლ. ბურბენიძე, ე. ბეჭაძე, მ. მაღლაფერიძე,

წერილს ხელს აწერს კიდევ 117 კაცი.

„ამაზე თბილად ვერაფერს გეტყვი“

ქართული პოეზიის ერთი უმთავრესი თემა სამშობლოს სიყვარული იყო და დღეს მემკვიდრეობად მიღებული ეს „წყევლაკრულვიანი საკითხავი“ საჭილდაო ქვად იქცა თანამედროვე პოეზიისათვის.

პიროვნების გაორებას დღემუდამ ცდილობდა ოფიციალური იდეოლოგია: ორი სამშობლო, ორი დედაქალაქი, ორი ეროვნების წარმომადგენლობა და ასე შემდეგ. ხლეჩდნენ პიროვნების ფსიქიკას და უკარგავდნენ მას ჭეშმარიტ ორიენტირებს. დიდი გამბედაობა იყო სიმართლის თუნდაც შეფარულად თქმა. მკითხველის მთელი ყურადღებაც ამ დაფარული აზრების ამოკითხვაზე იყო გაფაციცებული. პოპულარობის მეტ „შანსსაც იძლეოდა მსგავსი მდგომარეობა. „აიღებდი თავზე ხელს“ (ეს რა თქმა უნდა, არც ისე ადვილი იყო) დაწერდი გაბედულ ლექსს და ის მხატვრულად სუსტიც რომ ყოფილიყო, პოპულარობა გარანტირებული გქონდა. დღეს გაბედულებით ვერავის გააკვირვებ, პირიქითაც კი მოხდა, ზოგმა თავხედობა, უზრდელობა მიიჩნია უკომპრომისობის საზომად და წარმატებით „იღვწის“ ამ მიმართულებით. დიახ. დღეს ვერავის გააკვირვებ მჯიღის გულზე ცემით, მითუმეტეს ლიტერატურაში, დღესაც, როგორც ადრე, ლიტერატურის საზომად ჭეშმარიტი მხატვრული კრიტერიუმებია საჭირო. ცხოვრებისეულ სიმართლეზე მეტად ხელოვნებაში მხატვრული სიმართლე ფასობს.

პირველი შთაბეჭდილება, რაც გივი ძნელაძის ახალი წიგნის „მთავარი სული ანუ გაძლება“ კითხვისას ჩნდება ეს გულწრფელობა და ის უბრალოებაა, რომელიც ძნელად მიიღწევა. ჭეშმარიტება ხომ უბრალო და ნათელია. გივი ძნელაძის ეს კრებული იხსნება ლექსით „სიამაყე“, რა არის პოეტისათვის საამაყო?

მე ვარ ქართველი,
შენ — საქართველო! —
ამაზე თბილად ვერაფერს გეტყვი;
ვარ შინაარსი შენი სახელის
და სიამაყე არ მინდა მეტი!

ეს შინაარსი განსაზღვრავს თვითონ ქვეყნის რაობას და, ამდენად, ამ შინაარსის მატარებელს მორალური პასუხისმგებლობაც უნდა ჰქონდეს, თვით შეწირვაც უნდა შეეძლოს. პოეტი სხვას კი არ მოუწოდებს ამ ნაბიჯის გადასადგმელად, თვითონაა მზად ამისთვის.

ამასწინათ ლიტერატურის ერთი პატივცემული მკვლევარი წერდა იმის შესახებ, თუ როგორი ლიტერატურა სჭირდება დღეს ჩვენ ეროვნულ მოძრაობას. მსგავსი რეცეპტებისა რა მოგახსენოთ, ერთი კი ვიცი, რომ რეცეპტები ხელოვნებისთვის დამღუპველია. გივი ძნელაძეს ეს წიგნი არც ერთი მსგავსი ხასიათის რეცეპტით არ შეუქმნია. იგი ქვეყნის. საქართველოს სიყვარულით ბეჭედდასმულ რეცეპტით ხელმძღვანელობდა, როდესაც ლექსების კრებულისათვის ნაწერებს არჩევდა. ისტორიის ძალა ხშირად დამთრგუნველიც კია, ჩვენ ისტორიასთან ვერასდროს ვერ გავწყვეტთ კავშირს. გავწყვეტთ კი არა, იმდენად დიდია წარსულის ზეგავლენა, რომ ზოგჯერ შეიძლება კაცს მოგეჩვენოს, წინ კი არ მივდივართ, უკან ვიბრუნეთ პირი და გარდასულ ჟამთა გმირების აჩრდილებთან შესახვედრად მივეშურებით. ჩვენი წარსულის ასეთი „მაგნეტიზმი“, ვინ იცის, იქნებ მემატიანეთა „ბრალიცაა“. ისინი ქართლის ცხოვრებას მახარებლებივით წერდნენ და ღიმილისათვის ადგილს არა ტოვებდნენ. თუმცა წარსულმა ხომ არ დაგვამძიმა მარტო, გაგვაძლებინა კიდეც. ის იძლეოდა მაცოცხლებელ ძალას ენერგიისათვის, საგზალს საუკუნეობრივ შარაგზაზე მგზავრობისათვის. შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ყველაფერი, რაც იყო, შესანიშნავი იყო და ბნელი არასოდეს შერევია ბრწყინვალე შარავანდედს. წარსულში, მით უმეტეს უახლოეს წარსულში, ისეთი გზებიც გამოვიარეთ, ზოგჯერ უკან მიხედვაც გვაშინებს; ისტორია არც მოგვცემს უფლებას იმ გზებს მივუბრუნდეთ. ალბათ ასეთმა გრძნობებმა წარმოშვა ეს სტრიქონები:

რომ გამიჭირდა —
ფიქრი დავიწყე,
ფიქრმა შვა გრძნობა,
გრძნობამ სტრიქონი...
ღმერთო! —
წარსული გადამავიწყე! —
აწმყოს მე თვითონ
გამოვიგონებ.

იცის პოეტმა, რომ არც ერთია ადვილი და არც მეორე, არც დავიწყება ძალგიძს კაცს და არც გამოგონება და ამიტომაცაა, ეს ვერშეძლება სასჯელად ქცეული.

ანდრო ბედუკაძე

მუჰაჯირობის დღეს

31 მაისს სოხუმში, ცენტრალურ სტადიონზე, გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა მუჰაჯირობის დღეს — კავკასიის ომის მსხვერპლთა ხსოვნას, აგრეთვე აფხაზი და სხვა კავკასიელი ხალხების ძალადობით აყრის და ოსმალურ თურქეთში გადასახლების, დეპორტაციის ტრაგიკულ დღეს.

მიტინგი გახსნა კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ იური შანიბოვმა (ყაბარდო-ბალყარეთის დელეგაციის ხელმძღვანელი). მან აღნიშნა, რომ 125 წლის განმავლობაში კავკასიელ ხალხებს არ ჰქონდათ საშუალება აღენიშნათ მუჰაჯირობის დღე, მოვლენა, რომელმაც დატოვა ტრაგიკული კვალი კავკასიის მთიელი ხალხების ისტორიაში.

მიტინგის მონაწილეებს მიესალმა აფხაზეთის სახალხო ფორუმის „აიდგილარას" გამგეობის თავმჯდომარე სერგეი შამბა. მან თქვა, რომ ეს დღე არის მწუხარების, მაგრამ, ამასთანავე, შეხვედრის, გაერთიანების და მომავლის დღე. მიტინგის მონაწილეებმა აღმართეს შუასაუკუნეების აფხაზეთის სამთავროს დროშა.

ს. შამბამ სიტყვა გადასცა ი. შანიბოვს, რომელსაც ბოლომდე მიჰყავდა მიტინგი.

მუჰაჯირობის მიზეზებზე და ტრაგიკულ შედეგებზე ისაუბრა კავკასიის მთიელი ხალხების ასამბლეის საკოორდინაციო საბჭოს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კავშირის სექციის ხელმძღვანელმა, დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურის და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების გამგემ იური არგუნმა. მან თქვა, რომ კავკასიის ომის დამთავრების დღე (1864 წლის 31 მაისი) მომავალში აღინიშნება როგორც მუჰაჯირობის დღე. ი. არგუნმა გააშუქა რუსეთის ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკა კავკასიაში, ხაზი გაუსვა, რომ ცარიზმს ჰქონდა კონკრეტული მიზანი — კავკასიელი ხალხების ფიზიკური განადგურება, გადასახლება თურქეთში. იმპერიული პოლიტიკის შედეგი ტრაგიკული იყო — სამშობლო დაატოვებინეს 135 ათას აფხაზს და აბაზინელს (იმ დროს ეს იყო მათი საერთო რაოდენობის 80 პროცენტი) და 55 ათას უბიხს. დეპორტაციის დროს — გზაში (გემებით), შიმშილობისა და ავადმყოფობისაგან დაიღუპა მუჰაჯირების თითქმის ნახევარი. ი. არგუნმა აღნიშნა, რომ იმდროინდელმა მსოფლიო და, მათ შორის, ქართულმა პრესამ (კერძოდ, გაზეთი „დროება") აღწერა მუჰაჯირების ტანჯვა და თანაგრძნობას უცხადებდა მათ.

მომხსენებელმა ილაპარაკა აგრეთვე მუჰაჯირების შთამომავლების დღევანდელ მდგომარეობაზე, აღნიშნა, რომ მსოფლიოს 45 ქვეყანაში ცხოვრობს (ძირითადი მასა — თურქეთში, სირიაში, იორდანიაში).

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ამერიკისა და დასავლეთ გერმანიის ჩერქეზთა სათემოს წარმომადგენლები. თურქეთში მცხოვრები აფხაზების სახელით გამოვიდა ჯემალ ჰყუნია, რომელმაც ხაზი გაუსვა იმას, რომ კავკასიელ ხალხებს 120 წლის წინ არ ჰქონდათ ნამდვილი ერთიანობა და ეს იყო მუჰაჯირობის ტრაგედიის ერთ-ერთი მიზეზი. საჭიროა კავკასიის ყველა ხალხების ერთიანობა, ურთიერთგაგება, მან აღნიშნა, რომ თურქეთში კავკასიის ხალხების წარმომადგენლები ცხოვრობენ მეგობრულად, ერთმანეთს პატივს სცემენ და ეხმარებიან. ეს აზრი განავითარა ინგუში ხალხის დამოუკიდებელი ავტონომიის აღდგენის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა ახმეტ პუშტოვმა.

ჩრდილო ოსეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელმა აიდარუკ ბესთაევმა აღნიშნა, რომ კავკასიის მთიელთა ასამბლეა უნდა გარდაიქმნას — სრულიად კავკასიის ხალხთა კონფედერაციად — მათი სუვერენიტეტის და თავისებურებების, არსებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გაერთიანებების საზღვრების ხელშეუხებლობით.

საჭიროა კავკასიის ომის ისტორიის გადასინჯვა, უნდა ითქვას სიმართლე ცარიზმის პოლიტიკაზე, რომელიც ატარებდა პრინციპს „გათიშე და იბატონე!" რუსეთის იმპერიას სურდა კავკასიელების ფიზიკური განადგურება.

აღინიშნა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში უკვე დაიწყო მოძრაობა ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის სიმბოლოების მოსახსნელად, კერძოდ, გროზნოში აიღეს გენერალ ერმოლოვის ძეგლი.

მიტინგზე მიიღეს დეკლარაცია, რომლის ტექსტი გაეგზავნა აშშ პრეზიდენტს ჯ. ბუშს, სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. გორბაჩოვს, თურქეთის პრეზიდენტს ტ. ოზალს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს პერეს დე კუელიარს.

დეკლარაციაში არის მოთხოვნა — აღიარონ 31 მაისი კავკასიის ომში დაღუპულთა ხსოვნის დღედ, დეპორტირებულთა დღედ.

დეკლარაცია მთავრდება მოწოდებით შეიქმნას პირობები ძალით დეპორტირებული მუჰაჯირების შთამომავლების დაბრუნებისათვის ისტორიულ სამშობლოში.

თენგიზ პაჭკორია

ქ. სოხუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზარი. გურამ წიგახაშვილის ფოტო.

სინას მთა ტელეეკრანზე

სინას მთა ყველა ქრისტიანისთვის წმინდა ადგილია. კიდევ უფრო ადრე იქცა იგი წმინდა ადგილად ებრაელთათვის, რადგან მათ წინამძღვარ მოსეს იქ უკარნახა ღმერთმა ათი მცნება. ცოტა ხნის წინ საქართველოს ტელევიზიამ წარმოგვიდგინა კინოფილმი „სინას მთა". ამ ფილმზე, როგორც კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე, ალბათ კინომცოდნეები გამოთქვამენ აზრს, მაგრამ ფილმის თემა და მისი, როგორც დოკუმენტის მნიშვნელობა სცდება კინოს სპეციფიკის ჩარჩოს. რეჟისორ კარლო ღლონტისა და ოპერატორ ილია ვაჩნაძის პროფესიული ღირსებების მიღმა დგას ჩვენი ერისთვის ძვირფასი ადგილებისა თუ იშვიათი ექსპონატების დაფიქსირების ფაქტი. ქართულ დოკუმენტურ კინოს თავისი სახელოვანი წარსული აქვს, რომელიც ბოლო წლებში გურამ პატარაიასა და რევაზ თაბუკაშვილის ფილმებით დაგვირგვინდა. მაგრამ ყოველივე იმის მიგნებასა და აღნუსხვას, რაც ჩვენს აწეწილ ისტორიასთან არის დაკავშირებული, ბევრი ენერგიული მოღვაწე სჭირდება. მითუმეტეს, რომ ბოლო წლებში მომხდარი ძვრები უფრო და უფრო მეტ უფლებასა და შესაძლებლობებს გვაძლევს.

მაყურებელს ფილმის ავტორებთან ერთად უხდება იმ გზის გავლა, რომელიც ბოლოს სინას მთასთან მიდის. ვინაიდან ეს წმინდა მთა ეგვიპტეში, დღევანდელ ეგვიპტის არაბულ რესპუბლიკაში იმყოფება, მას ელის ხანმოკლე, მაგრამ ინფორმაციით სავსე და ლამაზი შეხვედრა ეგვიპტურ და არაბულ სამყაროებთან, რომლებიც ამ ბიბლიურ ადგილზე ერთმანეთის გვერდით არსებობენ — ერთი ძეგლების სახით, მეორე კი ცოცხლად. ამ სამყაროდან სიზმარივით გამქრალმა ეგვიპტელებმა, გადაშენებამდე გაქრისტიანებაც კი მოასწრეს და მათი გადარჩენის შემთხვევაში, როგორც ეგვიპტური, ასევე დღეს მათ ტერიტორიაზე არსებული ყოველივე ქართულიც გადარჩებოდა და დღემდე სულ სხვა გზას გამოივლიდა. მაგრამ დღეს მას ისლამურ სამყაროში უწევს ყოფნა და ბერძნულ მონასტერში შეფარებული, ქრისტიანული ოაზისის სახით არსებობს. ფილმში ნაჩვენები ეგვიპტის პირამიდებისა და სფინქსების ფანტასტიკური სამყარო, არაბთა მეჩეთები თავიანთი მლოცველებით, გარდა იმისა, რომ ამ ქვეყნის დღევანდელ სიტუაციას გვიხატავენ, ქმნიან ისეთ სურათს, რომლის ფონზეც იქ არსებული ქართული სამყაროს ამსახველი კადრები ძალზე შთამბეჭდავია. ფაქიზად გადაღებული კადრებით მაყურებელმა პირველად იხილა იშვიათი ოსტატობით შესრულებული ქართული ხატები, რომლებთან ერთადაც, VI საუკუნიდან მოყოლებული, მთელი ათასწლეული გამოიარა სინას მთაზე არსებულმა ქართულმა კოლონიამ. ეს ხატები და ხელნაწერებიღა არიან იმ ქართული სამყაროს წარმომადგენლები, რომელიც, იქ ადრე, ორმოცამდე ქართული ძეგლით იყო წარმოდგენილი.

რეჟისორთან ერთად, ფილმის სცენარის ავტორია ავთანდილ მიქაბერიძე, ახალგაზრდა მეცნიერი, რომელიც საზოგადოებამ ორიოდე წლის წინათ გაიცნო იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ჩატარებული სამუშაოებისადმი მიძღვნილი ტელეგადაცემებით. ფილმის სადიქტორო ტექსტს, რომელსაც ფილმის შესატყვისი ინტონაციითა და თავშეკავებული ემოციურობით კითხულობს მსახიობი ირაკლი უჩანეიშვილი, მაყურებლამდე ზომიერად მიაქვს აუცილებელი ისტორიული ფაქტები. კომპოზიტორ თემურ ბაკურაძის მიერ ფილმისათვის შექმნილი მუსიკა ქმნის შესატყვის განწყობილებას და თითქოს მასალისადმი ავტორის დამოკიდებულებასაც გამოხატავს. ფილმში მახვილი თვალით დანახულ კადრებსაც ვხვდებით, მიმზიდველ სანახაობას რომ წარმოგვიდგენს.

რამდენიმე წლის წინ ჩვენ ვნახეთ რეჟისორ კარლო ღლონტის ფილმი „პეტრიწონი", რომელსაც ისეთივე დანიშნულება აქვს, როგორიც „სინას მთას". ვინაიდან რეჟისორი ამ გზას აგრძელებს, ამიტომ ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას, ასეთი ფილმების მნიშვნელობაზე ჩვენს სულიერ ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, საზღვარგარეთ არსებული ძეგლების, ხელნაწერებისა თუ სხვა მასალის შესახებ არსებულმა მეცნიერულმა ნაშრომებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს სხვადასხვა თაობათა ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაში, მაგრამ კინოს საშუალებით მოხერხდა ხილვა იმისა, რაც აქამდე მხოლოდ დიდმა მეცნიერებმა ალექსანდრე ცაგარელმა, ივანე ჯავახიშვილმა და ნიკო მარმა იხილეს XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე. ამიტომ ის რამდენიმე ფილმი, რომელიც ჩვენთვის დღემდე თითქოს საკმარისი იყო, დღეისათვის ძალიან ცოტაა და ვფიქრობ, საჭიროა სპეციალური წარმოების შექმნაც კი, რათა ასეთ ფილმებს გადაღების გზაზე არანაირი სირთული არ ელობებოდეს.

ადრეც გამოითქვა აზრი, რომ ასეთ ფილმებს სკოლებში უნდა აჩვენებდნენ, დღეს ამის პრაქტიკულად განხორციელება ძალზე ადვილია.

ფილმი მთავრდება იმ ფაქტის აღნიშვნით, რომ სრულიად საქართველოს კათალიკოსმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ 1984 წელს ფეხშიშველმა აიარა ქვის 4000 საფეხური, რათა სინას მთავარ მწვერვალზე, ქორების ანუ მოსეს მთის წვერზე ასულს საქართველოს კეთილდღეობისთვის ელოცა (ლოცვის ტექსტს ფილმში ოთარ მეღვინეთუხუცესი კითხულობს). ჩვენი წარსულის ამსახველი მასალის მომძიებლებისთვის და ფილმების ავტორებისთვისაც საჭიროა მსგავსი რელიგიური გრძნობა, ვინაიდან მომავალში მათაც ბევრი საფეხურის ავლა მოუწევთ.

ზურაბ გახტაძე

საქართველოს მწერალთა კავშირი, ლიტფონდი და პოლიკლინიკა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ მესხი-გვეტაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე

სარედაქციო კოლეგია: თამაზ გიგილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე.

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი უჩა შერაზადიშვილი.

რედაქციის მისამართი:
380005, თბილისი,
გუდიაშვილის
მოედანი №2

ტელეფონები:
მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-63; 99-03-65. 95-86-68.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ
СП ГРУЗИИ

გამოდის პარასკეობით